“ ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც ამას ვდუდუნებ” - ვაჟა

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2018 წ. დეკემბერი * №59 * ფასი 1, 50 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან




ღვთისმშობლის შობის ტაძარი სოფ. ლიხაურში. 1352 წ.

## „ჭეშმარიტება არავის წაახწყმედინო, არავის გააქელვინო!"

### ლეილა ცომაია

ქართველთა ერის მამის, ილია ჭავჭავაძის იდეალებსა და ამგვარ შეგონებებზე აღზრდილს, არასოდეს მიღალატია მაღალი იდეური ფასეულობებისათვის, თუმცა ვუწყოდი, რომ ამგვარი ერთგულებისთვის, ლაფსა და ტალახს უფრო მეტნი მომცხებდნენ, ვინემ მომიწონებდნენ მცირენი.

მას შემდეგ, რაც ათწლიანი მძიმე ჯაფის შედეგად, როგორც იქნა გამოვეცი ჩემი სქელტანიანი (932 გვ.) ისტორიული მონოგრაფია „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“ (რომელიც რეპრესიების, პერმანენტული მორალური ტერორისა და უკიდურესი სიდუხჭირის პირობებში იწერებოდა), გამრავლდა და აზვირთდა წიგნში მხილებული შინაური მტერი. მტერი, რომელიც, არათუ ბილწსიტყვაობით და ფანტასმაგორული ცილისწამებებით კმაყოფილდება, არამედ, სიცოცხლის ხელყოფითაც მემუქრება. შეიქმნა იმგვარი ვითარება, როდესაც




ზვიად გამსახურდიას აუჯანყდა წითელი ინტელიგენცია და ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილი წითელი დისიდენტები, წითელი სამღვდელოება, რომლებსაც დღენიადაგ ამხელდა ზვიადი.

ჩემი უახლესი ისტორიის ამ წიგნში მხილებულმა უგვანო ქართველებმა, ლამისაა ისეთი ბედი არგუნონ ზვიადის მოღვაწეობაზე დაწერილ ამ წიგნს, როგორი მოწამეობრივი და მტანჯველი სიცოცხლეც არგუნეს ზვიადს და ბოლოს ღალატითა და შეთქმულებით გაწირეს.

2018 წლის 12 დეკემბერს, ბესო მიქავამ, Facebook-ით გაავრცელა შეურაცხყოფა და მუქარა ჩემი მისამართით (იხ. გვ.2):

გარდა იმისა, რომ მე თავის დაცვა, მარტოს მიწევს ივანიშვილის ხელისუფლების პოლიციური რეჟიმისაგან, ასევე, თითქმის, სრულიად მარტოს მიხდება გამკლავება ფსევდო-ეროვნულ „მრგვალ მაგიდელებთანაც“, რომლებიც მოქმედებენ ე.წ. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის

გაგრძელება გვ. 2-3

დასაწყისი გვ. 1

ფრონტის სახელით (გიორგი კერვალიშვილი, ბესო მიქავა, გურამ მაქაცარია, ნათელა მოდებაძე, ლამარი ქოიავა, ლია რუსაძე, ფატი კაკაშვილი და სხვ.),შემოკრებილნი არიან მანანა არჩვაძის ირგვლივ (მე ამ წერილში არ შევუდგები „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტის“ უტოპიურ სამართლებრივ განხილვას და მოჩვენებითი იდე-ფიქსით სპეკულირების ასპექტებს).




ბესო მიქავამ, ინტერნეტში დადო რამდენიმე ვიდეო, ზაზა გაბედავასა და ჩემი სკაიპით საუბრებისა, რომელსაც რუსეთში 1992 წლიდან (ანუ,რუსეთის იმპერიის მიერ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობიდან) მცხოვრები ზ. გაბედავა, ფარულად იწერდა,თურმე! ამ ვიდეოებში,ზაზა გაბედავა დაჟინებით მოითხოვს ჩემგან, რომ მე კავშირ-ურთიერთობა ვიქონიო ბესო მიქავასთან. ზაზა გაბედავა კი, დაახლოებით 8 წლის წინ, „ლორდის“ ფსევდონიმით გამეცნო, ჯერ ფეისბუკით, ხოლო შემდგომ სკაიპით, როგორც ეროვნული მოძრაობის აქტივისტი, რითაც ჩემი დროებითი ნდობა მოიპოვა. როგორც ახლახან გაირკვა, ფსბ-ს აგენტ ზაზა გაბედავას მოკავშირე, საქართველოში, ბესო მიქავა ყოფილა!

მანანისტთა დასი (ელზა ჩინჩალაძე, კლარა შუკვანი, ია ბებია, გელა რაზმაძე, ნათელა მოდებაძე, ლამარი ქოიავა, ლია რუსაძე და სხვ.) და თვით მანანა არჩვაძეც, ნაცვლად იმისა, რომ დოკუმენტურად გააბათილონ წიგნში მოყვანილი მტკიცებულებები, მხოლოდ პირად შეურაცხყოფებსა და ცილისმწამებლურ კამპანიას ეწევიან ჩემი დისკრედიტაციის მიზნით, Facebook-ით, რისი მიზანიცაა მკითხველთა ინტერესის შენელება გამოცემული წიგნის მიმართ, რასაც ვერ აღწევენ!

„მრგვალ მაგიდელმა“ გელა რაზმაძემ (მე მას 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობიდან ნამდვილად არ ვიცნობ და უთუოდ 90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობის ტალღას უნდა იყოს მოყოლილი), მანანა არჩვაძის დეზინფორმაციაზე დაყრდნობით, საკუთარ Facebook-ის გვერდზე, ბრალი დამდო ზვიადის სასიკვდილოდ განწირვის მცდელობაში მისი საპროტესტო შიმშილობის დროს. საქმე იმაში გახლდათ, რომ 1988 წლის თებერვალში, ზვიადმა გამოაცხადა უვადო შიმშილობა, ხოლო მანანა და ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილი კგბ აგენტები აიძულებდნენ მას, რომ მერვე დღეზე შეეწყვიტა შიმშილობა. დაიწყო არნახული ზეწოლა, ფიზიკურად ისედაც შესუსტებულ ზვიადზე, შიმშილობის შეწყვეტის მოთხოვნით, რათა ზვიადის სისუსტეებზე კვლავ ექირქილა უშიშროებას, ხოლო ავყია ხალხს კვლავ ამგვარად დაეცინა ზვიადისთვის: ციხეს ვერ გაუძლო, მოინანია და ახლა შიმშილობას ვერ გაუძლო და შეწყვიტაო. და ეს იმ ეტაპზე, როდესაც,ზვიადის შიმშილობაზე, მსოფლიოს ყურადღების მიქცევის პროცესი დაიწყო. მავანთ, ძალიან ეწადა, რომ ზვიადი ვერ გამხდარიყო პოლიტიკური ლიდერი. უშიშროების ამ მზაკვრულ გეგმას, დიახაც რომ აღვუდექით წინ მერაბ კოსტავა და მე, უნივერსიტეტის სტუდენტურ ჯგუფთან ერთად! ჩვენმა პრინციპულობამ გაიმარჯვა - ზვიადმა გააგრძელა შიმშილობა 25 დღემდე და საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა შეეწყვიტა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, დავით-გარეჯის აფეთქება, სამხედრო წვრთნები გარეჯის ტერიტორიაზე და სხვა.

სწორედ ამ თავგანწირულმა, გმირულმა შიმშილობამ აქცია, ზვიად გამსახურდია, ეროვნული მოძრაობის ტრიუმფატორულ ლიდერად და მისი ლიდერობით დასრულდა კიდეც, 14 მოკავშირე რესპუბლიკებიდან პირველად საქართველოში, სსრკ-ს დემონტაჟი, რისიც ასე ეშინოდა წითელ კომპარტიას და რისთვისაც გვებრძოდნენ და გვებრძვიან დღესაც ახალი „მრგვალი მაგიდელები“.

დიახ მე, ხუთ სტუდენტთან ერთად (მაკო ჯანჯიბუხაშვილი და სხვა, რომლებიც დაადასტურებენ), ზვიადის საწოლთან გავაპროტესტე კომუნისტური ხელისუფლების მზაკვრული გეგმა, რასაც ისინი მანანასა და ლელეს მეშვეობით გვთავაზობდნენ. ჩვენ მხარი დაგვიჭირა მერაბ კოსტავამაც, რის გამოც მანანა მერაბსაც დაესხა თავს. ხოლო, თემურ ჯანელიძეს, მანანამ მრისხანედ ჰკითხა: „შენც ამათ პოზიციას იზიარებ, შენც ზვიადის სიკვდილი გინდა“?! თემურმა თავი აარიდა მანანასთვის პირდაპირ პასუხს, შუალედური პოზიცია დაიჭირა და ერთი კვირა აღარ გამოჩენილა კოშკში. ზვიადმა გააგრძელა შიმშილობა. ზვიადის შიმშილობას მერაბ კოსტავას სახლში შეუერთდა გია (გაიოზ) მეხრიშვილი. შედეგად - ზვიადის მოთხოვნების დიდი ნაწილის დაკმაყოფილების პროცესი დაიწყო, ხოლო, ტრანსკავკასიის მაგისტრალის მშენებლობა და კულტურულ ძეგლებზეც ვანდალიზმი შეწყდა.

ქვემოთ გთავაზობთ ზვიადის საპროტესტო შიმშილობის მოთხოვნების სრულ დეკლარაციას.

*საქართველოს საზოგადოების მოთხოვნები სსრკ და საქართველოს სსრ მთავრობებისადმი, რომელთა შესრულების მოთხოვნითაც ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა უვადო შიმშილობა, რომელსაც სხვებიც შეუერთდნენ*

1. ტრანსკავკასიის რკინიგზის პროექტის გაუქმება. მინისტრთა საბჭოს ბრძანების გაუქმების შესახებ პრესაში ცნობის გამოქვეყნება.
2. ხუდონ, ტობარ – ჰესების და სხვა წყალსაცავების პროექტის გაუქმების შესახებ ბრძანების პრესაში გამოქვეყნება.
3. აფხაზეთში მცხოვრები ქართველების დევნა – დისკრიმინაციის შეწყვეტა, მათი უფლებების დაცვა. მათი კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.
4. აწყურის შლაგბაუმის გადატანა ვარძიის ზემოთ, სასაზღვრო ზონის შემცირება.
5. ინგილოთა უფლებების დაცვა.
6. მარნეულის შესახებ ქართველი ინტელიგენციის პეტიციის მოთხოვნების შესრულება.
7. ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის აღდგენა. საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების აღდგენა – ნიშნის ატესტატში შეტანით.
8. სამხედრო ძალით ძეგლების ნგრევის აღკვეთა, დავით გარეჯის პოლიგონის რეალური და არა მოჩვენებითი გადატანა. გელათის და სხვა ტაძრების თვითმფრინავებით დაზიანების აღკვეთა. კულტურის ძეგლებზე დაცვითი დაფების გაკეთება, განსაკუთრებით ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქში. შაორის წყალსაცავის დაცლა, რომელიც საფრთხეს უქმნის ნიკორწმინდას.
9. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გაუქმება.
10. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაუქმებული ქართული ჯგუფების აღდგენა.
11. საქართველოს ეკლესიაში უშიშროების კომიტეტის მმართველობის გაუქმება, ეკლესიისათვის რეალური თვითმმართველობის მიცემა და სახლმწიფოსაგან გამოყოფა.
12. მეტეხსა და სხვა ტაძრებში თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების გაუქმება, მათი მოქმედ ეკლესიებად გამოცხადება.
13. იკორთის გადაცემა გორის რაიონისათვის.
14. შეწყდეს დევნა და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება იმ პირების მიმართ, რომელნიც აყენებენ ამ სამართლიან მოთხოვნებს.

*ქ. თბილისი*
*კოლხური კოშკი*
*1988 წლის 17 თებერვალი*

მანანამ და ლელემ, ჩვენი პრინციპული პოზიციის გამო, რისხვა დაგვატეხეს თავს, მაგრამ ჩვენ არ მიგვიტოვებია ზვიადი. ჩვენი პოზიცია ცალსახად გაიზიარა დისიდენტმა მიხეილ მჭედლიშვილმა, რომელსაც მანანამ და ლელემ მოსთხოვეს, თვითონ (მიხეილს) გაეგრძელებინა ზვიადის მიერ დაწყებული საპროტესტო შიმშილობა, რაზეც, უკვე ასაკში მყოფმა, იტორიკოსმა (გამოცემული აქვს სამი ისტორიული წიგნი „საქართველო რუსეთის იმპერიის მარწუხებში“ და სხვ.) ბატონმა მიხეილმა უპასუხა, რომ მის მიერ გაგრძელებული შიმშილობა არ იქნებოდა ისეთი რეზონანსული, როგორიც ზვიადისა, გარდა ამისა, მე ფილტვები დაავადებული მაქვსო. და, ასეც იყო!

მანანამ და ლელემ, მეც და სტუდენტებსაც, ჩანაცვლების იგივე მოთხოვნა წამოგვიყენეს, მაგრამ არც ჩვენ გავიზიარეთ პოლიტიკურად სრულიად წამგებიანი მათი მოსაზრება და ჯიუტად დავდექით ჩვენს პოზიციაზე, რამეთუ მიგვაჩნდა, რომ მთავარი ფიგურანტი, სწორედ ზვიადი უნდა ყოფილიყო. თუმცა მე იქვე მკვეთრად განვაცხადე: „თუ ზვიადს შეექმნება სიცოცხლის გამოკვეთილი საფრთხე, მხოლოდ ამ წინარე შემთხვევაში მივიჩნევ გამართლებულად მისი შიმშილობის აქციის შეწყვეტას“.

სწორედ იმ გმირული იმ შიმშილობის აქციის წარმატებით დაგვირგვინებით, სტუდენტებში და ერში მოხდა ზვიადის ე.წ.მონანიებით შესუსტებული ავტორიტეტის განმტკიცება და ამაღლება. იმ შიმშილობის აქციამ ზვიადი ხელახლა შვა გმირად და დაიწყო კიდეც ეროვნული მოძრაობის ალმავლობის ფორსირებული პროცესი, რაც 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებში, ზვიადისეული „მრგვალი მაგიდის“ ტრიუმფალური გამარჯვებით დაგვირგვინდა.

აი, რას არ მპატიობენ დღემდე, მანანისტები, რომლებიც, ხან მთაწმინდიდან თხრიან ზვიადს, ხან არბევენ ზვიადის საფლავს და ვილაცებს აბრალებენ და დღემდე ეწევიან ჩემი პიროვნების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

ჩემი ისტორიული მონოგრაფიის - „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“ - გამოცემის გამო (რომელშიც პირუთვნელად ავსახე მწარე სიმართლე უახლესი ისტორიის შესახებ). მანანა, გაავებით მესხმის თავს თავისი ჯგუფით (ბესო მიქავა, გიორგი კერვალიშვილი, გელა რაზმაძე და სხვ.), რომლებიც, 1997 წლიდან დღემდე , მანანას გადაქცეული ჰყავს ეროვნული მოძრაობის ზონდერებად. მათ, მანანას დავალებით, მოლეკულებად დაშალეს და დააქუცმაცეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, შექმნეს კომედიური სახე-ტიპი „მრგვალი მაგიდისა“, რითაც გაატრიზავეს ზვიადის იდეა და სახელი, მოახდინეს ეროვნული მთავრობის უზურპაცია ზოგიერთი დეპუტატის (ბიმურზა აფრასიძის, გურამ ისაკაძის, ლადო ცოფურაშვილის, დალი ფიროსმანაშვილის, დავით გოგაძის, ნუგზარ შავთვალაძის, გურამ მაქაცარიასა და სხვ.) თანამზრახველობით, რომლებმაც გადააყენეს ზვიადის ხელისუფლება და დანიშნეს ახალი მთავრობა და პარლამენტის სპიკერანტი. მათ უკანონო გადაწყვეტილებაზე კი არსებობს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება, რასაც გთავაზობთ ქვემოთ:

→

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის*
**განცხადება**

გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ (1998 წლის 19-25 ნოემბერი) გამოქვეყნდა ცნობა, თითქოს ქალაქ თბილისში, 1998 წლის 14 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია.

კანონიერება მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 112-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახლად არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სხდომამდე“.

ეს ნიშნავს, დღესაც უზენაესი საბჭოს ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო არის უზენაესი საბჭოს ის პრეზიდიუმი, რომელიც ხელდასმულია ზვიად გამსახურდიას მიერ და რომელიც განაგრძობს მის პოლიტიკურ კურსს დევნილობაშიც. კონსტიტუციით არცერთ სხვა ორგანოს უფლება არა აქვს მოიწვიოს სესია.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს, რომ მას არ დაუნიშნავს 1998 წლის 14 ნოემბერს უზენაესი საბჭოს სესია; ხოლო ის, რაც შედგა, უკანონოა და მის შემდგომ მოქმედებებსაც და დადგენილებებსაც არა აქვს კანონის ძალა.

შესაბამისად, დეპუტატთა ეს თავყრილობა სესიის სახით არ განიხილება.

ინფორმაცია დეპუტატთა ამ თავყრილობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“, აგებულია სრულ სიცრუეზე, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 108-ე მუხლის თანახმად, „რიგგარეშე სესიებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი იწვევს თავისი ინიციატივით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემადგენლობის, სულ ცოტა, 1/3-ის წინადადებით“. ეს კი ნიშნავს, რომ არ არსებობს სხვა სამართალ-სუბიექტი, გარდა პრეზიდიუმისა, რომელსაც აქვს უფლება მოიწვიოს უზენაესი საბჭოს სესია.

ბ) ფაქტი, თითქოს 108-ე მუხლით უფლება ეძლევა დეპუტატთა 1/3 დამოუკიდებლად დანიშნოს უზენაესი საბჭოს სესია, უკანონოა. ასეთი უფლების გამოყენება სესიის დანიშვნის საფუძვლად კანონის პროფანაციაა. სესიად წოდებული თავყრილობა ორი ათეული დეპუტატის შემადგენლობით, რომლის ნაწილი შეყვანილ იყო შეცდომაში, ნაწილს კი შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს სადეპუტატო უფლებამოსილება, არ წარმოადგენს იმ საჭირო მესამედს, რომელსაც ისინი უნდა დაყრდნობოდნენ.

გ) აღნიშნულ გაზეთში მოყვანილი ცნობა, თითქოს უზენაესი საბჭოს 47 დეპუტატმა 27-ჯერ მიმართა წინადადებით უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს - არ შეესაბამება სინამდვილეს; მსგავსი მოთხოვნა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არასოდეს არ მიუღია.

მომხდარი ფაქტი საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ 1998 წლის 14 ნოემბრის თავყრილობა - ეს არის ნაწილი იმ გეგმისა, რომელიც მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და რომელზედაც აქტიური მოთხოვნაა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს, რომ იგი ერთგულია იმ პოლიტიკური კურსისა, რაც გაცხადებული იყო პირველი პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ და მრავალგზის დადასტურებული უზენაესი საბჭოსაგან და არ დაუშვებს უზენაესი საბჭოს დაშლისა და მისი დისკრედიტაციის მცდელობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი:

***ირაკლი ჩხეიძე***
***ლია ანდღულაძე***
***ბიძინა დანგაძე***
***ტარიელ გელანტია***
***მედეა თუშმალიშვილი***
***რობერტ პეტრიაშვილი***
***კონსტანტინე ფირცხალავა***
***ზაურ ქობალია***
***24 ნოემბერი, 1998 წელი.***
***გაზეთი „იბერია - სპექტრი“, N268, 25.11 – 1.2. 1998 წ. გვ. 5.***

მანანა არჩვაძეს არა და არ სურს დარჩეს შთამომავლობას პირუთვნელი ისტორიული სიმართლე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე და სამარადისოდ ბურუსით იყოს მოცული ეროვნული ხელისუფლების ურთულესი მოღვაწეობის ის სამწლიანი პერიოდი.

გიორგი კერვალიშვილი "ჩაუშესკუს" ეძახდა ზვიადს და ხუნტისტების ტანკს მიუძღოდა უზენაესი საბჭოსკენ; მეტრო რუსთაველთან, ვაჟა ადამიას მამიდასთან ხმაშეწყობით რისხავდა და ამუნათებდა ზვიადის მომხრეებს, ხოლო როდესაც მათ შორის, როგორც იქნა დამინახა მეც, შეწყვიტა ცოფების ყრა და სადღაც მიიკარგა. ხუნტისადმი კეთილგანწყობის დოკუმენტად ვაქვეყნებ, კერვალიშვილის, 1992 წლის 17 ივლისის განცხადებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ .



ეს ის პერიოდია, როდესაც ხუნტა ახდენდა სამეგრელოს ეგზეკუციას, ხვრეტდნენ, ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ და აჩანაგებდნენ სამეგრელოს მოსახლეობას, რაზეც ერთი პროტესტიც კი არ გამოუქვეყნებია კერვალიშვილს, აღარაფერს ვამბობ თბილისში დახვრეტილ მიტინგებზე. ხუნტა აფინანსებდა და ხელფასებს უხდიდა კერვალიშვილის ე.წ. ადამიანის უფლებების ასოციაციას, რისი მოწმეც თავად გახლავართ. მოგვიანებით, ხუნტამ, ჩამონერგა იგი ეროვნულ მოძრაობაში და ფარისევლურად შექმნა „ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების კომისია“, რომლის შემადგენლობაში არაფრით შემიყვანა მე. მრავალგზისი მოთხოვნის შემდგომ, კომისიაში იძულებით შეიყვანა ჩემი თავმჯდომარეობით დაარსებული „ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის“ პოლიტიკური მდივანი თამილა ნიკოლაძე, რომელსაც არ აძლევდა დამოუკიდებლად მუშაობის უფლებას, რის გამოც ნიკოლაძემ დატოვა კომისია. კერვალიშვილის ოფისში, ეროვნულ ძალთა ინიციატივით დაიწყო რამდენიმეკაციანი შიმშილობის აქცია „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების“ მოთხოვნით, რამაც შეაშფოთა ხუნტის ხელისუფლება. ხუნტის დირექტივით, კერვალიშვილმა, მოშიმშილეებზე დაიწყო უხეში ზეწოლები, შეურაცხყოფები, მუქარები და აბუჩად აგდება, რაც შიმშილობის აქციის შეწყვეტით დასრულდა. ასეთი ცრუ და მოჩვენებითი აქტივობებით, კერვალიშვილი, პრესის საშუალებით ახდენდა საკუთარი თავის პოპულარიზაციას, რასაც მალე მიუხვდნენ ჟურნალისტები და აღარ დადიოდნენ მის ე.წ. კონფერენცია-მიტინგებზე, რაც კერვალიშვილის აგრესიას იწვევდა.

დღეს მიქავა-კერვალიშვილმა ისეთივე გაავებული ბრძოლა გამოუცხადეს ზვიადზე გამოცემულ წიგნს, როგორც ეს ორი ქვაბავაზაკი სიცოცხლეში ებრძოდა ზვიადს ხუნტასთან ერთად. მიქავამ და მისმა სარდალმა ლოთი ქობალიამ მიატოვეს ზვიადი და მიიმალნენ, ხოლო პრეზიდენტი მკვლელებს შეატოვეს. ახლა ესენი მანანას ბანაკში არიან და იქედან ეწევიან ზვიადის დისკრედიტაციას, თუმცა მანანამაც, უნდობლობის გამო, რამდენჯერმე გამოყარა ისინი „მრგვალი მაგიდიდან“, რომლებსაც, საჭიროების დროს ყოველთვის იბრუნებდა, რაც საგულისხმო ფაქტია...

შეთქმულებებით და პოლიტიკური ინტრიგებით მეფისა თუ დიდგვაროვანთა კარზე, ნამდვილად მდიდარია მსოფლიო ისტორია და საუბედუროდ, ამ მხრივ არც პატარა საქართველო ყოფილა გამონაკლისი; ცოლებისა თუ შვილების ფარულ და აშკარა მტრობას, მეფეთა სიცოცხლის გარდა, სახელმწიფო ინტერესებიც ეწირებოდა. მეფობის გადავარდნის შემდგომ ამგვარი შინაურ-ოჯახური მოსისხლე მოშურნეობა(დრამები) აწ უკვე პოლიტიკურ ერისკაცლიდერებზეც გავრცელდა და ჩვენს სინამდვილეში, საბოლოოდ, ორი უდიდესი მამულიშვილის - მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მათთვის. საჭირო გახდა, ძირფესვიანად ამოძირკვა და მოსვრა მათი თანამებრძოლებისა, რათა აღარა იძიებოდეს მათი მიმდევარი ლიდერი.

მანანა არჩვაძემ, რომელიც დღემდე სარგებლობს ზვიადის ქარიზმით, გადაწყვიტა, ლაფსა და ტალახში ამოსვაროს ჩემი უანგარო და უმწიკვლო ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი და იდეური ღირებულებებისათვის, რისთვისაც დღემდე განვიცდი რეპრესიებს ყოველი ხელისუფლებისაგან და რეპრესიები არც ჩემს ოჯახის წევრებს დაჰკლებიათ...

ასეთ მძიმე თემებზე მსუბუქად და მიშვებით ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ მხილების აუცილებლობა ნამდვილად არსებობს და რამდენი ტალახიც უნდა მესროლოს მანანა არჩვაძემ და დასმა მისმა, სიცრუითა და ცილისწამებებით ვერ დამაბრკოლებენ.

**ავტორის ბოლოთქმა:** **თუ მანანას დასი, 20 წლის შემდეგაც აღარ შეწყვეტს პერმანენტულ ბრძოლას ზვიადის იდეის ერთგული მემკვიდრეების წინააღმდეგ, მოტივირებული ვიქნები გამოვცე მეორე ნაწილი, აწ უკვე მანანისტების ბრძოლის ეპოპეასი, ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, რაზეც უხვი და შთამბეჭდავი მასალები გამაჩნია!...**


# პროტესტს ვაცხადებთ!

## სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის გამგეობის განცხადება

**ამა წლის 9 ივლისს** წალენჯიხის რაიონში უცნობმა პირებმა დაატყვევეს და მძევლად აიყვანეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე, ერთაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე კავსაძე.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ და ვგმობთ ზემოთ აღნიშნულ ფაქტს, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. ყოველი პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების დაცვა უშუალოდ დაკავშირებულია მისი და ერის სასიცოცხლო ინტერესებთან.

ამჟამად აუცილებელია გამოირიცხოს როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების მიმართ ძალადობა და დაცულ იქნეს პოლიტიკური ავანტიურიზმის ნებისმიერი გამოვლინებისაგან ყოველი მოქალაქის უფლებები.

**გიორგი კერვალიშვილი,**
ასოციაციის პრეზიდენტი.

# ცოტნე და კონსტანტინე გამსახურდიებმა მთავარ პროკურატურასთან შიმშილობა დაიწყეს



გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქტორისაგან: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არავითარი ილუზია არა გვაქვს, რომ თუნდაც ივანიშვილის ფაქტობრივი ხელისუფლება მაინც გამოიძიებს დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს, მნიშვნელოვნად და სამართლებრივად მივიჩნევთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შვილების პროტესტს და სოლიდარობას ვუცხადებთ მათ შიმშილობის აქციაში.

ჩვენი მოთხოვნაც ეგ არის!

როგორც „პრაიმტაიმს" ზვიად გამსახურდიას შვილმა, ცოტნე გამსახურდიამ განუცხადა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მკვლელობის საქმის დახურვას არ დაუშვებენ.

„მე და ჩემი უფროსი ძმა კონსტანტინე მთავარი პროკურატურის მისაღებში ვიმყოფებით და შიმშილობას ვაცხადებთ. ორ კვირაში გადის ვადა და საქმე უნდა დახურონ. უამრავი მასალისა და სამხილის მიუხედავად, არ ჰყავთ დამნაშავე გამოკვეთილი, რადგან არ ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. სამართლებრივად გამართულ პასუხს ველოდები. იციან ვინ არის მკვლელი და არ ახდენენ შესაბამის რეაგირებას. პროკურატურა ზვიად გამსახურდიას მკვლელს ხელს აფარებს. მის შესახებ ინფორმაცია პროკურატურასაც და ჩვენც გვაქვს" - განაცხადა ცოტნე გამსახურდიამ.




ემიგრანტის ჩანაწერები

***

ბედის მწერალმა, ჩვენ, მარად დილემის წინაშე დგომა დაგვაწერა.

სუდარაში გახვეული, დღეისდარი დღეები საქართველოს, ბოლო წყეული ხუთი საუკუნის მანძილზეც, არ ჰქონია, ალბათ...

არ ვიცი რა სჯობია, სამშობლოში უსამშობლოდ გდება, თუ შორიდან ცქერა სამშობლოსვაებისა?!

ცხრა მთას იქეთ, უაზროდ გატეხილ-დამსხვრეული, უსასრულო მრუმე ღამეები...

არც ბოლო აქვს და არც ცისკრის ვარსკვლავი ბჟუტავს ცის თავანზე...

ხავსი რაა,საამისოდ, ხავსიც აღარ გაიმეტეს ჩვენთვის...

"რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსახური მისი" - მუხრანმა ეს რომ დაწერა, მაშინ სიტყვაკაზმულობის გამო მომეწონა და სტრიქონებს ვერ ჩავჰყევი მის გულის სიღრმეში, თურმე რა დუღდა იმ წუთებში შიგ?!

"რაცა ღმერთსა გაუგია, თავსა ჩემსა გარდასავლად,. გადამხდეს და შემოვიქცე , აღარ დამრჩეს გული ავლად" - ჩიოდა დიდი რუსთველი... იმედი ხომ ჩვენს მერე კვდება!

იმედი?!

ჩვენს აღსასრულამდის ნუ შეგვასწროს ღმერთმა იმედის სიკვდილს!

"გენი მისი არ დაირტყამს მათრახს,

და სულ გვარზე იხტუნავებს კვიცი, - იქნებ ჯაყოს სახლში უშვებს, მაგრამ ჯაყოს გარეთ გაძევებაც იცის!"

"და საქართველო დიდჭირნახული გამოფხიზლდება ყველა იოგით,

ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის და გვიცავს მარად თეთრი გიორგი.“

**ალექსანდრე სანდუხაძე**
*ევროპა*

რეპლიკა

# თაკო ჩარკვიანი მიზანმიმართულად ხომ არ გვიხედნის ყურებს მისი ,,დიდი პუბლიცისტობის'' შესახებ?...

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ამსვლელთ, მარჯვენა სექტორში, თვალებს შორიდანვე გვიბრმავებს თეთრი მარმარილოს პომპეზური საფლავი და მაშინვე იგუმანებთ, რომ ეს ჯანსულის იქნებოაო, უთუოდ. აი, კუკიის სასაფლაოზე, ძველი ბიჭებისა და ქურდების სასაფლაოები, თუ გინახავთ (მეტისმეტად მდიდრულ-მეშჩანური), იმგვარივეა, სწორედ, რაც მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს, ნამდვილად ჭრის თვალს და კიდევ უფრო მეტად გიმტკიცებს აზრს, რომ ჯანსულის ადგილი პანთეონში ნამდვილად არ არის!



ამას გარდა, ჯანსულის საფლავის პერიმეტრი,ბარე, კიდევ ორ საფლავადაცაა მოზომილი და ნაცრისფერი მარმარილოს ფილებით დაფარული; თაკო ჩარკვიანი, მიზანმიმართულად ხომ არ გვიხედნის ყურებს, მისი „დიდი პუბლიცისტობის“ შესახებ?...ან კიდევ, მისი მომღერალი ძმისთვისაც ხომ არ მოიზომა, ასე „მადიანად“ , მთაწმინდის მიწა და საგვარეულო სასაფლაოდ ხომ არ დაიგულა პანთეონი?

**SOS! - მთაწმინდის პანთეონში, გოჯი მიწაც აღარ რჩება ჭეშმარიტად დიდი მოღვაწეებისთვის(რედ.)...**

# რუსის უმადურობა მთელი მისი არსებობის მანძილზე



ამ პუბლიკაციის დაწერა განაპირობა სოლჟენიცინის ქვრივის ნატალია სოლჟენიცინას რუსეთის ტელევიზია НТВ-სთვის მიცემულმა ინტერვიუმ, რომელშიც ქალბატონი ამუნათებს დასავლეთს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გამო და ამ კონფლიქტის წარმოშობაში ადანაშაულებს დასავლეთს: "Конечно. Там и землю всю испоганят. Там на них вообще не смотрят как на людей. Конечно, Запад их просто будет использовать. Нам такая участь не нужна. И когда Россия вдруг в путинские времена начала снова обретать какую-то силу военную, внешнюю силу, это совершенно обескуражило и разозлило Запад. Они не думали, что так будет".(https://www.ntv.ru/novosti/2115903/? )

ვინც ამ ინტერვიუს გადახედავს, მისთვის კიდევ ერთხელ გახდება ნათელი „რუსული სულის სიდიადე“, ცნობილი დისიდენტის ქვრივის მიერ კიდევ ერთხელ „გასხივოსნებული“.

მოკლედ, ვერც რუსი დისიდენტები აღწევდნენ და აღწევენ თავს ველიკორუსულ ვირუსს, რა თქმა უნდა მცირედის გამოკლებით და მათაც ფიზიკურად ანადგურებს და სპობს რუსეთის სპეცსამსახურები.

რუსეთთან ჩვენი დამოკიდებულების გამო ხშირად გვეკამათებიან ფარული თუ აშკარა ქართველი რუსეთუმეები ან პროფანები, რომლებიც სიღრმისეულად არ იცნობენ ნამდვილ რუსულ სულს, რომელიც განივთებულია ამ კონგლომერატის არსებობის მთელს ისტორიაში. ვინც გადახედავს ხუთასი წლის არაადამიანური სისასტიკე, რაც რუსის იმპერიის სალდაფონის სულსა და შემეცნებაშია მკვიდრად ფესვგადგმული.

გარდა ამ დაუოკებელი დამპყრობლური სულისა და მისწრაფებებისა, რუსის იდეოლოგიას ახასიათებს მეორე დიდი ავადმყოფობა და სენი - უ მ ა დ უ რ ო ბ ა, როგორც ცალკეული ისტორიული პერსონების, რომელთაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს რუსის იმპერიას, ასევე ცალკეული ხალხების, ერების და სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც დახმარების ხელი გაუწვდენიათ მისთვის გაჭირვებისა და ძნელბედობის ჟამს.

ახლა კი გადავხედოთ რუსული იმპერიული უმადურობის ქრონოლოგიურ ფაქტებს ბოლო ასწლეულის მანძილზე...

რამდენჯერ გადაარჩინა დასავლეთმა რუსეთი და იქნებ, ამაოდაც?!

აწ უკვე ყველასათვის ნათელი ხდება, რომ ნამდვილად ამაოდ...

რუსეთის დანგრევა, ჯერ კიდევ უცილობლად საჭირო იყო 90-იანი წლების დასაწყისშივე, როცა მთელი დასავლური საზღვარი სრულიად ღია იყო! ფაქტიურად, ის აღარც კი არსებობდა, „მამაცი“ საბჭოთა გენერლები კი აღმოსავლეთ ევროპაში (და არა მარტო იქ) ერთმანეთს ასწრებდნენ, თითქმის უფასოდ იძლეოდნენ ერთობ გასაიდუმლოებულ იარაღს, რომელთათვისაც სულ ერთი იყო, ვის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ მას. აი, მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი მშიერი და სრულიად დემორალიზებული რუსეთის აღება შიშველი ხელებით. ამის ნაცვლად კი ჰუმანურმა და კეთილმა დასავლეთმა შეაძლებინა რუსეთს შიმშილით არ ამოხდომოდა სული, თავს დააყარა „ბუშის სამწვადეები“ და ათასგვარი ნუგბარები; გაუწია რა მორალურ-პოლიტიკური მხარდაჭერა, შექმნა გაუცნობიერებელი G7+1 და შეუშვა ის ევროსაბჭოში. დასავლეთს აზრად არ მოსვლია, რომ ამით თავისთვის იმზადებდა დაძაბულობის მორიგ წყაროს ევროპის კონტინენტზე.

და აი, გაირბინა საუკუნის მეოთხედმა და ეს უწმინდური წარმონაქმნი, აწ უკვე გამაძღარი, კვლავ წარმოჩინდა მთელი თავისი გახრწნილი არსით.

იმედია, დასავლეთს აღარ შერჩება ილუზიები ამ უგვანოთა ნაკრძალთან ურთიერთობაში და რუსეთს ელოდება დაყოფა ცივილიზებულ ქვეყნებს შორის საპასუხისმგებლო ზონებად, საშინაო მმართველობაში მის ტერიტორიაზე საოკუპაციო ადმინტრაციის მუდმივი წარმომადგენლობით, სრული იძულებითი დემილიტარიზაციითა და დესოვეტიზაციით...

არა, პუტინი არ არის ყოველივე ამის უპირველესი მიზეზი, უპირველესი მიზეზია სწორედ რუსეთის მოსახლეობა - ნარჩენი ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად გამოყვანილი ხალხი - ადამიანთა ახალი უგვანო ფორმაცია. ამ გენეტიკური შეცდომის ნარჩენები რუსეთში განთესილია. ასე რომ, ერთი პუტინის მოშორებით ეს პროცესი არ დასრულდება.

აუცილებელია ერთობ მკაცრი ზომების კომპლექტი, მიმართული ველიკოდერჟავული შოვინიზმის და აგრესიის აღმოსაფხვრელად ამ ტერიტორიის მოსახლეობის ძირითად მასაში. სწორედ მკაცრი, რადგანაც შეგონებით და დაყვავებით ამ ბიოლოგიურ მასასთან ვერაფერს გახდები.

ახლა კი დავუბრუნდეთ ისტორიას:

პირველი: 1905 წელს რუსეთმა ფაქტიურად წააგო იაპონიასთან ომი, რომელიც თვითვე გამოუცხადა მას. დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, გერმანიამ მაშინ ყოველი ღონე იხმარეს, რათა დაეყოლიებინათ იაპონია, რომ რუსეთთან დაედო ზავი, რომელიც ფაქტიურად „ყაიმს“ უთანაბრდებოდა.ეს ზავი ხელმოწერილ იქნა პორტსმუტში (აშშ).

ამასთანავე, ცუსიმის შემდეგ რუსეთის დამარცხება თვალნათელი იყო თვით შუბლსქელა რუსი პატრიოტებისთვისაც კი.

რუსეთი ამ ზავის შედეგებით დარჩა უკმაყოფილო, ხოლო მისით სარგებელი (რომლის უგულებელყოფაც შეუძლებელი იყო) მთლიანად მიაწერა ს.უ. ვიტტესა და თვით ნიკოლოზ მეორის „წარმოუდგენელ“ დიპლომატიურ ტალანტს.

2. 1914 წლის 1 აგვისტოს გერმანიამ, საყოველთაო მობილიზაციასთან დაკავშირებით რუსეთის უარის გამო, გამოუცხადა მას ომი.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. რუსეთის მოკავშირეებმა - დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და 1917 წლიდან აშშ-მ თავის თავზე აიღეს ომის მთელი სიმძიმე.

მთავარი ბრძოლები იმართებოდა დასავლეთის ფრონტზე. იქვე იყვნენ შეკრულნი გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის მთავარი ძალები.

1918 წელს , რუსეთმა, რომელსაც იმ დროისთვის ხელმძღვანელობდა გერმანიის მიერ წარგზავნილი ლენინი, ცალმხრივი წესით, მისი მოკავშირეების მოთხოვნების უგულებელყოფით, ხელი მოაწერა გერმანიასთან გამყიდველურ სამშვიდობო ზავს (ე.წ ბრესტის ზავი) და გავიდა ომიდან.

3. 1921 წელს რუსეთში ნგრევისა და კომუნიზმის სამხედრო დიქტატურის პოლიტიკის შედეგად დაიწყო შიმშილი. შიმშილობდა 40 მილიონამდე ადამიანი. დასავლეთის ქვეყნები დახმარებით მოვიდნენ საბჭოთა რუსეთთან, მიუხედავად იდეოლოგიური უთანხმოებისა და 1918 წლის ვერაგული გამყიდვლობისა.

დახმარების მასშტაბები გასაოცარი იყო: მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია American Relief Administration (ARA) კვებავდა 6,1 მლ ადამიანს. ამერიკის კვაკერების ორგანიზაცია 265 000 კაცს, საერთაშორისო "Save the Children Alliance" - 259 751, ნანენსის კომიტეტი 138 000, შვედეთის წითელი ჯვარი 87 000, გერმანული წითელი ჯვარი 7 000, ინგლისის პროფკავშირები 92 000, მუშათა საერთაშორისო ფონდი - 78 011 ადამიანს.

1922 წლის პირველი ივნისისათვის მოშიმშილე გუბერნიებში გაიხსნა 7000 უფასო საბჭოთა სასადილო, უცხოური ორგანიზაციების მიერ კი 9500. 1922 წლის შემოდგომისთვის АРА ყიდულობს საცვლებსა და ფეხსაცმელებს ამერიკის არმიისაგან საბჭოთა რუსეთში დასარიგებლად.

1922 წლის ბოლოსათვის კი АРА-ში შემავალი ორგანიზაციების მიერ დახმარება გაეწია 10 მლ-ზე მეტ ადამიანს.

სასურსათო დახმარების გარდა АРА დახმარებას უწევდა მედიცინის გამართვაშიც, ვაქცინაციაში და ფეთქებად ეპიდემიებთან ბრძოლაში.

АРА-ს წარმომადგენლობები მთლიანობაში გაიხსნა საბჭოთა რუსეთის 38 გუბერნიის ტერიტორიაზე.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შეფასებით: АРА-მ შემოიტანა 36,3 ათასი ფუთი სურსათი, წამლები და სამოსი, ერთიანობაში, 136 მილიონი ოქროს მანეთის მთლიანი ღირებულებით.

მოშიმშილეთა გამოსაკვებად გახსნილი იყო 15 ათასი სასადილო. АРА აქტიურობის პიკით მუშაობდა 300 ამერიკის მოქალაქე და 120 000 საბჭოთა მოქალაქე.

შიმშილის დამარცხების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების მიერ კაპიტალისტური დასავლეთი გამოცხადდა საბჭოთა რუსეთის უმთავრეს მტრად და დაიწყო უპრეცედენტო პროპაგანდისტული კამპანია დასავლეთთან ომის შემზადებისთვის.

ლენინმა განაცხადა: „ისინი მოგვყიდიან ბაწარს, რომლითაც ჩვენ მათ ჩამოვკიდებთ!“

4. 1941 წელს საგარეო ავანტურისტული პოლიტიკის შედეგად, რუსეთი დარჩა მარტო, მოკავშირეების გარეშე გერმანიასთან ომში. 1941 წლის შემოდგომით გერმანელები მივიდნენ მოსკოვთან. დიდი ბრიტანეთი და აშშ კი მოვიდნენ რუსეთის დასახმარებლად. გაწეულ იქნა უპრეცენდენტო დახმარება (მათ შორის, „ლენდ-ლიზი„) იარაღით, ნედლეულით, სანოვაგით.

დახმარების საერთო მოცულობა შეადგენდა 12 მილიარდ დოლარს 1941 წლის ფასებით, რუსეთმა ამ ჯამის მხოლოდ 7% დაფარა და ისიც მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში. დანარჩენი ვალი კი ჩამოეწერა მოკავშირეების მიერ.

1945 წელს, გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა აიღო კონფრონტაციის და მესამე მსოფლიო ომის შემზადების კურსი. ნგრევის მიუხედავად მან უარი თქვა მარშალის გეგმაში მონაწილეობაზე და ეს აუკრძალა მის მარიონეტებსაც აღმოსავლეთ ევროპაში. მხოლოდ სტალინის სიკვდილმა შეაჩერა საომარი ჯახი, რომლის კატასტროფული შედეგების (ორთავე მხარის ატომური იარაღის ფლობის გათვალისწინებით) თქმაც არ წარმოადგენს სიძნელეს.

5. 1989-1991 წლებში რუსეთი იდგა გარდაუვალი შიმშილის ზღურბლზე, რომელიც გამოწვეული იყო რუსეთის (საბჭოეთის) ხელისუფალთა აბსურდული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. დასავლეთი მოვიდა დასახმარებლად.

მას გაეწია ჰუმანიტარული დახმარება, უპირველესად, სასურსათო. მხოლოდ 1991 წელს მას უფასოდ გადაეცა 214 ათასი ტონა სურსათი. ამასთანავე გამოყოფილ იქნა შეღავათიანი კრედიტები ამერიკისაგან ხორბლის შესაძენად საბაზრო ფასებზე გაცილებით იაფად. რუსეთს დიდი დახმარება გაუწია გერმანიამ, მთელს ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციები აგროვებდნენ ამანათებს რუსეთისათვის.

როგორც წესი, ყოველივე ეს დაივიწყა უმადურმა რუსმა.

ახლა ისინი თვლიან, რომ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო შიმშილობა. დასავლური ჰუმანიტარული დახმარება კი არც იყო საჭიროო (რომლის რიგებშიც რუსები ერთმანეთს თვალებს თხრიდნენ).

რუსეთი, როგორც კი ოდნავ მომჯობინდა და „ქონი დაიდო“, წამსვე შევიდა დასავლეთთან კონფრონტაციაში:

„რუსეთი ისევ „მტრების ალყაშია“ და „მსახვრალი“ დასავლეთი ყოველთვის ცდილობს და ფიქრობს, თუ როგორ მოაშთოს რუსეთი, დაიპყროს მისი ტერიტორიები, მისი მოსახლეობა კი დაამონოს.“

ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირისთვის გაწეული დახმარება ე.წ. ინდუსტრიული რევოლუციის დროს, რომელსაც საბჭოთა და რუსული ისტორიოგრაფია ურცხვად მიაწერს დიადი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას „უკვდავი“ სტალინის მეთაურობით.

ათი წლის მანძილზე ამერიკელებმა სსრკ-ში ააშენეს დაახლოებით 1 500 ფაბრი-

გაგრძელება გვ. 7

# საკონსტიტუციო სასამართლომ მიწების უცხოელებისთვის გასხვისებაზე დაწესებული მორატორიუმი გააუქმა

მიმდინარე, 2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო განჩინება საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები №1267



და №1268).

კონსტიტუციური სარჩელებით სადავო იყო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლების შეჩერებას.

„საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად კრძალავს უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებაში გამოხატული სამართლებრივი პოზიცია, დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა და სადავო ნორმა ძალადაკარგულად ცნო საქმის არსებითი განხილვის გარეშე“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციაშია აღნიშნული, განჩინებას თან ერთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ევა გოცირიძის, მანანა კობახიძის და მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ის სამართლებრივი ნორმა, რომლითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს 2017 წლიდან მიწის რეგისტრაციის უფლება შეჩერებული ჰქონდათ, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ძალაში შესვლამდე.

***წყარო:https://bpn.ge/.../51036-sakonstitucio-sasamarthlom-mitsebis-uckhoelebze-gaskhviseb.***

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ განჩინებამ დიდი გულისწყრომა გამოიწვია ქართველ პატრიოტებში და საპროტესტო გამოსვლებისაკენ მოუწოდეს ქართველ ერს. უცხოელებზე მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით, დარგის სპეციალისტის, ბიძინა გიორგობიანის თვალსაზრისი კი ასეთია:

„უცხოელები (ფიზიკური და იურიდიული პირები ერთად აღებული) ფლობენ, საქართველო სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების მხოლოდ 0,7-0,8 %. რაოდენობრივად ესაა 19.000 ჰექტრამდე. აღნიშნული სავარგულების დიდ ნაწილს ფლობს რამოდენიმე უცხოელი მსხვილი სასოფლო საწარმო (მაგ. ფერერო როშერი ზუგდიდში). წვრილი და საშუალო სასოფლო სავარგულების უცხოელი მფლობელები, სულ თითზე ჩამოსათვლელია. 2012 წლიდან, მიწების უკონტროლო გაყიდვის შეკავებისათვის, კიდევ ერთჯერ მადლობა ქალბატონ თეა წულუკიანს.

იუსტიციის სახლთან (და შემდეგ ტელევიზიით ნათქვამი) ე.წ. "გადასაფორმებლად მომზადებული 250.000 კორუმპირებული ქეისი" არასერიოზულია, ასევე დიდი პრობლემაა საქმეში გაურკვეველი და მეგაფონმომარჯვებული ეგზალტირებული "პოლიტიკოსების" ყვირილი. დიდი პრობლემაა, საკონსტიტუციო სასამართლოს მორიგი საეჭვო გადაწყვეტილებაც. საქმეში გარკვეულმა ადამიანები კი დამეთანხმებიან, რომ ქართული მიწათმოქმედების მთვარი პრობლემა, აგრარული პოლიტიკის, სოფლის მდგრადი განვითარების მრავალწლიანი პროგრამის საერთოდ არქონაა. შემდეგ მოდის, მთელი ჩამონათვალი, რაც ტანჯავს ქართულ სოფელს და ფიზიკურად სპობს ჩვენს მიწებს, კერძოდ;

1) მიწათმოქმედების არქაული წესები და მიწის დამუშავების მოძველებული ტექნოლოგია

2) მიწების ეროზიის შეუქცევადი პროცესი, რომლის შდეგადაც ასეულობით ჰექტარი სავარგული ხდება გამოუყენებელი

3) სადრენაჟე და საწრეტი კოლექტორების გაბიდვნა/მოშლა, რამაც გამოიწვია ნიადაგების დამლაშება უზარმაზარ (მაგ ალაზნის ველის 100.000 ჰა ზე მეტი, მდინარე იორის ქვემო წელი) ტერიტორიებზე.

4) მელიორაციის (გასარწყავიანების) დაბალი ტემპები რაც მოუსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზია



5) არხებიდან, სავარგულების მიგდებით რწყვა, რაც აზიანებს მიწას და მცენარეებსაც.

6) დაუსრულებელი მიწის კადასტრი.

7) სატყეო, სამეურნეო, დაცული ტერიტორიების, არასასოფლო მიწების და საძოვრების გადაფარვა.

8) ჭარბი და უკონტროლო ძოვება სავარგულებზე, რაც ხელს უწყობს ეროზიას

9) შხამქიმიკატების: პესტიციდების, ჰერბიციტების, ინსექტიციდების და პესტიციდების უკონტროლო/ ჭარბი ხმარება სავარგულებში.

10) გაუგონარი სიველურე, მოსავლის აღების შემდეგ მინდვრების მასიური გადაწვა, რაც ანადგურებს ჰუმუსოვან ფენას.

აქვე ვიტყვი, რომ აღნიშნულ საკითხზე, ჩემს გაკვირვებას იწვევს სოფლის მეურნეობის კომიტეტის თვმჯდომარის ბატონ ოთარ დანელიას პოზიცია, რომლისათვისაც კარგადაა ცნობილი ყოველივე ზემოთქმული და ვფიქრობ უფრო მეტ ობიექტურობას უნდა იჩენდეს არსებული პრობლემების მიმართ. ასევე აღვნიშნავ, რომ 2020 წლიდან ევროკავშირი გადადის ერთობლივ აგრარპოლიტიკაზე Common Agricultural Policy (CAP) რაც საკუთრივ მოიცავს ჩვენი ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტებს, რითაც ასე ხშირად ამაყობენ ჩვენთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, არ არის მიზანშეწონილი კანაბისის კანონპროექტის მსგავსი ისტორია, კიდევ ერთჯერ განმეორდეს. არ იქნება კარგი, საკონსტიტუციო ნორმის და ორგანული კანონის გამოსწორებისაკენ, მომავალში სხვებმა მიგვითითონ. უცხოელების შიშის დანერგვაც კარგს არაფერს მოიტანს, მიწის შემძენი უცხოელი მოქალაქეების დიდი ნაწილი, რუსეთის მოქალაქეობა მიღებული ისევ ეთნიკური ქართველები არიან და ალბათ სჯობს, იმ ნამდვილ პრობლემებს მივხედოთ, რაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ქართულ მიწას და სოფელს წინ წასწევს, ჩვენს მოქალაქეებს დაუბრუნებს მსყიდველობით უნარიანობას და მიწებს დაიცავს ფიზიკური განადგურებისაგან.

**ბიძინა გიორგობიანი**

რედაქტორისაგან: ***ჩვენ მზად ვართ წამოვიწყოთ ფართო დისკუსია, ქართველებისათვის (როგორც მცირემიწიანი ერისთვის) ამ მეტად მტკივნეულ და სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხზე და შესაბამისი გეგმა-პროგრამაც შევიმუშავოთ, რათა არ მოხდეს ქართული მიწების უცხოელებზე უკონტროლოდ გასხვისება; მითუმეტეს, ისეთი ხელისუფლების მხრიდან, როგორიცაა ბ. ივანიშვილის ხელისუფლება, რომელიც სრულიად მოკლებულია პასუხისმგებლობას ერის და ქვეყნის წინაშე და არცერთი დარგის მიმართ არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი მიდგომები.***

# რუსის უმადურობა მთელი მისი არსებობის მანძილზე

დასაწყისი გვ. 5

კა-ქარხანა. სსრკ-ში ჩამოვიდა დაახლოებით 200 ათასი ამერიკელი ინჟინერი და ტექნიკოსი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გულაგის მილიონობით პატიმარს...

როგორც Freedom and Reason Всего იუწყება 10 წლის მანძილზე 1930-1940 წლებში ამერიკელებმა სსრკ-ში შექმნეს ქიმიური, საავიაციო, ელექტროტექნიკური, სანავთობო, სამთო-სამომპოვებლო, ქვანახშირის, მეტალურგიული და მრეწველობის სხვა დარგები. ევროპაში უდიდესი საავტომობილო, სატრაქტორო, საავიაციო ძრავების და სხვა პროდუქციის მწარმოებელი ქარხნები. მაგალითად, სტალინგრადის ცნობილი სატრაქტორო ქარხანა მთლიანად აშენდა აშშ-ში, დაშალეს და 100 გემის მეშვეობით ჩამოტანილ და აწყობილ იქნა სსრკ-ში. „დნეპროჰესი“ ააშენა ამერიკულმა ფირმამ Cooper Engineering Company და გერმანულმა ფირმამ Siemens-მა. ამ ქარხანაში შექმნეს პირველი ტანკები. გორკის ავტოქარხანა აშენდა ამერიკული ფირმის Austin-ის მიერ. ახლანდელი АЗЛК (автомобильный завод им. Ленинского комсомола (Москва), მსუბუქი ავტომობილ „მოსკვიჩის„ქარხანა აშენდა ფორდის პროექტით. ცნობილი „Магнитка“ არის სრული ასლი ინდიანას შტატის ქ. გერის მეტალურგიული კომბინატისა. ფირმამ Albert Kahn Inc დააპროექტა და ააშენა 500 საბჭოთა საწარმო. Albert Kahn-ი არის დეტროიტის ინდუსტრიული არქიტექტორი. მიზეზი სახელდობრ კანთან მიმართებისა არის ის, რომ მან დააპროექტა ფორდის ყველა ქარხანა. მანვე გამოიმუშავა მაღალმწარმოებადი ტექნოლოგია სამრეწველო დაწესებულებების დაპროექტებისათვის. აშშ-ში მისმა ფირმამ 400 თანამშრომლის მეშვეობით ერთ კვირაში დაამზადა ნახაზები სამრეწველო დაწესებულებებისა და ხუთი თვის განმავლობაში ააშენა ისინი. კანმა პრაქტიკულად შეძლო დაესაბუთებინა, რომ მას ძალუძს იგივეს გაკეთება სსრკ-ში: СТЗ-ს პროექტი შესრულდა რეკორდულად მოკლე დროში. სამშენებლო კონსტრუქციები დამზადდა აშშ-ში, გადაიტანეს სსრკ-ში და აიწყო ექვს თვეში.

სწორედ Albert Kahn Inc-ის ფირმამ სსრკ-ში შექმნა წამყვანი ინდუსტრიული მშენებლობის სკოლა. ქარხნებთან ერთად იქმნებოდა ქალაქები მუშათათვის. ერნს მაი - გერმანელი არქიტექტორი მონაწილეობას ღებულობდა დაახლოებით 20 საბჭოთა ქალაქის მშენებლობის დაპროექტებაში!

როგორც ზემოთ ვთქვით, ათი წლის მანძილზე ამერიკელებმა სსრკ-ში ააშენეს დაახლოებით 1 500 ფაბრიკა-ქარხანა. სსრკ-ში ჩამოვიდა დაახლოებით 200 ათასი ამერიკელი ინჟინერი და ტექნიკოსი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გულაგის მილიონობით პატიმარს - ამას ემატება რუსეთში დარჩენილი რევოლუციამდელი კადრების მცირე ნაწილი, რომელთაც განათლება დასავლეთში ჰქონდათ მიღებული. ამერიკელმა პროფესურამ მუშფაკებში მოამზადა სამასი ათასამდე კვალიფიციური სპეციალისტი - ესე იგი საბჭოთა მრეწველობის მთელი კადრები, რომელთაც წინ წასწიეს სსრკ-ს ინდუსტრიულ-ტექნიკური პროცესი.

1940 წლისათვის სსრკ წარმოებული პროდუქციის მოცულობით იკავებს მეორე ადგილს, ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს. ამ დროისთვის უცხოელი ინჟინრების დახმარებით მომზადდა 2 მილიონზე მეტი საბჭოთა სპეციალისტი, რომლებმაც აითვისეს ახალი ტექნოლოგიები. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა 10 მილიონით უდროოდ სიკვდილის გამო და თუ რა იყო უდროოდ სიკვდილის მიზეზი, დღეს ყველას მშვენივრად მოეხსენება - რუსულ საბჭოთა იმპერიაში კომუნისტური რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიები.

სსრკ-ში ამერიკელი სპეციალისტების ჩამოსვლა დაიწყო ჯერ კიდევ ოციანი წლების შუახანებში. ამერიკელ სპეციალისტთა ერთ ნაწილს, რომლებიც იმხანად დარჩნენ საბჭოთა კავშირში, შეეხოთ უმადური რუსის მსახვრალი ხელი რეპრესიების პერიოდში. ბევრმა მათგანმა კი გულაგებშივე დალია სული!

ამრიგად, სოციალიზმის მატერიალური ბაზა აღაშენეს ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტებმა პატიმართა უფასო შრომით.

ახლა კი ქართველი ბოლშევიკ-რუსეთუმეების ყივილის მოსაგერიებელ ფარად გამოვიყენებთ თვით „ხალხთა მამის“ ციტატებს ამ ჩვენს პუბლიკაციაში გადმოცემული ფაქტების კიდევ უფრო გასამყარებლად.

ი.ბ. სტალინი: „ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების გარეშე ჩვენ წავაგებდით ომს“.

„ხალხთა მამამ“ ამის შესახებ განაცხადა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის დაბადების დღეზე, ჯერ კიდევ 1943 წელს.

დასავლეთის დახმარების როლზე, კერძოდ კი ამერიკული პროგრამის „ლენდ-ლიზის“, რომლის ფარგლებში ომის დროს სსრკ-ს მიეწოდებოდა არა მარტო სამხედრო თუ სამოქალაქო ტექნიკა, არამედ ტანსაცმელი და სურსათი, რაიც მშვენივრადაა ცნობილი, მაგრამ დღესამომდე არსებობენ მკვლევარები, რომლებიც უარყოფენ ამ დახმარების მასშტაბებს, ანიჭებენ რა მას მეორეხარისხოვან როლს. მაგრამ ამასვე აქარწყლებს სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვები ჩერჩილის დაბადების დღეზე, რომელსაც ადასტურებს თვით ხრუშჩოვიც.

ჩვენი რჯულგამწყრალი რუსეთუმეები რომ არ აყაყანდნენ, ამისათვის გთავაზობთ ჩერჩილის დაბადების დღეზე სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის ამონარიდებს და ხრუშჩოვის დადასტურებას რუსულ ენაზე:

"Я хочу сказать вам, что, с советской точки зрения, сделали Президент и Соединённые Штаты для победы в войне. Самые важные вещи в этой войне – машины. Соединённые Штаты доказали, что могут производить от 8,000 до 10,000 самолётов в месяц. Россия может производить, самое большее, 3000 самолётов в месяц. Англия производит 3000-3500 в месяц, в основном тяжёлые бомбардировщики. Таким образом, Соединённые Штаты – это страна машин. Без этих машин, поставлявшихся по ленд-лизу, мы бы проиграли эту войну".

სტალინის სიტყვები დოკუმენტურად დაფიქსირებული იყო ამერიკის პრეზიდენტის ყოველდღიური მოვლენების ამსახველ ჟურნალში თეირანის კონფერენციის დროს, რომელიც კვლავ გამოქვეყნდა 1961 წლის ამერიკულ კრებულში 469-ე გვერდზე. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის „ტოსტი“ ჟურნალში შეტანილი იყო ყველაზე საინტერსო მოვლენად 1943 წლის 30 ნოემბრის საზეიმო ვახშამზე.

აი, ამ სადღეგრძელოს ინგლისური ტექსტიც!

„I want to tell you, from the Soviet point of view, what the President and United States have done to win the war. The most important things in this war are machines. The United States has proven that it can turn out from eight to ten thousand airplanes a month. England turns out three thousand a month, principally heavy bombers. The United States, therefore, is a country of machines. Without the use of those machines, through Lend-Lease, we would lose this war“.

აი, ამის შესახებ რა დაწერა ხრუშჩოვმა თავის „მემუარებში“:

„Хотел бы высказать своё мнение и рассказать в обнажённой форме насчёт мнения Сталина по вопросу, смогли бы Красная Армия, Советский Союз без помощи со стороны США и Англии справиться с гитлеровской Германией и выжить в войне. Прежде всего, хочу сказать о словах Сталина, которые он несколько раз повторял, когда мы вели между собой „вольные беседы“. Он прямо говорил, что если бы США нам не помогли, то мы бы эту войну не выиграли: один на один с гитлеровской Германией мы не выдержали бы её натиска и проиграли войну. Этой темы официально у нас никто не затрагивал, и Сталин нигде, я думаю, не оставил письменных следов своего мнения, но я заявляю тут, что он несколько раз в разговорах со мной отмечал это обстоятельство. Он не вёл специально разговоров по этому вопросу, но когда возникала беседа непринуждённого характера, перебирались международные вопросы прошлого и настоящего, и когда мы возвращались к пройденному этапу войны, то он это высказывал“.

სტალინი ჩერჩილის დაბადების დღის მილოცვამდე რამდენიმე წლით ადრე თავის ადრინდელ მოკავშირესა და მეგობარს ადოლფ ჰიტლერსაც ადღეგრძელებდა და ულოცავდა დაბადების დღეს, თავის მხრივ ასევე ადოლფიც იოსებს. როგორც საარქივო ისტორიული წყაროები მიუთითებენ, მათ ერთმანეთი გაიცნეს სტალინის ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ცხოვრებისას, როდესაც სტალინი იქ ემიგრაციაში იმყოფებოდა. წყაროების მიხედვით იქ იმ წელს ქალაქის მეთორმეტე რაიონის სკვერებში ერთად იკრიბებოდნენ სტალინი, ჰიტლერი, ბულგარელი გიორგი დიმიტროვი და ხორვატი ბროზ ტიტო, რომელნიც შემდგომში მოგვევლინენ თავიანთ ქვეყნებში ტოტალიტარული რეჟიმების მეთაურებად.

აი, როგორ ულოცავდა ჰიტლერი სოსელოს დაბადების დღეს:

„Ко дню Вашего шестидесятилетия прошу Вас принять мои самые искренние поздравления. С этим я связываю свои наилучшие пожелания, желаю доброго здоровья Вам лично, а также счастливого будущего народам дружественного Советского Союза. Адольф Гитлер.“

სტალინმა კი წამსვე აფრინა სამადლობელი დეპეშა ადოლფთან:

Главе Германского государства господину Адольфу Гитлеру Берлин Прошу Вас принять мою признательность за поздравления и благодарность за Ваши добрые пожелания в отношении народов Советского Союза. И. Сталин

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ხელმოწერის საზეიმო აღნიშვნის ბანკეტზე კი სტალინმა ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა: "Я знаю, как сильно немецкая нация любит своего вождя, и поэтому мне хочется выпить за его здоровье,“

გერმანელებისთვის ეს მოულოდნელი იყო. რიბენტროპმა საპასუხოდ ასწია სტალინისა და საბჭოთა მთავრობის სადღეგრძელო.

სტალინმა ჰიტლერს მიულოცა პოლონეთზე გამარჯვება.

1939 წლის დასარულს, 31 დეკემბერს სტალინმა და ჰიტლერმა გაცვალეს საახალწლო მილოცვები:

Гитлер - Сталину: "Лучшие пожелания личного благополучия Вам, а также будущего процветания народам дружественного Советского Союза".

Сталин - Гитлеру: " Дружба народов Германии и Советского Союза скрепленная кровью, имеет все основания быть длительной и прочной".

ჰიტლერმა მიულოცა სტალინს შემდგომი დაბადების დღე და აჩუქა მას სპეციალურად დამზადებული „მერსედეს ბენცი“.

სტალინმა მიულოცა ჰიტლერს ნორვეგიაში გერმანული არმიის შეჭრა.

სტალინმა პირადად მიულოცა ჰიტლერს პარიზის აღების დღე და ამ მოვლენას უწოდა „справедливой победой над французским империализмом“.

ასე რომ,რუსეთის ორსახოვან სახეს წარმატებით ითვისებდნენ და წარმოაჩენდნენ მისი არარუსი მმართველებიც დაწყებული რომანოვთა დინასტიიდან და დამთავრებული სტალინითა და ხრუშჩოვით!

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია თუ რა პატივი მიაგო რუსეთის სიძლიერეს შეწირულ ნაქართველარ პეტრე ბაგრატიონსა და იოსებ ჯუღაშვილს, უკრაინელ ნიკიტა ხრუშჩოვს რუსეთმა. მომავალშიც მათი ბედი არ ასცდებათ რუსეთის სამსახურში ჩამდგარ რენეგატებს!

ფრთხილად, შორს დავიჭიროთ თავი უმადური რუსისაგან!

დასავლურ სამყაროს კი ჰმართებს გაიცნობიეროს წარსულის გაკვეთიელბი და აღარ დაუშვას იგივე შეცდომები რუსთან მიმართებაში. ამაოა ამ ქვეყანასთან დემოკრატიული პრინციპების, პიროვნული თავისუფლებისა თუ სხვა ზოგადკაცობრიული იდეების ქადაგი, თვინიერ ამისა კი საბოლოოდ თვით აღმოჩნდება გადაულახავი ბარიერის წინაშე, რაიც კაცობრიობისთვის იქნება საბედისწერო!

ინტერნეტსაიტების მიხედვით
პუბლიკაცია მოამზადა
ალექსანდრე სანდუხაძემ

# ეროვნული მოძრაობის ეკლიანი გზა

სიტყვა დისიდენტი გულისხმობს პიროვნებას, რომელიც ეწინააღმდეგება დამყარებულ მოსაზრებებს, პოლიტიკას ან სისტემას. უფრო ხშირად გამოიყენება ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური დისიდენტების აღსაწერად. თავდაპირველად აღნიშნავდა სხვაგვარად მოაზროვნეს, ადამიანს, ვინც საეკლესიო მოძღვრების, ღვთისმსახურების ან ეკლესიის მოწყობის საკითხებში განუდგა გაბატონებული კონფესიის ოფიციალურ თვალსაზრისს. ცივი ომის პერიოდში ტერმინი გამოიყენებოდა სოციალური ბანაკის იმ პირთა აღსანიშნავად, ვინც არ ეთანხმებოდა გაბატონებული იდეოლოგიის პოლიტიკურ დოგმატიკას.

საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის მიუხედავად, შემავალ რესპუბლიკებში ყოველთვის არსებობდა დისიდენტური მოძრაობები. რა თქმა უნდა, არც საქართველო არ იყო გამონაკლისი. საქართველოში ეროვნული მოძრაობის შედარებით გააქტიურება 1980-იანი წლების ბოლოდან იწყება, მიხეილ გორბაჩოვის მიერ საბჭოთა კავშირში გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ. 1988 წლიდან ქვეყანა მასობრივი აქციების ტალღამ მოიცვა, თუმცა ეროვნულ მოძრაობას და რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას საფუძველი უფრო ადრე, 1970-იან წლებში ჩაეყარა.

1975 წელს ჰელსინკში (ფინეთი) გაფორმდა ფუნდამენტური დოკუმენტი, რომელსაც ევროპის 35 ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა კავშირს უნდა აეღო ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება. ჰელსინკის შეთანხმების გაფორმებას საქართველოში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში დისიდენტური მოძრაობის გააქტიურება და არაფორმალური გაერთიანებების ჩამოყალიბება მოჰყვა. „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფს“, რომელსაც 1989 წლიდან „ჰელსინკის კავშირი“ ეწოდა, სათავეში ჩაუდგნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვა დისიდენტები. გამსახურდია და კოსტავა არალეგალურ საქმიანობას ჯერ კიდევ 1954 წლიდან ეწეოდნენ, როდესაც შექმნეს იატაკქვეშა პატრიოტული ორგანიზაცია „გორგასლიანი“, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის საწინააღმდეგო, ეროვნული შინაარსის პროკლამაციებს ავრცელებდა. „გორგასლიანის“ ლიდერები მალევე, 1956 წელს დააპატიმრეს. 1975 წლიდან გააქტიურებული დისიდენტური მოძრაობა არ იყო მრავალრიცხოვანი და იმდენად მძლავრი, რომ სერიოზული პრობლემები შეექმნა ჯერ კიდევ დიდების ზენიტში მყოფი საბჭოთა სახელმწიფოსთვის. დაარსდა არალეგალური გამოცემები; ლიტერატურული ჟურნალი „ოქროს საწმისი“, პოლიტიკური შინაარსის გამოცემა „საქართველოს მოამბე“, რომელთა გავრცელება არალეგალური გზებით ხორციელდებოდა. დისიდენტები ჰელსინკის შეთანხმების შესაბამისად, ძირითად ყურადღებას ადამიანის უფლებების დაცვას უთმობდნენ, თუმცა მოძრაობის წევრები ფიქრობდნენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე და ავრცელებდნენ პოლიტიკური შინაარსის პროკლამაციებს. ეს კიდევ უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს მოძრაობის ლიდერები – გამსახურდია, კოსტავა და რცხილაძე.

უკვე 1977-1978 წლიდან არსდება არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი ნათლად ჩანს მათი დასახელებებიდან: „რესპუბლიკური პარტია“, „საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, „საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაცია“. ქართველი დისიდენტები ცდილობდნენ, რომ მასშტაბური ზეიმების დროს შეექმნათ პრობლემები საბჭოთა ხელისუფლებისთვის. მაგალითად, 1977 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით გამართული სახალხო ზეიმის დროს, დისიდენტებმა ანტისაბჭოთა პროკლამაციები გაავრცელეს, რომლის შინაარსი საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობას ეხებოდა. ასევე აღსანიშნავია, 1983 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი.

აღსანიშნავია, რომ 1970-იან წლებში აქტიურად მოქმედი დისიდენტების ნაწილი მოგვიანებით აღორძინებული ეროვნული მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის ისტორიაში 70-იანი წლების ბოლო და 80-იანი წლების დასაწყისი უძრაობის ხანად მოიხსენიება. მიუხედავად ამისა, საქართველოში აღმავლობას განიცდის კულტურისა და სპორტის სხვადასხვა დარგი. ქართველი ხალხი სწორედ ასე ცდილობდა გარკვეული პროტესტის გამოვლინებას. ამ დროისათვის ქართველებმა წარმატებას მიაღწიეს ფეხბურთში. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1981 წლის 13 მაისი, როდესაც თბილისის დინამომ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, ქართველმა ფეხბურთელებმა იენის „კარლ ცაისი“ 2:1 დაამარცხეს.

დისიდენტური მოძრაობის გარდაქმნას ეროვნულ მოძრაობად ხელი შეუწყო 1978 წელს ქართულ ენასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა. რომელმაც, გამოავლინა ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთება. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსს განსაზღვრავდა. საქართველოს მოსახლეობის და ინტელექტუალური ელიტის დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ეს ფაქტი ქართული ენის რუსულთან და სხვა ენებთან გათანაბრებას გულისხმობდა. 1978 წლის 14 აპრილს მოეწყო მასობრივი დემონსტრაცია, რომელშიც ათიათასობით ადამიანი მონაწილეობდა. დემონსტრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები შეადგენდნენ. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და კონსტიტუციის პროექტში საკამათო მუხლი აღადგინა. 14 აპრილი კი „დედაენის“ დღედ გამოცხადდა.

ამავე პერიოდში კომუნისტები შეეცადნენ უნივერსიტეტში სწავლების ენად რუსული ენის დანერგვას, რამაც ასევე დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია და ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა. შევარდნაძისა და ბრეჟნევისადმი გაგზავნილ პეტიციაში, რომელსაც ხელს ინტელიგენციის 365 წარმომადგენელი აწერდა აღნიშნული იყო, რომ მსგავსი ინიციატივა ამცირებს ქართული ენის როლსა და მნიშვნელობას და არღვევს ხალხთა თანასწორობის საბჭოთა იდეას. ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდნენ როგორც რადიკალური, დისიდენტური ჯგუფები, ასევე საბჭოთა იდეოლოგიისადმი ლოიალურად განწყობილი ინტელექტუალური ელიტის დიდი ნაწილი, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ნაციონალისტური განწყობები თანდათან იკიდებდა ფეხს ქართულ საზოგადოებაში.

1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართველი ინტელიგენციის შემოქმედებაში სულ უფრო იკვეთებოდა ეროვნულ-პატრიოტული თემატიკა. ქართულ ლიტერატურაში, თეატრალურ და კინოხელოვნებაში გაძლიერდა ეროვნული მოტივი. „უძრაობის ხანაში“ ქვეყნდებოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ისტორიულ-პატრიოტული ხასიათის ლიტერატურა: მაგალითად, მუხრან მაჭავარიანის ლექსების კრებული „1832 წელი“. ასევე, ამ პერიოდში ეკრანებზე გამოჩნდა რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმები, რომლებიც უცხოეთში მოღვაწე ქართველებს და მათ დამსახურებას ეხება.

სტალინური ტერორის შემდეგ სისტემის შერბილებამ და „დათბობის“ ეპოქის დადგომამ დიდი ხნის განმავლობაში მიძინებული ეროვნული გრძნობები გააღვიძა და მას მცირე გასაქანი მისცა. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმის პოლიტიკური გამოვლინება მკაცრად იყო შეზღუდული, სახელმწიფო ინტელექტუალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში გარკვეულ დათმობებზე წავიდა.

1970-იან წლებში საქართველოში და, ზოგადად, საბჭოთა კავშირში აღმოცენებული დისიდენტური მოძრაობის უმთავრესი მიზანი სწორედ მორალური საზოგადოების ჩამოყალიბება იყო. დისიდენტებს, მათ მიერვე გაცხადებული პოზიციის მიხედვით, სიცრუესთან, უსამართლობასთან, ძალმომრეობასთან და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა დაცვა-აღიარებისთვის ბრძოლა აკავშირებდათ. ქართველმა დისიდენტებმა წინა პლანზე წამოაყენეს ეროვნული იდეალები, რუსიფიკაციასთან ბრძოლის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების და სხვა საკითხები.

ქართული დისიდენტური მოძრაობა, რომელიც ნელნელა არალეგალური მდგომარეობიდან გამოდიოდა, 1987 წლიდან ვიწრო წრეს გასცდა და კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებში დაიწყო. ამავე წელს პირველი მიტინგი გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მხარდაჭერით, სტუდენტებმა ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობა და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს სამხედრო პოლიგონის არსებობა გააპროტესტეს. „საუკუნის მშენებლობად“ მონათლულ კავკასიის სამთო რკინიგზას საქართველო მოსკოვთან პირდაპირი გზით უნდა დაეკავშირებინა. რკინიგზას უნდა გადაევლო კავკასიონის ქედი 11 გვირაბით, 15 დერეფნით და 85 ხიდით. ზვიად გამსახურდიას, თითქმის ერთთვიანმა საპროტესტო შიმშილობამ და ქართველი ინტელექტუალების კამპანიამ, აიძულა კომუნისტური ხელისუფლება, გადაედო მშენებლობა, რომელიც ზიანს მიაყენებდა საქართველოს მთიანეთს.



1987 წლის შემოდგომაზე თბილისში დაფუძნდა პირველი არაფორმალური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, სადაც გაერთიანდნენ მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და სხვა დისიდენტები. ამავე პერიოდში შეიქმნა „რუსთაველის საზოგადოება“, რომელსაც სათავეში აკაკი ბაქრაძე ჩაუდგა და მასში ბევრი ცნობილი პიროვნება გაერთიანდა.

1988 წელი საქართველოში მიტინგებისა და დემონსტრაციების წლად იქცა, რომელთა დიდი ნაწილი არასანქცირებული იყო. ამ წელს 35 საპროტესტო დემონსტრაცია ჩატარდა და მათგან მხოლოდ ოთხი იყო ოფიციალურად დაშვებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მანიფესტაცია გაიმართა 26 მაისს, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის აღსანიშნავად. ამ დღეს პირველად გაიშალა დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა და გაისმა დამოუკიდებლობის მოწოდებები. დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა მერაბ კოსტავამ დამოუკიდებელი საქართველოს დროშა საკუთარი სახლის სახურავზე აღმართა.

მომდევნო, 1989 წელი, საქართველოში ეროვნული მოძრაობის მაშტაბურობით გამოირჩეოდა. ჩვენთვის, ყველასათვის ცნობილია 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები, როდესაც საბჭოთა არმიის მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისას დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით მოიწამლა და დასახიჩრდა.

მოქალაქეების სასტიკმა დახოცვამ საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. მთელი ქვეყანა ქუჩაში იყო გამოსული და დაღუპულებს გლოვობდა. რადიოში სამგლოვიარო მუსიკა ჟღერდა, ქარხნებმა შეწყვიტეს მუშაობა, 15 აპრილს ჩატარდა ტრაგედიის მსხვერპლთა მასობრივი დაკრძალვა, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ იმდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, 2 წლის შემდეგ, სწორედ ამ დღეს გამოცხადდა.

ათწლეულების განმავლობაში რეპრესირებულმა ქართულმა ნაციონალიზმმა 1980-იან წლებში მთელი ძალით იფეთქა. რადიკალიზმი და შეურიგებლობა სრულად ასახავდა საზოგადოების დიდ ნაწილში არსებულ განწყობებს. ქართული საზოგადოება ნაციონალიზმის ძირითად მიზანს, დამოუკიდებლობას უახლოვდებოდა და სრულ მხარდაჭერას უცხადებდა ამ იდეის მხარდამჭერებს. ეს სულ მალე დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნებით, როდესაც საქართველოში კომუნისტური პარტიის 70 წლიანი მმართველობა დასრულდა და ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია და მისი პოლიტიკური გუნდი მოვიდა.

შესაბამისად, საქართველოში, დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბებამ, მათმა შემდგომმა განვითარებამ და აქტიურმა მოქმედებებმა გამოიწვია ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და საბოლოოდ, საქართველოს გათავისუფლება იმ რეჟიმისგან, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდებოდა.

თსუ სტუდენტები:
**მარიამ მაჭარაშვილი, თეა ხორგუაშვილი**

*(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)*

## ესსე

# ილია - მარად თანამედროვე ბურჯი ერისა

*"ისარგებლე დროით!"*

*(ჰორაციუსი).*

„განა ცოტა რამ არის, რომ ულონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს?" - ილიას ეს რიტორიკული კითხვა მთელ მის მცდელობას ხსნის, გარჯას, ღვაწლს, რომ ერს დასანახი დაანახოს. ეს თავკაცის ტვირთია, მისი სიტყვაც თავგზიანია. "დღევანდელის მომდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ" - აქ მხოლოდ უკეთესის წადილი კი არ იკითხება, ესაა დევიზი ცხოვრების, დედააზრი. ილიას შემოქმედებაც, პუბლიცისტიკაც მთლიანად საპროგრამოა, მზა გეგმაა მოცემული საკეთილდღეოდ. ვინც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ -"წამხდარი გულის" არ არის, გაიგებს და გაითავისებს კიდეც ამას; რა ქმნის ცხოვრებას ულონოსა თუ ღონიერს? არიან ისეთნიც, ვისაც - "სინდისი გაღვიძებული არა აქვს. ზნეობით და გონებით ისე დაცემულია და ბრჯგუ, რომ არ ესმის სიკეთე საზოგადო კავშირისა"... მთელი სიმკვეთრით საუბრობს ილია საჭირბოროტო საკითხებზე; თუნდაც, რომ თითოეულის ინტერესი საყოველთაოზეა "ზედმიბმული"... პატიოსნება, კაი-კაცობა უფრო მკვიდრი განძიაო, ვიდრე დროებითი ხეირი ავკაცობისა, რომელსაც დიდი მანძილი არა აქვსო. ილიას ძალისხმევაც იქითაა მიმართული, რომ ადამიანი "მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს" და "ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყრმობა არჩიოს." "ჭვარტლმოკიდებული გული" ვერაფერს გაითავისებს, ცხადია.

რა არის სრულიად "სახეირო გზა", სახელმწიფოებრივი წყობისთვის ან ცალკეული ადამიანისთვის საჭირო, აუცილებელი, ადამიანის მიმართება საზოგადოებასთან, ერის მისია თუ ცხოვრების ყველა მიმართულება, ანდაც, რაა "საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ" - ყოველივე განხილულია სიღრმისეულად. მთავარია ადამიანმა თუ საზოგადოებამ გაიაზროს, რაშია ძირი ბედნიერებისა. "ვიდრე ჩვენში ეს უგემური "მეობა" მოტყდება და "ჩვენობა" აყვავდება, ვიდრე ჩვენი შემძლებელი წრე ჩვენის საზოგადოებისა ჩვენის ქვეყნის საქმეს თავის საკუთარ საქმედ იცნობს, იმ დრომდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის"- როგორ გულისმომწყვლელად შენიშნა ის გულგრილობა, რაც "საზოგადოების ცხოვრებას და საგზალს" მართლაც ასცდა, "ჭკუის უილაჯობით" თუ სხვ. ფანდებით... კარგახანს ჩიხშიც დარჩა თქმული. ილიას ფენომენი ჯეროვნად გაცნობიერებული დღესაც არაა. მხოლოდ ეროვნული მოძრაობისას მოხდა ილიას გზით სიარულის დასახვა. ეს განახლებაც შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ილიას ბედი გაიზიარა ამ დროებამაც და წინამურიც კვლავ განმეორდა.

"ზიზილ-პიპილებიანი განათლება" კვალში ვერ ჩაუდგება ცხოვრების ყველა საჭიროებას. ადამიანი უნდა შეხაროდესო ცხოვრებას - ესაა უმთავრესი ფორმულირება; რას არ შეიძლება დავცილდეთ, ამას განსაზღვრავს. კაცი "სიხარულის თვალით" უნდა იყურებოდესო. მაშ, რას მოაქვს სიმძიმე? - აქაა თავი და თავი იმ ყველა პრობლემისა, რასაც ილია წერილებში მიმოიხილავს. სათნოება კი დიდებასთან ერთად უნდა ვიდოდეს, - ესეც უმთავრესი განაცხადი. აი, უცხადესი რჩევაც - "ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელი, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში," რადგან "განკარგება და გაძლიერება" უნდა იყოს უპირველესი საწადელი. ადამიანი ჯერ გარემოების შვილია, ანუ - "ადგილის კაცია," "სახლიკაცია ამ დიდი ოჯახისა," თუ უცხო ქართველია?! - ესეც საკითხავია. "უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევწიროთ" - ეს მოვალეობაა ადამიანის, მისი საყოველთაო დანიშნულებაა. ეს ასე თუ არ ხდება, მაშინ ყველაფერი პირიქითაა, ითელება კაციც, მარცხდება საზოგადოებაც და სუსტდება ცხოვრება. ეს უკვე "გულშესატკივარი საქმეა," რადგან ,,ადამიანის პატიოსნება, ღირსება, სინდისი - მისი ზნეობითი კუთვნილებაა და ჩვენ მჩვრად გაგვიხდია." ილია ადამიანის ღირსებას ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობს, კაცის გაუპატიურებააო ეს - ღირსების გაქელვა. ანდა, ვის აქვს უფლება, "ადამიანის სინდისი - ეგ უძვირფასესი ზნეობითი განძი საქანელად გავიხადოთ." ის, რაც "პირველი ანბანია ზნეობისა და ადამიანობისა შერყეულია." ამ მხრივ, "ცალიერი სიტყვა და მითქმა-მოთქმა ვერაფერი თამასუქია" ... ასევე, საგულისხმო თქმა: "ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანი კაცისა... რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა"; ხოლო თუ სამართლიანი და კაცთმოყვარე ხარ, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარო. ადამიანის ვინაობა-რაობის დიდი თემებიცაა მოწოდებული და დამაბრკოლებელი გარემოებანიც. "უპირველესად, კაცში სული უნდა მზიანობდეს." ამისთვის, ადამიანში ადამიანის ცნობა უნდა მოხდეს. პირუკუ ცხოვრება კი რყვნაა, დაცემა. იგი მჩვარიაო და არა ადამიანი, ვინც ღალატობს თავის კაცურ კაცობას, საზოგადოებას; ასეთი თქმაც კი აქვს ილიას - "მეტხორცი." "ნაძირალთა გრძნობათა აშლა და ფეხის გადმოდგმა საზოგადო სარბიელზე პირქვე დასცემს ყველა კეთილსა"... "ღირსების მომვლელი" -ასეთი სიტყვაც აქვს მას და მისი მოფრთხილება "დედა-კანონად" უნდა ჰქონდესო ადამიანს. არ შეიძლება ღირსება იყოსო - "თავის სიმაღლიდან ძირს დაშვებული." ისაა "ამღვრეული საქმეც", ვისაც სათაკილო არ უთაკილნია და და სამარცხვინო არ შერცხვენია"... პირდაპირი, "კუდგამოუბმელი საუბარი" ილიას მახასიათებელი თვისებაა... საწუხარიც ისაა, რომ ისევდაისევ გვჯობნის, გვერევაო ეს უკადრისი, უვარგისი "მეობა" და დავიწყებულია -"მარგებელი და პატიოსანი "ჩვენობა." აი, სათავეც ყველა უბედურების, მარცხის. დამჩემებელი მეტია, ვიდრე მოღვაწეც, მიტომაც აღნიშნავს: "ვისაც დიოგენის ფარანი აქვს, იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს"... ე. ი. მისი ზნეო.

ჩვენს დროშიცაა ის ლიბერალობის სენი, რასაც ეხმაურება გენიოსი და აი, ესეც -"ჭეშმარიტი ლიბერალობა ტყუილების, ოინბაზობის ხელის წაფარება არ არის... ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელვინო." "საწვრილფეხო ლიბერალობა" -ასეთი ფრაზაც შევნიშნეთ... "ტვინთხელობა, რომელიც საკუთარ ტვინს მოკლებულია, სხვისით სცხოვრობს," ცხადი მითითებაა..."ეხლანდელს ზნეობით დავარდნილ დროში ფეხადგმულია - უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე"-ო და აქ უნებურად, გახსენდება ეს ფორმულირებაც - "არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო"... "ნუ იმოსები სხვისი მატყლითა, შენი იკმარე" - ესეც ერთგვარ შეგონებად წაგვადგება. ილია, რაზეც უნდა საუბრობდეს, ყველა სფეროს, ყველა მოვლენას ესადაგება ერთდროულად მისი თქმული, ერთმნიშვნელოვნად ეხება მრავალ გარემოებას...

"ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა" - საძრახისია!.. "ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისაკენ" სიკეთეს რომ არ მოიტანს, არაერთგზის შენიშნავს; "მთელის ზიდვისთვის საერთო მხარი აღარ გვქონდაო." სიახლესაც არ რგებს აჩქარება, რათა შესაძლოა "ზედ წააკლას არსებითი საგანი" საზოგადოებამ... ერთ წერილს ასეც ჰქვია - "ვისსა ნათესსა ვმკით?"

"საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება - პირველი და უკანასკნელი სურვილი." - ეს არის ილიას ცხოვრების ქვაკუთხედი და ბალავარიც. მხოლოდ ერთიან სულისკვეთებაში ხედავს იგი ხსნას და გამოსავალს. ადამიანის საზოგადოების მიკუთვნებულობის საკითხს ღრმად განიხილავს - "იქ "მე" ულონოა, საცა "ჩვენ" გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია, ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც." საზოგადოებასაც აქვსო დროება -"თავისი გაზრდისა, კარგად-მყოფობისა და ავად-მყოფობისა... თავისი მიქცევა და მოქცევა, ან სასიკვდილოდ ან სასიცოცხლოდ." "თავის ვინაობიდგან გადამდგარი კაცი" კი რაღა კაცია; ანდა, რაა "ღვთის მადლი თუ სიკეთე არ მოვაგებინეთო," ესეც უპირველესი მრწამსია ილიასი. სისადავეს, ზომიერებას, საქვეყნო კაცობას ქადაგებს ერის მეურვე. "მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია." საყურადღებოდ შენიშნავს - "კაცთა საზოგადოება ყოველ ცალკე ადამიანისგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელითღაა კრებულად ცხოვრებისათვის, (საუბარიაო მინიმუმ სათნოებაზე), შესაძლოა ადამიანი ამ ხაზს ძირსაც დასცილდეს და ზე ასცილდეს კიდეც. დამცილებელი სცოდავს საზოგადოებას... ხოლო ზე-აცილება მოვალეობა აღარ არის კაცისა. იგი ღვაწლია, გადამეტებული სამსახურია, მსხვერპლია, გმირობაა."

ევროპაშიო გამოჩენილი კაცითო თითოეული თავს იწონებსო... (ეს მისი საკუთარი სახელი



ცააო). რუსეთი, პირიქით, არად დაგიდევთო და ამისთანა კაცების ჩამოსათვლელად ათი თითია სამყოფი 80 მილიონიან ხალხშიო... ჩვენში, რომ ცალ-ცალკე ულლის წევამ იჩინა თავი, არაერთგზის შენიშნავს და, რომ გამოჩენილს გაიმარტოვებენ კიდეც... აკაკის მაგალითს კი საგანგებოდ იხსენებს, ერთ თავყრილობაზე უთქვამთ, შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყავდესო და აკაკის პასუხი: ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ სიტყვა, რასაც დღეს ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არისო... ილიას გონება კი არ სცილდება მათ, ვინც "საქმობს მკვდარიც"...

ყოველივე იქითკენაა მიმართული, რომ ადამიანმა არ დაივიწყოს თავის "საკადრისი ღირებულება და ფასი". "ღვთისკერძ ადამიანს" ღვთიური ნიშანწყალიც უნდა ეტყობოდეს. იგი "დღიურ ლუკმაზე" მაღლა უნდა იდგას და "უმაღლეს საგანს ადამიანისას" არ უნდა ასცდესო. ყველა -"უნდა უსათუოდ სცხოვრობდეს თავისთა მსგავსთა შორის." "დაუძლურებული სული" და "დაფუყებული გული," "ჩხავანა მოღვაწეობა" კი ვნებს საზოგადოებას... ,,გამოუცვალეთ ადამიანს ეს გარემოებანი, რომელიც დღეს ერთსაც და მეორესაც ჰხუთავს." ადამიანს შეუბოჭავი გარემო სჭირდება, წელგამართული... საქმეც ესაა - "ალვირახსნილმა ფარფაშობამ ფულისამ გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი." აზრიც იმაშია, - ,, ვინც ნამუსს და პატიოსნებას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან." თავგამოდებაა საჭირო ამისთვის, ამიტომო იმაზე ნუკი ვლაპარაკობთ რაც არის, "არამედ მასზედ რაც უნდა იყოსო".

მნიშვნელოვანია, რასაც ამბობს ინგლისის მაგალითზე - "ინგლისი იმითი კი არ არის მდიდარი, რომ მდიდარი სოვდაგრები ჰყავს, არამედ იმითი, რომ მდიდარი წარმოება აქვს და კარგად გაწყობილი სოფლის მეურნეობა." საყურადღებო რაცაა ამ შემთხვევაში ის, რომ -სიმდიდრე სახელმწიფოსიო ვაჭრების სიმდიდრისგან კი არ შედგება, "არამედ მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან"... წარმოება ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელია. (მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეღვინეობა, წარმოება და არა მხოლოდ აღებ-მიცემობა. პირდაპირ სახელმწიფოებრივი განვითარების ხაზს თუ კურსს როგორ ხედავს, ძირეულად აშუქებს). ღვინოზეც საინტერესოა, ჩვენო მეღვინეობის ქვეყანა ვართო და ძვ. დროში ასკლეპიადი, ჰიპოკრატის მიმდევარი, სახელოვანი მკურნალი ძვ. საბერძნეთისა, (ქრისტეს წინათ, მეხუთე ს.-ში), დღესაც ცნობილი მამამთავარი მკურნალთაო, სხვადასხვა სნეულებას ღვინით სწამლობდაო. (სახადს, წითელასაც ღვინით მკურნალობდნენო ადრე)...

ილიას თვალსაწიერი ყოველივეს სწვდება სიღრმისეულად. ადამიანის თუ სახელმწიფოს მიერ გააზრებაღაა საჭირო. მძიმე პერიოდიც დაუხვდა ილიას ნააზრევს. ბოლშევიკებიც, მათი წინამორბედი სოც. -დემოკრატები თუ საბჭოთა პროპაგანდა ჩქმალავდა მის ღვაწლს და დღესაც არაა სათანადოდ გაცნობიერებული. აი, რას ამბობს გულმტკივნეულად: - ვერაფერი სანუგეშოაო, კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის, სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვითამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს კი უპატიურად ხდის. საზოგადო საქმეს შრომა უნდაო... სხვაგვარი რამ დღემოკლედ მიაჩნია. წარამარად ბარბაციო საზ. საქმეში, როცა "მე ესე მიჯობს" აღვირაშვებული დაიარება და ის კი "საქმეს უჯობს" თავჩაღუნულიო, -კილავს ამას და განა, შესაფერი წამლის მოძიებას ვცდილობთო, არამედ იმას, რომ საქმეს ზედაპირზედ ავუცურდეთ, ავუსხლტეთო... ასე რომ, აქაც შეგვიძლია ილიასებური "ლარი და ხაზი" გავავლოთ და ვთქვათ, რომ "მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის"... "თავისი სიამოვნება - ჭამა-სმასა, ტანსაცმელსა და მეჯლიშობას იქით ველარ გადაუცილებიათ... " ესაა სწორედაც, ის, რასაც "დამბლადაცემულ ხალისს" უწოდებს ერთგან და აქაც, იგივ ლარი და ხაზი - "რამდენადაც სიამოვნება მაღალია და შესაფერია ღვთისკერძ კაცისა,"- ეს უნდა იყოს საგულისხმო. "თუ სადმე უქმობაა მარჯვენისა და მხნეობამოკლებულობა, უფრო მდიდართა შორის." მის გულისყურს არ გამორჩენია ის ქვენა გრძნობები, ვინც ისე წარმართაო საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მიითალაო. ხოლო, "ვისაც გული გახსნია საქვეყნოდ, უცვნია ტკივილები... პირადი ანგარიში და გამორჩომა უკან დაუყენებია." ზოგჯერ,- "თქმაც ქმნა არისო." ილიას ხედვა არაფერს ასცდენია, რაშიც კია - "დიდი სიმი ეროვნებისა და სცემს უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა." გლეხკაცის სახსარ-ცხოვრებაზეც კი გულმოწყვლით წერს და აი, რა სავალალო ხაზგასმაა - გლეხს ადგილს არ აძლევენ, რომ თონე ჩააგდოს, იმის გვერდით კი გაშენდაო გოლოცინი, სვეჩინი, ვორონცოვი და სხვ. სოფლები. სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილი შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც სხვა ტომის ხალხს ასახლებენო. "მამული გავინამცეცეთ" - როგორი მწვავე შეძახილია... მისახედი რაა და მოსაგვარებელი - პირდაპირ მიმართულებას გვაძლევს იგი. "უსაქმურობა, ფართიფურთობა... სხვისით ცხოვრება, საშინელი სენიაო." სად ქართველიო და სად ერთად ულლის წევაო, ,,ასე იცის, ამ საყოველთაო გრძნობის არ ქონამ." თუმცკი სხვანაირად, "წუთისოფლის საპალნე" ადვილად არ აიწევა და ვერ ზიდავო... მცირე საგნებიდანო გონება მაღლა ველარ აგვიცილებია, - ესაა, ილიას უპირველესი საწუხარ-საზრუნავი. მეტი რაღა შეიძლება გითხრას მთქმელმა. საერთო, საყოველთაო ბედნიერებისთვის მებრძოლი კაცია. აკი გაკვირვებითაც კითხულობს- "საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება -გულგრილობა?... რასაც "ჩემობის" ფერი ადევს და არა "ჩვენობისა." ქართველსო, ჯერ ხომ - "ჩვენ" ჰქონდაო სახეში და მერე "მეო". რამ "გაუქსუაო სურვილი.".. "დამშეული გული", "განთვითეულება" ხომ მარცხის სათავეა, ადამიანობის დამაქცევარი. "განვთვითეულდით და თვითეულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყოველთვის ადვილად საზიდია... "გონება "შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა"... თითოეულის ღონის კვალობაზედ კიო, რის ზიდვაც შესაძლოა ქონდრის კაცობისთვისო და დაპატარავებულ ტვინისთვის, ვნახეთო.

როგორც "ვეფხისტყაოსანია" ქართველისთვის დაუმთავრებელი თემა და ამოუწურავი, ასევე დაუმთავრებელი თემაა ილიას მთელი მოღვაწეობა...

"შენ თვითონ იცი, ვარდსა წინ მიუძლვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს" - მართლაც, საგულდაგულოდ თქმული! "მარტივნი ქართველნი" - ასე გულგამთბარი ამბობს იმ ძველ თაობაზე, მამა-პაპაზე, რომელთაც ეს "სიმარტივე" დიდბუნებოვნებით ჰქონდათ. თანდაყოლილი, პირველადი სიხარული სხვაა და ხელოვნურად შემძიმებული გარემო - სხვა. ღვთის წინაშე დარღვეული თანასწორობის შედეგი კი მწარეა და ერთიანობის რღვევა... სამყაროს ყურსმგდები კაცია ილია და იმ საქართველოსაც შენატრის, რომელმაც იცოდა, რაშიც იყო სიცოცხლის არსი და ბედნიერება. ელოლიავება თავის "სამოთხე -საქართველოს" და "იმ პატარა სამოთხეში სცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უდევს დიდი გული."

ჩვენ გვაქვს განუმეორებელი ქვეყანა განუმეორებელი ადამიანებით. ამაშია ჩვენი სიმდიდრეც და მემკვიდრეობაც!.. ილიას თქმითვე დავასრულებ, —"გულს ხომ ისევ ეტყობა იმათი სითბო, ესეც ნუგეშია."

**ლალი ბარძიმაშვილი**

ფილოლოგი, მკვლევარი.

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი  გ ვ ე რ დ ი



ნინო ტარყაშვილი

## მადლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საოცრად კეთილი გოგონა. მისი სიკეთე ბევრს აკვირვებდა. ამიტომაც მას გულისა, ანუ გულიანი დაარქვეს. სამწუხაროდ, ისეთ ღარიბ ოჯახში დაიბადა, რომ იტყვიან, ხშირად საჭმელად ნატეხი პურიც კი ენატრებოდათ. დედა და მამა, გაჭირვების გამო, ხშირად კამათობდნენ, რაზეც გულისა წუხდა. ზოგჯერ ტიროდა კიდეც.

ერთხელ მეგობარმა გულისა ტაძარში წაიყვანა. გოგონას საგალობლის ხმაზე გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო. იტირა, იტირა, ვიდრე მლოცველების ყურადღება არ მიიპყრო. შემოეხვივნენ აქეთ-იქიდან და დაუწყეს დამშვიდება: რატომ ტირიხარ გოგონა? თუ რაიმე განუხებს, წადი სვეტიცხოვლის ტაძარში და ილოცე, იქ დიდი მადლია, წამოიღე ეს მადლი და უფალი ყველა გაჭირვებისაგან გიხსნის. ამ სიტყვებმა გულისას ნუგეში მოჰფინა. მას ოცნებად გადაექცა მცხეთაში წასვლა და იქიდან მადლის წამოღება. მაგრამ არც ხელჩანთა ჰქონდა, არც კალათი, რითაც მადლი შეიძლებოდა წამოეღო, არც სამგზავრო ფული.

ერთხელაც მეზობლის ბავშვმა გოგონას მშვენიერი კალათი აჩუქა. მომლოცველებმა კი სოფლიდან ფეხით დააპირეს მცხეთაში წასვლა და მასაც შესთავაზეს, გოგონა სიხარულით ცას ეწია. ჩაიცვა თავისი საუკეთესო წითელი კაბა, აიღო კალათი და მათთან ერთად მცხეთისაკენ გაეშურა. გზა და გზა ყვავილებს კრეფდა, მღეროდა.... ისე სწრაფად გაილია გრძელი სავალი, რომ ვერც კი გაიგო და აი, მცხეთის დიდებული ტაძრიც გამოჩნდა.

ტაძრის შესასვლელთან გულისამ მუხლებზე დაიჩოქა. ხელები ცისკენ აღაპყრო და უფალს შეჰღაღადა: „აი, მოვედი შენს სასახლეში. შემეწიე, უფალო!" ტაძარში შესვლისთანავე მოხსნა კალათს სარქველი და ყველა ხატი ჩამოილოცა... მიდიოდა ხატებთან სათითაოდ და ევედრებოდა: „წმინდაო........ გამატანე ამ კალათით ცოტა მადლი, რომ დედიკომ და მამიკომ თავი დააღწიონ სიღარიბეს და აღარ იჩხუბონ.. და კალათიც მადლით ივსებოდა." ბოლოს რაღაც ხმამ უკარნახა: „გაივსო გოგონა შენი კალათა მადლით, დაახურე სარქველი, მეტი მადლის ტარებას ველარ შეძლებ, შენ ხომ ძალიან პატარა ხარ!" გოგონამ მართლაც დააფარა კალათს სარქველი, ეამბორა ტაძრის კედლებს. შემდეგ გამოვიდა ტაძრიდან, იქვე შესასვლელთან ახლოს, ტაძრის ეზოში, ხის სკამზე ჩამოსკუპდა და თანამგზავრებს დაელოდა.

ტაძრის ეზოდან გამოსული პატარა გოგონა, მორწმუნეებმა, ძალიან რომ არ გადაღლილიყო, ერთი კეთილი მრევლის მანქანით ...თავის სოფელში გამოამგზავრეს, რადგან თავად სხვა ტაძრების მოსალოცად წავიდნენ. თანაც, მოსიყვარულე მშობლებთან ტკბილეულიც გამოატანეს. გოგონა სიხარულით აღარ იყო. სახლში ახლა უკვე მადლიც მიჰქონდა და ნუგბარეულიც. ოჰ!არასდროს ჰქონია მას ამდენი კანფეტი. სახლთან რომ მივიდნენ, კეთილმა ბიძიამ გაუჩერა, მანქანიდან გადმოსვა და ცოლქმარი ღიმილით დაემშვიდობა. გოგონამ სიხარულით აირბინა კიბეები. უჩუმრად შეიპარა თავის პატარა ოთახში. შემდეგ მოხსნა პირი კალათს. დაიჩოქა და უფალს შეჰღაღადა: მისმინე, კეთილო ღმერთო! ტაძრიდან ერთი კალათი მადლი ჩამოვიტანე. აავსე ჩემი სახლი მადლით. რათა არ მოგვაკლდეს პური და საკვები და ჩემმა დედ-მამამ აღარასოდეს იჩხუბოს. როგორც კი ეს გოგონამ სამჯერ გაიმეორა, ოთახი მართლაც სურნელოვანი მადლით გაივსო. ასეთი სასიამოვნო სურნელება არასდროს უგრძვნია.

ახლა ჩემს სახლში მადლი ტრიალებს. – თქვა გულისამ. ამიტომ აქ სულ სიმხიარულე იქნება! და ფართოდ გაიღიმა. და ნახეთ საოცრებას: იმ დღიდან სახლი მართლაც დოვლათით და ბარაქით გაივსო. ოჯახში სიხარულმა დაისადგურა. ყველას უკვირდა ამ ოჯახის ასეთი სასიამოვნო ფერისცვალება. უკვირდათ, რადგან მათ არ იცოდნენ იმ საოცარი კალათის არსებობა, რომლითაც შეიძლებოდა ტაძრიდან მადლის წამოღება.

## ღარიბი კაცი და ერთი ყუთი ნამცხვარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი კაცი. ხან ჰქონდა სამუშაო და ხან არა. დღიურ სარჩოს ძლივს შოულობდა. ისეთი ღარიბი იყო საწყალი, მასთან საქმის დაჭერას კი არა, სტუმრობასაც კი ყველა ერიდებოდა: რითი უნდა გაგვიმასპინძლდესო?! მხოლოდ გადასახადის აღმრიცხველი თუ მიაკითხავდა თვეში ერთხელ.

_ფხაჭ-ფხუჭ. გაისმა ერთხელ ღარიბი კაცის ბინაზე. გააღო კაცმა კარები და რას ხედავს: ულამაზესი ფისო მოსდგომია მის კარებს.

_მიაუ, მიაუ. ფისო კრუსუნ-კრუსუნით მიანიშნებდა, რომ ჯამით რძე ეამებოდა. არადა, სად ჰქონდა ღარიბ კაცს ჯამით რძე? ადგა და გაბრაზებულმა კარი მიუხურა. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და კარებზე ისევ ხმაური ატყდა. კაცმა კარი გააღო და გარეთ გაიხედა. კარებს ახლა ლამაზი ცუგა მოსდგომოდა.

_აუ, აუ, ცოტა ძვალი არ მოგეძიებათ? ითხოვდა წკავ-წკავით პატარა ცუგა. მაგრამ კაცს უკვე დიდი ხანი იყო, ხორცი არათუ არ ეგემა, თვალითაც არ ენახა.

_ ეჰ, ცუგა, სადაა ძვალი და კაი ცხოვრება. _ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მან.

ის იყო დაღონებული ღარიბი კაცი დასაძინებლად მოემზადა, რომ

_ კაკ-კუკ-გაისმა კიდევ მის კარებზე. ოჰ! ალბათ ისევ ის წვერიანი საფრთხობელაა, გადასახადებზე რომ დაძრწის. _ უკმაყოფილოდ გაიფიქრა კაცმა.

გააღო კარები და თვალებს არ დაუჯერა, მის წინ ათიოდე წლის ბაფთიანი, ლამაზი გოგონა იდგა, დიდრონი ნუშის თვალებით..... და გაბრაზების ნაცვლად, თქვენ წარმოიდგინეთ, ულიმოდა! ხელში კი საშუალო ზომის ყუთი ეჭირა! _ ნამცხვარს ხომ არ ინებებთ, ბატონო? ცალი 30 თეთრად. ყუთში სულ 6 ნამცხვარია. ერთ ლარად და სამოც თეთრად მოგართმევთ. 6 უგემრიელესი ნამცხვარი_ 1 ლარად და სამოც თეთრად. _ არ წყვეტდა გოგონა ღიმილს.

_ოჰ, ღმერთო! ამოიოხრა გუნებაში კაცმა. როგორ ვუთხრა ამ უმშვენიერეს არსებას რომ ჯიბეში 20 თეთრიც კი არ მიჩხაკუნებს. ვაი, ჩემს თავს! მაგრამ გოგონასთან არ შეიმჩნია და თავდაჯერებით მიუგო:

_მაპატიეთ, მე უკვე შევიძინე ასეთი ნამცხვრები, გოგონა - ძალიან გაუჭირდა კაცს გოგონასთვის სიმართლე ეთქვა.

_ კარგით, ბატონო, თუ შეგაწუხეთ.

ოჰ, როგორ დაწყდა გული კაცს! არა, ასე აღარ შეიძლება ცხოვრება. მექნება სამუშაო თუ არა, რაღაც უნდა გავაკეთო! ღმერთი გადმომხედავს. უქმად ყოფნა აღარ შეიძლება. ჩემში რაღაც უნდა შეიცვალოს. კაცი გავიდა სახლიდან და დაინახა, იქვე მის ახლოს ეკლესიას აშენებდნენ. მუშები უსიტყვოდ შრომობდნენ. მუქთად ყოფნას მუქთად შრომა სჯობია. იქნებ ღმერთმა გადმომხედოს. _ ჩაილაპარაკა მან და მუშებს გვერდით ამოუდგა. ისე გაერთო მუშაობაში, რომ როგორ მოაღწია შუადღემ, ვერც გაიგო. ტრაპეზზე მშვენიერი სადილიც იგემა და სამუშაო კვლავ გააგრძელა. დღის ბოლოს ეკლესიის წინამძღვარმა საჩუქრად მუშებს ლამაზი ხატები დაურიგა. ერთი ხატი კაცსაც შეხვდა. მის სახლში არც ერთი ხატი არ ეკიდა. ამიტომ ამ ხატმა მას რწმენა და იმედი ჩაუნერგა. მეორე დღეს ერთ ძველ ნაცნობს მიეხმარა შეშის დაჭრაში და მანაც მადლიერების ნიშნად, თუმცა გასამრჯელოზე არ მორიგებულან, თავისი ახალი ფეხსაცმელი უსახსოვრა(თავად ცოტა პატარა ჰქონდა). ასე, კაცი ცდილობდა, უქმად არ დაეკარგა დრო და ეშრომა გასამრჯელოთი თუ გასამრჯელოს გარეშე. უფალი კი ამის სანაცვლოდ, ადამიანების ხელით სხვადასხვა საჩუქრებს უგზავნიდა. მალე კაცის სახლი სხვადასხვა საჭირო ნივთებით შეივსო და მას აღარც კი ერქვა ასეთი ღარიბული. მუშაობაც, რაც თავი აიძულა და შეიყვარა, აღარ ეზარებოდა. მისი ხელმარჯვეობის ამბავი შორს გავარდა. რაღაც სამუშაოებიც შესთავაზეს. მალე კაცი მშვენიერ სამსახურშიც მოეწყო და ისე გამდიდრდა, რომ იქით შეეძლო გაჭირვებულების დახმარება.

.....და აი, ერთ დღესაც მიდის კაცი ქუჩაში და ხედავს მოდის ის ბაფთიანი ლამაზი გოგონა თავის მეგობართან ერთად. გაზრდილა, გამშვენიერებულა. გოგონებს ხელში ფუთები უჭირავთ და გამვლელ_გამომვლელს ეკითხებიან: ნამცხვარს ხომ არ ინებებთ, ბატონებო? უგემრიელესი ნამცხვრებია, ძალიან, ძალიან იაფად.

კაცი თავად მივიდა პატარა გოგონებთან და ჰკითხა:

_ რა ღირს, გოგონებო, ნამცხვარი?

_ მთელი ყუთი ლარი და სამოცი თეთრი. გასინჯეთ, ბატონო, არ ინანებთ.-შესთავაზა გოგონამ.

_ რამდენი ყუთი გაქვთ, გოგონებო?

_ ცხრა.

_ ყველა ყუთს ვყიდულობ. _ თქვა ღიმილით კაცმა.

_ მართლა, ბატონო? არ გვატყუებ?

_ არა, გოგონებო. განა ვგავარ მატყუარას?

გოგონებმა სიხარულით შეიკუნტრუშეს.

როგორ გავახარებთ ამ ფულით დედიკოს. ახლა უკვე შევძლებთ მას ძვირადღირებული წამალი ვუყიდოთ. მადლობა, ბატონო, უღრმესი მადლობა.

კაცი დიდხანს უქნევდა ხელს კეთილ გოგონებს.

გაიარა ცოტა მანძილი კაცმა და ახლა ლამაზი ფისო შეხვდა, რომელიც სახლში წაიყვანა და მისთვის სპეციალურად ნაყიდი რძით გაუმასპინძლდა.

გაიარა კიდევ ცოტა მანძილი და ახლა ცუგა შემოეყარა, რომელსაც იქვე, მაღაზიაში ნაყიდი ძეხვით გაუმასპინძლდა.

მადლობა, მეგობრებო. _ მიმართა კაცმა ფისოს და ცუგას. _ თქვენ რომ არა, ახლა მე ისევ გაჭირვებული ვიქნებოდი.

მალე კაცმა ცოლად ლამაზი ქალიც მოიყვანა და ცხოვრობდა ტკბილად და ბედნიერად.

## ძველი სახლი

იყო ერთი დიდი და ლამაზი სოფელი. ამ სოფელში ყველას დიდი და ლამაზი სახლი ჰქონდა. აქ არც არავის სწყუროდა, არც შიოდა, არც სციოდა. მხოლოდ სოფლის განაპირას იდგა ერთი ძველი, ჩამოფხავებული სახლი.

ძველი სახლის სახურავზე გაზაფხულობით იები და ენძელები ამოდიოდა, ზაფხულობით მწვანე ბალახი ბიბინებდა, შემოდგომობით _ ყვითელი ფოთლების შარიშური ისმოდა.

ზამთრობით კი ძველი სახლის ღრიჭოებიდან დრო და დრო ქარი ზუზუნებდა. ბავშვებს სამფეხა სკამები ღუმელთან მიედგათ და სითბოს ეფიცხებოდნენ, ხან ერთმანეთთან ოხუნჯობდნენ, ხან წიგნი ეჭირათ და კითხულობდნენ. ხანაც ანცობდნენ, როგორც ბავშვებს სჩვევიათ. საღებავშემოცლილ ძველ ფიცარნაგზე ფისო და კნუტები ნებივრობდნენ. ძველი სახლის სამზარეულოში დედა ღვეზელს აცხობდა. საღამოთი კი ბავშვებს გვერდით მიუწვებოდა და ნანას უმღეროდა.. გვიან სახლში ოჯახის უფროსი ბრუნდებოდა და დედა ფრთხილად წამოდგებოდა ბავშვების საწოლიდან, რათა მეუღლისთვის საჭმელი მიერთმია.......

ზამთარში ძველი სახლის სახურავის კიდეზე თეთრი ლოლუები ეკიდებოდა. ამ ლოლუებს ზოგი ჩურჩხელას ეძახდა, ზოგი შაქარყინულს. ერთი სული ჰქონდათ ბავშვებს, დილით ადრე გაეღვიძათ. გრძელი, თეთრი ლოლუებისთვის ხელი შეეხოთ და სახურავიდან მოეტეხათ. Lამის გამო მთელი ღამეც კი ფხიზლობდნენ, რომ მათთვის არავის დაესწრო. სახლში მცხოვრებ ბავშვებს კი სულაც არ შურდათ თანატოლებისთვის ყინულის ლოლუები, უფრო მეტიც, უხაროდათ კიდეც. რადგან უფრო ძვირფასი არაფერი ჰქონდათ, რითაც თავისტოლებს გააკვირვებდნენ. აი, დედები კი ბრაზობდნენ, შიშობდნენ ბავშვები არ გაციებოდათ და ასეთ შემთხვევაში, გინდაც პატარებს მთელი დღე გარეთ ეთამაშათ: ციგებით ესრიალათ, ეგუნდავათ, ფიფქია და თოვლის პაპა გაეკეთებინათ, გაციებას მაინც ძველ სახლს და ყინულის ლოლუებს აბრალებდნენ. „როდის იქნება, დაინგრეს ეს ძველი სახლი, რომ ბავშვები აღარ გაგვიცივდნენ" _ ბრაზობდნენ ისინი. ძველი სახლი არც შფოთავდა, არც ღელავდა, არც მრისხანებდა, მისთვის უკვე სულ ერთი იყო, ვინ და რას დააბრალებდა. ასე იზრდებოდნენ სოფლის ბავშვები და ხდებოდნენ დედები და მამები. მშვენდებოდა და მშვენდებოდა სოფელი ახალი სახლებით, ბაღებით.. გზებით.. ძველი სახლი კი იდგა და იდგა უცვლელად. თუმცა უცვლელად, რა? ბერდებოდა და ბერდებოდა....... თითქოს შენება მას არ ეხებოდა. ის არავის არ ჰგავდა.... ის ერთი იყო და განუმეორებელი. ამიტომაც სოფელში დამთვალიერებელი თუ ვინმე მოვიდოდა, მშობლები აუცილებლად ძველ სახლს აჩვენებდნენ და ეტყოდნენ: აი, ასეთ სახლებში ცხოვრობდნენ ჩვენი პაპა_ბებიებიო. ძველი სახლი კი არ ღალატობდა თავის ტრადიციას და ზამთარში იკეთებდა და იკეთებდა ყინულის ლოლუებს. ისევ ფხიზლობდნენ სოფლის ბავშვები და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ გაიღვიძებდა პირველი, რომ ყინულის ლოლუა სახურავიდან მოეტეხა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ახლა......ამ სახლში აღარავინ ცხოვრობდა. სახლის ბინადრები საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადასულიყვნენ და სახლი სულ მარტო დარჩენილიყო. აწინდელი პატრონები მხოლოდ გაზაფხულობით აკითხავდნენ მას და მათი ბავშვები სახლის სახურავზე იებსა და ენძელებს კრეფდნენ. იდგა სახლი და ჩიოდა თავის მარტოობას.

პატრონებმა თითქოს კიდეც მოინდომეს ერთი-ორჯერ სახლის დანგრევა, მოჰკიდეს ხელი ლომს და ძალაყინს, მაგრამ ვერ შეძლეს..

რაღაც ძალა აკავებდათ.

გავიდა კიდევ დრო...და ძველი სახლის მემკვიდრემ, რომელიც სხვა სახლში დაიბადა და ამ სახლში არასდროს უცხოვრია, ეს სახლი გაყიდა. ახალმა მეპატრონემ მოაყენა შემოდგომაზე სახლს ბულდოზერი და ტრაქტორი და სახლის დანგრევას შეუდგა. სახლმა ერთი ამოიოხრა, აკანკალდა და ბედს დამორჩილდა.

იმავე შემოდგომაზე ახალმა მეპატრონემ ძველი სახლის ადგილას ახალი, ლამაზი სახლი ააგო. ხოლო ძველი სახლის მემკვიდრემ იმ ფულით ახალი მანქანა იყიდა. და სოფელში აღარ იყო აღარც ერთი ძველი სახლი. აქ უკვე არც ერთი ...სახლის სახურავზე გაზაფხულობით იები და ენძელები აღარ ამოდიოდა. არც ზაფხულობით ბიბინებდა მწვანე ბალახი, არც შემოდგომობით ჩურჩულებდნენ ყვითელი ფოთლები და არც ზამთრობით იკიდებოდნენ სახურავზე თეთრი ლოლუები.

ძველ სახლს ახლა მხოლოდ პაპების, ბებიების, დედების და მამების მოგონებებში გადაენაცვლა და ისინიც ამ მოგონებებს არავის უთმობდნენ.

### შეცდომის გასწორება

გაზეთ "განმანთავისუფლებელის" გასულ, 58–ე ნომერში(გვერდი 20) გამოქვეყნებულ ნინო ტარყაშვილის წერილში "სიტყვა სამოთხის განმარტება" გაიპარა მექანიკური შეცდომა: სტატიის მესამე სვეტში ვკითხულობთ: 32+42=25. უნდა იყოს: 3–ის კვადრატს + 4–ის კვადრატი=25.

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი   გ ვ ე რ დ ი



## გიორგი ჩოხელი

### მამული

არვინ არის შენზე წმინდა
შენით ვინთებ სულში ღადარს,
ვაჰ, რამდენჯერ გაგიწვიმდა
და მოელი ისევ ავდარს.

დაქცეული სისხლი არის
ყოველ გოჯზე სადაც შენ ხარ,
გზით მიდიხარ ნისლიანით
მაგრამ სამოთხეში შეხვალ.

***

გადაიყრება ეს ღრუბლები, გაშუადღდება
აფერადდება გაზაფხულზე ხევთა ღარები,
მოვა აპრილი ჩვეულ თქეშით წვიმად, ფანტელად
და ჩამოდგება სულში ისევ ნატბევარები.

საგზლად ღიმილი შენი სულის ჯერაც მეყოფა
სად გინახია, ბევრის მდომე იყოს პოეტი
და გზად თუ ისევ ქარიშხალი გადამელობა
ვიცი გავუგებთ ორივ მკვიდრნი სიმარტოვეთის.

კლდეებს შეემსხვრნენ გრიგალები ჩვეულ
კივილით
ვხედავ, ცა ახლა, რაღაც უცხო, ნაზი ფერია,
ვიცი, ერთ დღესაც გაყუჩდება ყველა ტკივილი
და სულს შერჩება მხოლოდ ის რაც მშვენიერია.

***

გაიგებ გმინვას იმ მოჭრილ ხისას
გაზაფხულზე რომ უსკდება კვირტი,
შენ აღარ ღირხარ სიცოცხლის ღირსად
თუ სხვა სიცოცხლის სავნებოდ ილტვი.

მივალ, აღმართით წვრილ ბილიკს ვკეცავ
ვუმზერ აშოლტილ ვერხვსა და მუხას,
მიწის სინედლე ამშვენებს ზეცას
მიწისგან ბევრჯერ მწუხარს და მქუხარს...

და აღარა ღირს სიცოცხლის ღირსად
მასაც ისევე დასჯის ბუნება,
ულმერთო კაცი მომჭრელი ხისა
ხვალ იმ ხესავით აღესრულება.

***

ასე ნელ - ნელა ქრება თანდათან
ბოლო იმედიც უმალ დაეცა,
მთვარის აჩრდილმა შემოანათა
მზით და სიცოცხლით სავსე მხარესაც.

საითკენ მიდის ღრუბლის ამალა
ახლა საით აქვს ნეტავ ალაგი,
დედიშობილა სივრცის ამარა
ო, რა ლამაზად მოჩქეფს არაგვი.

ცა მოჩანს ბინდით გადარაზული
სული ქცეულა სევდის ბინადრად...
და ცეცხლი გულის ფსკერზე დასული
დანაკვერჩხლდა და თითქოს მინავლდა.

***

გადაუარა წვიმამ ქალაქებს
კოკისპირულად, თქეშით, თავნებად,
ახლა წვიმის ბედს ქარი განაგებს
ქარი მსუსხი და გამჭვირვალება.

და ასეთია მაინც შედეგი
ამონათა ბნელში ამოსვლით,
თვით მაღალ ცაზეც მოჩანს ზემდეგი
მთვარე ღრუბლების სველი სამოსით.

***

დავიწყების ხავსი ფარავს
გავლილ გზას და ჩავლილ დღეებს,
ვეტყვი ისევ ისე არას
ძველ სკვერებს და ძველ კაფეებს.

მომელოდი სადაც სევდით
წამწამს გესხა ნამი დილის,
მერე ქუჩებს ავიმზევდით
ისე ვუხდებოდით თბილისს.

დღეს კი, დღეს კი... მკაცრი არა
ძველ სკვერებს და ძველ კაფეებს,
დავიწყების ხავსი ფარავს
გავლილ გზას და ჩავლილ დღეებს.

### დიდგორი

აქ დუმილით მეტყველებენ მთები
ფერდობია გვირილებით სავსე,
დგას დიდგორი აღმართული ხმლებით
მტერთა ძლევის ლაღი სილამაზე.

წივის ქარი, ვუსმენ ქარის ბგერებს
ცა ახლოა გზაც ზეცისკენ იწევს,
ქარი ღრუბლებს ისე მოაგელვებს
გადანისლა მთების მთელი სივრცე.

გაიელვა გასაოცრად დიდგორს
ვჭვრეტ მუზარადს და ცხენიან ლანდებს
და ვმაღლდები ისე სწრაფად თითქოს
რომ საცაა კი მივაღწევ ცამდე.

***

ხევ - ხევ ჩამოჰყვა ალალი
ცხენს მოაჭენებს ოხერი,
ლამაზი თუშის ქალაის
ვაჟი მკლავების მომხვევი.

გაიჭრა როგორც ნადირი
ნანადირევის მძებნელი,
ჭიუხს ლურჯაით გადივლის
დღეც რომ დაუდგეს მზე - ბნელი.

განა კი მოხვდა დახლილი
ტყვია ნასროლი ხირიმით,
გაბრუნდა გადაძახილით
ვაჟი მოყვრული ღიმილით.

გადაატარა ტრამალით
თუშის ქალაი ტიალი,
განა შიშით და დამალვით
ცხენზე ფარ - ხმალის ტრიალით.

***

როგორ სხვაგვარად ვხვდებოდით წინათ
თქეშად მოვარდნილ მქუხარე აპრილს,
გადიავდრებდა აპრილის წვიმა
გავუყვებოდით მდინარის ნაპირს.

ჩემთვის ჩვეული მე ჩემი დარდით
შენ კი ღიმილით და ჟრიამულით
და ცაზე მთვარის ვეება ლანდი
ჩანდა უღრუბლო და მხიარული.

***

ახლა ფუჭია
ყველა სტრიქონი
ტრაგიზმით სავსე
დუმდა სპექტაკლი,
და ჩვენ ჩვენს გზაზედ
როგორც ვიდოდით
ორივ ცალ - ცალკე
დავრჩით სპეტაკი.

### აკო და ლუკა

მე მიყვარს თქვენი დღეცა და ღამეც
აკო და ლუკა, ლუკა და აკო,
თქვენზედ ნეტარი არის კი რამე? –
თქვენ ჩემო ჭერო და ჩემო სახლო.

თქვენი ღიმილი მხურავს ჭილოფად
და თქვენს სიყვარულს ასე დავხარბდი,
თქვენ მომიშუშეთ ყველა ჭრილობა
გამიდაღმართეთ ყველა აღმართი.

თქვენა ხართ ჩემი ორი ნატვრის ხე
აკო და ლუკა, ლუკა და აკო,
მე სიმარტოვე დავტოვე მარტო
და სამუდამოდ თქვენით ავივსე.

***

### ზვიად გამსახურდიას

მოგვაკლდა შენი ნათელი მზერა
ჩამოჰფარვია მზიანეთს ბინდი,
დუშმანი კვლავაც საპყრობად გვზვერავს
და უიმედო დღეები მიდის.

რაღას ველოდეთ უფრო უარესს
კვლავ უღალატა ქრისტეს იუდამ,
ცას გრიგალებმა გადაუარეს
და მიწიერნი ხსნას ვით მივუტანთ.

შემოგვიბილწეს წმინდა ტაძარი
შემოგვიმსხვრიეს ხმალი ვადამდე,
გვდევნის დუშმანი გაუმაძღარი
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

გადაგვავიწყეს ქრისტე უფალი
გვიწინამძღოლეს თავად ურია,
ნეტავ ვინ არის თავისუფალი
ტყვეობა ყოფის სათაურია.

ამადაც ვნატრობთ შენს ნათელ მზერას,
ზეციდან გელით თეთრი ვარდებით,
მოხვალ, ჰო, მოხვალ მესიად, გვჯერა
და რწმენის ხატად აღიმართები.

***

შემომრჩენია კვლავაც სიფიცხე
სულს სევდიანი შვენის ღიმილი,
მე სამუდამოდ გადაგივიწყე
წუხილითა და გულისტკივილით.

სიმარტოვე ხომ მთაა ოცნების
მთა, ჩამომდგარი სევდის ღვთაებად,
ნეტავი ვისგან დაიკოცნები,
ვის უწილადებ ტანჯვა - ვაებას.

ცამ ჩაიცრემლა ელვის თვალებით
სიყვარულს თან სდევს ჭრილობაც გულში,
სულს დასტყობია ნატერფალები
ასე უხვი და ასე პირქუში.

### ასი წლის შემდეგ

*„სარკოფაგიდან დგება მუმია...“*
*გალაკტიონი*

მე წამოვდგები, ვით მუმია სარკოფაგიდან
და ჩვენს საფლავზე ავამზევებ ყველა
კესანეს,
ოღონდ მანამდე, როს სიკვდილი თვალებს
დაბინდავს
ეს ერთი თხოვნა შემისრულე, შენი კვნესამე.

მოდი, ერთხელაც წამიკითხე ისე ლამაზად
ჩემთვის ძვირფასი ერთი სტროფი, თუნდაც
ბწკარედი,
რომ იმ ქვეყნადაც მთელი ძალით ვიგრძნო
ანაზდად
ლექსი, რომელსაც სიკვდილამდე თან
ვატარებდი.

***

აღარც შენი ზვრები მინდა
აღარც შენი კორდები,
დღეს მივდივარ სამუდამოდ,
სამუდამოდ გშორდები.

გაფრენილა ლაღი ტრფობა
ვით ბუდიდან ხოხობი,
წავალ ბილიკს გავუყვები
აღმართს ავლევ ორლობით.

არ წავხდები, თავს შევიქცევ
ჩიტებს გააქვთ განგაში,
უცაბედად აღმოვჩნდები
გვირილების ალყაში.

რა ვქნა, ასე რომ მიყვარხარ...
სავალალოდ გშორდები,
აღარც შენი ზვრები მინდა
აღარც შენი კორდები.

***

### აღარ ვიჯერებ...

აღარაფერს აღარ გიჯერებ,
შენც შეგელევი ასე ქორფას, სათუთტანიანს,
ვხედავ ზეცაზე თითქოს ღრუბლებს
ნარინჯისფერებს
სადაც ვარსკვლავნი რა ხანია აღარ ჰყვავიან.

აჰა, დამთავრდა...
რა ულმერთოდ, ჩვენი სპექტაკლი,
რარიგ გაცივდა, გაიცრიცა, შენი პროფილი
და მხვდა სცენაზე ბოლოს როლი, როლი სპე-
ტაკის
მიტოვებულის,
მარტოსულის,
უარყოფილის.

### თუშები

აგრაი, მოდიან თუშები
კარს მოსდგომიათღა ზამთარი,
მხოლოდ ბარიღა თუ უშველით
მზე მთიდან ბარშია ჩამდგარი.

ჩვენი გულღია თუშები
დარდებს გადმოშლიან ათასფერს.
გუდიდან ყველს იღებს უშურველს
თუში და დიდ თასში ათავსებს.

არყით გავალაღებ ჩვენს თუშებს
დაღლილებია და ნამგზავრნი...
მთებს ვერ ელევიან თუშები
ცრემლი აქვთ თვალებში ჩამდგარი.

***

ვუსმენ ძვირფას ხულიოს
აკორდები ტირიან,
სული ამღვრეული და
გული ჩაწყვეტილია.

გაიღვარა ფურცელზე
სტრიქონ - სტრიქონ მელანი
და ცის ლაჟვარდს გადასცდა
ლექსი ტატოს მერანით.

***

მზემ ინათა მინდორთან
მთებიც დღეს მზის ფერშია,
მე სხვაგვარად მინდოდა,
შენ სხვაგვარად გერჩია.

ბევრჯერ იყო ავდარი
დარიც იდგა ამრიგად,
მაგრამ ჩვენმა სურვილმა
სხვა - სხვა მხარეს გაგვრიყა.

არც რამ მაშინ მინდოდა,
განა ახლაც რამ მინდა?,
უცბად ჩამოვისვენე
ვისისთან და რამინთან.

***

ისმის ყმუილი ხევში
ჩანს თოვლზე სისხლის კვალი,
ბილიკს მიიკვლევს გეშით
ხროვა ტყედ ჩამავალი.

და განა რამის შიშით
ცად შეჰყმუიან მწარედ,
მავალნი ვაი - ვიშით
მშიერი მგლები მთვარეს.

***

ეს მონატრების ქარი მოჰქრის
ო, დედოფალო...
ქარის ქროლვაში შეუმჩნევლად
ისე ვბერდები...
ამ შემოდგომის ფოთლებს მოჰგავს
ჩემი სამყარო,
ამ შემოდგომის ხეებს მოჰგავს
ჩემი ედემი...
ეს, მონატრების ქარი მოჰქრის
ო, დედოფალო...
შენ მონატრების სიცხადეში
უფრო მშვენდები.

# ივანიშვილის რეჟიმის ბრძოლის ქრონიკა წიგნის წინააღმდეგ ‘‘პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა‘‘

***2018 წლის 2 ნოემბერი.***

ივანიშვილის დიქტატორულ-პოლიციური რეჟიმი, თვით საარჩევნო პროცესშიც კი ახორციელებს დევნა შევიწროების კამპანიას, მათთვის არასასურველი პიროვნებების მიმართ თავისი აგენტურის მეშვეობით. ეროვნული გაზეთის ("განმათავისუფლებელი") დევნის შემდგომ, ივანიშვილი, ამჯერად, წიგნის - "პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის" დევნაზეც გადავიდა; მას შემდეგ, რაც პარიკმახერი მაია ნოზაძე ჩამისახლეს უახლოეს მეზობლად (ერთ ჭერქვეშ), ისინი უფრო ეფექტურად და შენიღბული მეთოდებით აღწევენ მიზანს; როგორც კი, სტამბიდან მოტანილი წიგნები დავასაწყობე ჩემი საცხოვრისის დერეფანში, "ოცნების" კოორდინატორმა მ.ნოზაძემ (პოლიციის "სტუკაჩი"-აგენტი) გამოიძახა პატრული, რომლებსაც უჩვენა ჩემი დასაწყობებული წიგნები, "აი აქ არისო" და პატრულ-პოლიციელები, მთელი 3 საათის განმავლობაში მიქმნიდნენ პრობლემებს; შეადგინეს ოქმი ნოზაძის ჩვენებით, რომლის შინაარსი ჩემთვის უცნობია...

***2018 წლის 22 ნოემბერი***

22 ნოემბერს, ივანიშვილისეული "ოცნების" კოორდინატორისა და პოლიციის აგენტი მეზობლის, მაია ნოზაძის









მხრიდან, მორიგი მძვინვარე აგრესია გახორციელდა, ჩემს მიერ ახლახან გამოცემულ წიგნზე "პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა"; ნოზაძემ, დილის 5 საათზე, იერიში მიიტანა სტამბიდან წინა დღით შემოტანილ წიგნების ტირაჟზე, დაარბია დასაწყობებული წიგნების მწკრივი და დააზიანა 81 ეგზემპლიარი, რითაც მომაყენა მორალური და ფინანსური ზარალი, ხოლო შემდგომ თავად გამოიძახა

გაგრძელება გვ. 19

# „ბოროტების იმპერიის“ მსხვერპლნი

მიუხედავად იმისა, რომ „ბოროტების იმპერია“ (აშშ-ს მე-40 პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა სწორედ ასე მოიხსენია საბჭოთა კავშირი 1983 წელს და სრულიად მართებულადაც) 27 წლის წინ ოფიციალურად დაიშალა და მსოფლიომ კარგად გააცნობიერა თუ როგორ გაერთიანებას წარმოადგენდა ის სინამდვილეში, ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოში კიდევ მოიძებნება ხალხი, რომელიც მას შეჰნატრის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ზღაპარი რომ საბჭოთა კავშირის არმიას განზრახ არავინ მოუკლავს 1989 წლის 9 აპრილს, ეს არის იმ ადამიანების შეურაცხყოფა, რომლებიც 9 აპრილს საკუთარი ქვეყნისთვის ქუჩაში გამოვიდნენ, არ შეეპუვნენ „ერთმორწმუნე“ რუსის ჯარს, რომელიც „წესრიგის აღსადგენად იყო მოსული“. ძალისმიერი მეთოდით მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა თბილისში, არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა, მსგავსი გამეორდა ბაქოში 1990 წლის 20 იანვარს, ე.წ. „შავი იანვარი“, რომლის დროსაც 150 ადამიანი დაიღუპა, ასევე 1991 წლის ვილნიუსის ამბები, უნდა გავიხსენოთ 1956 წელს ბუდაპეშტის სისხლიანი ამბები, 1968 წლის „პრაღის გაზაფხული“, 1956 წლის 9 მარტის თბილისის ტრაგედია. ნუთუ ეს ყველაფერი შოუ იყო? დღევანდელ ჩვენს წერილში გვსურს გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის დროს სიკვდილით დასჯილი ქართველები, რომლებიც შეიწირა რეჟიმმა.

პირველი ასეთი „მსხვერპლი“ აღმოჩნდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918 წლის 26 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე, იმავე დარბაზში, სადაც თავისი უკანასკნელი სხდომა გამართა ამიერკავასიის სეიმმა, გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. ეროვნულ საბჭოს ნოე ჟორდანიამ გააცნო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომლის თანახმადაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოცხადა, რუსეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და ახლად გათავისუფლებული ქვეყნების დასაპყრობად ჯერ არავის ეცალა.

ამ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მთავრობამ შეძლო მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება: დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად, განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ეროვნული გვარდია, დაიწყო დროებითი ფულადი ნიშნის - ბონის გამოშვება, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია. მიუხედავად ამისა ქვეყნის მდგომარეობას ართულებდა რთული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, რომელსაც კარგად იყენებდა ოპოზიცია. მოსკოვმა ხელი შეუწყო ადგილობრივი ბოლშევიკური ძალების შექმნას, რომელსაც მეხუთე კოლონიის როლი უნდა შეესრულებინა (1920 წლის 7 მაისის საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად ბოლშევიკების საქმიანობა ლეგალური გახდა). მათი ხელშეწყობით ადგილი ჰქონდა მუშათა გაფიცვებს და გლეხთა აჯანყებებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

რუსეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო, 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანის, ნოემბერში კი სომხეთის გასაბჭოებამ საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. 25 თებერვალს თბილისში რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ. მიუხედავად შექმნილი სიტუაციისა მთავრობა არ დათანხმდა საბჭოთა რუსეთის წინაშე კაპიტულაციას, ბათუმში გამართულ სხდომაზე დადგინდა, რომ მთავრობა ემიგრაციაში წასულიყო და იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა. 1921 წლის 17 მარტს დემოკრატული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა და ემიგრაციაში წავიდა.

რუსეთის ოკუპაციის პირველსავე წელს დაიწყო ბრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას განაგრძობდა საფრანგეთში ემიგრირებული მთავრობის წევრები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები და ინტელიგენცია. თავის მხრივ, უშუალოდ ქვეყანაში დარჩენილებიც არ ეგუებოდნენ რეჟიმს და მათმა დაუმორჩილებლობამ განაპირობა ის რომ რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლება პირველივე დღიდან შეუდგა რეპრესიების გატარებას.

საქართველოს გასაბჭოებიდან მალე თბილისში ჩამოვიდა იოსებ ჯუღაშვილი იგივე სტალინი, რომელიც სიტყვით გამოვიდა ნაძალადევის კლუბში გამართულ დახურულ მიტინგზე. შემდეგ სიტყვე-

➔

ბით გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, ალექსანდრე დგებუაძე, რომელიც სახალხო გვარდიის შტაბის წევრი იყო და ისიდორე რამიშვილი. მათ მკაცრად გააკრიტიკეს სტალინი და საბჭოთა პოლიტიკა საქართველოში. ამის შემდეგ დაიწყო მასობრივი რეპრესიები. აპატიმრებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ პოლიტიკურ და სამხედრო პირებს. დააპატიმრეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე, სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე, ყოფილი სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, დამფუძნებელი კრების წევრები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები და მრავალი სხვა.

მასობრივად აპატიმრებდნენ და დევნიდნენ იმ მუშებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას არ თანაუგრძნობდნენ. გურიაში, სადაც მრავლად იყვნენ სოციალ-დემოკრატების მხარდამჭერები, მთავრობამ ჩეკისტი ალექსანდრე ობოლაძე მიავლინა. ობოლაძემ მრავალი გლეხი დააჭერინა და დაახვრეტინა. ის ყოფილმა გვარდიელმა გოგია ღლონტმა მოკლა და თურქეთში მიიმალა. ამის საპასუხოდ რეპრესიები გაძლიერდა.

საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ოკუპაციის პირველივე წელს შემოდგომაზე აჯანყდა სვანეთი, აჯანყებამ იფეთქა რაჭა-ლეჩხუმშიც, ეს გამოიხატებოდა საპროტესტო აქციებსა და მანიფესტაციებში. აჯანყებულებმა რევკომის ხელისუფლება დაამხეს, მათ წინააღმდეგ გაგზავნილი სადამსჯელო ჯარი კი დიდთოვლობამ შეაფერხა, თუმცა 1922 წლის გაზაფხულზე აჯანყება ჩაახშვეს, მიუხედავად ამისა საბჭოთა ხელისუფლებამ გაითვალისწინა ამბოხებული სვანების სურვილები.

პოლიტიკური წინააღმდეგობის გასაწევად აუცილებელი იყო პოლიტიკური ორგანოს ანუ პარტიის შექმნა, 1922 წლის მაისში შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი„(დამკომი), სადაც ყველა ძირითადი პარტია იყო წარმოდგენილი. პოლიტიკური მეთოდების ბრძოლის გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად ჩამოყალიბდა სხვადასხვა სამხედრო ორგანიზაციები, მაგალითად: ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული ორგანიზაცია. 1922 წლის თებერვალში კახეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ექვს ერთგულ თანამებრძოლთან ერთად ფიცი დადო სამშობლოს გათავისუფლების ბრძოლისთვის, ისინი ისტორიაში შევიდნენ „შეფიცულთა რაზმის“ სახელით. ივლის-აგვისტოში კახეთსა და ფშავხევსურეთში დაწყებული აჯანყება, მიუხედავად კარგად შემუშავებული სამხედრო გეგმისა, დამარცხდა. ანტისაბჭოთა პარტიების აქტიურობა დროებით შენელდა, რაც გამოწვეული იყო მმართველი კომუნისტური პარტიის რეპრესიებით. თუმცა ანტისაბჭოთა შეიარაღებული გამოსვლა მაინც იგეგმებოდა 1923 წლის 26 მაისს, მაგრამ აჯანყება არ შედგა იმის გამო რომ დააპატიმრეს სამხედრო ინტელიგენცია და დაიწყო ამბოხების მოწყობაში ეჭვმიტანილთა და „საეჭვო პირთა“ (იქნებოდა ეს სტუდენტები, მასწავლებლები თუ სხვ.) დაჭერა-დახვრეტა. დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს გენერლებს: კოტე აფხაზს, ალექსანდე ანდრონიკაშვილს, ვარდენ წულუკიძეს, როსტომ მუსხელიშვილს, პოლკოვნიკ გიორგი ხიმშიაშვილს, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1923 წლის 21 მაისს „ვაკის პარკის“ ტერიტორიაზე.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ქართველი საზოგადოება არ შეურიგდებოდა საბჭოთა ოკუპაციას. 1923 წლის აპრილში საიდუმლო სამხედრო კრებაზე დაიგეგმა ახალი მასშტაბური აჯანყება. ნოემბერში საბჭოთა მთავრობამ დააპატიმრა ემიგრაციიდან დაბრუნებული ნოე ხომერიკი, მისი საქმიანობა კი გააგრძელა გოგიტა ფაღავამ, თებერვალში დააპატიმრეს თავად გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი, ნაპოლეონ კახიანი. მიუხედავად ამისა, აჯანყება გადაწყდა 1924 წლის 17 აგვისტოს. მოღალატეების საშუალებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ახერხებდა საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებას, 7 აგვისტოს დააპატიმრეს ვალიკო ჯუღელი რითაც დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა თბილისსა და ბათუმში. ამან განაპირობა ის, რომ აჯანყების ახალ თარიღად 29 აგვისტო დასახელდა, სამწუხაროდ გამოსვლები ჭიათურაში ერთი დღით ადრე 28 აგვისტოს დაიწყო. რამაც მისცა საშუალება საბჭოთა ხელისუფალთ სწრაფი მობილიცაზიის. 29-ში დათქმულ დროს, თითქმის ყველა კუთხე აჯანყებამ მოიცვა, მაგრამ მისი მარცხიც დასაწყისშივე გარდაუვალი იყო. სერგო ორჯონიკიძის ბრძანებით, რომელიც საქართველოში რეპრესიების ორგანიზატორი იყო, ჩაახშვეს გამოსვლები: იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთსა თუ კახეთში. 1925 წლის ივლის-აგვისტოში მიმდინარე სასამართლო პროსეცების შემდეგ, არა მარტო აჯანყებულთა ლიდერები, არამედ მათი ოჯახის წევრებიც კი გადაასახლეს გულაგებში, საიდანაც უმეტესობა ველარც დაბრუნდა.

დიდ დევნას და შევიწროებას განიცდიდა ეკლესია, მრავალი ღვთისმსახური ან ფიზიკურად გაანადგურეს ან ციხეებსა თუ გადასახლებაში ამყოფეს. ამის მაგალითია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ბედი, რომელიც 1921 წლიდანვე აქტიურად იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. ავტოკეფალიის მოთხოვნის გამო, ჯერ კიდევ 1905 წელს გადაასახლეს რუსეთში, საიდანაც სამშობლოში 1917 წელს დაბრუნდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი სიტყვა გენუის კონფერენციაზე სადაც მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. აქტიური მოღვაწეობის გამო 1922 წელს ამბროსი ხელაია დაიჭირეს, მას ეკუთვნის პატიმრობის დროს წარმოთქმული ცნობილი სიტყვები: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!“

იმის გამო რომ საბჭოთა კავშირი აშენებდა ათეისტურ სახელმწიფოს, ცხადია არ აწყობდათ ქართველთა მართლმადიდებლობა. ამ პერიოდში აუქმებდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს. იკრძალებოდა ეკლესიაში სიარული, წირვა-ლოცვა. მიზანს წარმოადგენდა არამარტო მართლმადიდებლობის, არამედ საერთო რელიგიის მოსპობა ერში. 1931 წელს ალავერდის წმინდა გიორგის საეპისკოპოსო ტაძარში მეღორეობის ფერმა გაიხსნა, რასაც მიუძღვნეს კიდეც ლექსიც:

„... სადაც სუფებდა მატყუარობა,
ბერ-მონაზვნების ცხოვრება ზანტი,
დღეს ფეხს იკიდებს და ვითარდება
მეღორეობის მძლავრი გიგანტი“

საბჭოთა კავშირში უხეშად ერეოდნენ ადამიანების საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში, ადამიანებს ფიზიკურად ანადგურებდნენ, მათ სახეებს ფოტოებიდანაც კი შლიდნენ. თითქოსდა ისინი არც არსებობდნენ. რეპრესიები გაგრძელდა 30-იან წლებშიც, თანაც უფრო მკაცრი და დაუნდობელი. ის შეეხო ყველა კლასს და სოციალურ ფენას, რეპრესიის მსხვერპლნი გახდნენ: გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, ცნობილი დირიჟორი ევგენი მიქელაძე, ლიტერატურათმცოდნე ვახტანგ კოტეტიშვილი, ეროვნული სამხატვრო გალერეის ფუძემდებელი დიმიტრი შევარდნაძე, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი, მხატვარი პეტრე ოცხელი, პოეტები ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი და სხვები. ქართული კულტურის მოღვაწეთა დიდმა ნაწილმა მრავალი წელი გადასახლებებში და ციხეებში გაატარა. პოლიტიკური რეპრესიები, რაც არ უნდა უცნაური იყოს, შეეხო ერთგულ კომუნისტებსაც, იმათ, რომლებიც თავის დროზე შემოუძღვნენ რუსის ჯარს საქართველოში, ქართველ ბოლშევიკებიდან სიკვდილით დასაჯეს: მიხეილ კახიანი, მამია ორახელაშვილი, ლევან ღოღობერიძე, ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, სამსონ მამულია და სხვები.

ქართველ მწერალთაგან პირველი, რომელიც რეპრესიებმა შეიწირა, პაოლო იაშვილი იყო. ეს ტრაგედია მოულოდნელი არ ყოფილა. იგი საკამაოდ დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. ლავრენტი ბერიას მიერ გავრცელეული ხმებით, რომ პაოლომ თითქოს დააბეზღა ინჟინერი ვლადიმერ ჯიქია, რაც გახდა მიზეზი მისი თვითმკვლელობისა. 1937 წლის 22 ივლისს მწერალთა სახლში პოეტმა დაასწრო ბერიას განაჩენის სისრულეში მოყვანა და სანადირო თოფით თავი მოიკლა. ამ აქტს „პროვოკაციული გამოხტომა“ უწოდეს. პაოლოს სიკვდილიდან ოთხ დღეში, 26 ივლისს, კავშირის პრეზიდიუმმა კენჭის ყრით მიიღო გადაწყვეტილება: „მიხეილ ჯავახიშვილი, ჯაშუში და დივერსანტი, განდევნილ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდეს“. მისი მეგობრებიდან და კოლეგებიდან ბევრი აიძულეს ეღიარებინათ მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც კონტრ-რევოლუციონერი ტერორისტი. მწერალი 1937 წლის 14 აგვისტოს დააპატიმრეს და წამების ქვეშ ხელი მოაწერინეს „აღიარებაზე“. სასჯელი მალე აღასრულეს, მოგვიანებით მისი ძმაც კი დახვრიტეს, მწერლის არქივი განადგურდა, ხოლო მის ქონებას კონფისკაცია გაუკეთდა. მეუღლე კი გადაასახლეს.

პაოლოს თვითმკვლელობის შემდეგ ბერიამ დაიბარა ტიციან ტაბიძე და უთხრა მოეწერა ხელი წერილზე, რომ თითქოს პაოლო იყო ერთ-ერთი იმპერიალისტული სახელმწიფოს აგენტი, რაც ტიციანმა ვერ გააკეთა. შვილთან დიალოგში ტიციანი ეუბნება ნიტას: „



მე შეიძლება აღარ ვიყო, შეიძლება დედაშენიც აღარ იყოს, მაგრამ არასოდეს შეგრცხვება შეხედო ხალხს თვალებში, არასოდეს გაწითლდები ჩემი სახელის ხსენებაზე“. 15 დეკემბერს „ცისფერყანწელ“ პოეტს განაჩენი გამოუტანეს და დახვრიტეს.

არც მსახიობებს ინდობდნენ, 1937 წლის ივლისში დაიბარეს მსახიობი ხათუნა ჭიჭინაძე, საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ მას ბრალი ედებოდა ქმრის, „ხალხის მტრის“ გიორგი ყურულაშვილის დავალებით ტერორისტულ აქტში მონაწილეობა, რომელიც მიმართული იყო ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ. ტერორსტულ ჯგუფში ასევე დასახელებულნი იყვნენ სხვა ცნობილი მსახიობებიც, 1938 წლის იანვარში ხათუნა ჭიჭინაძემ „დანაშაული“ აღიარა და 1938 წლის 3 მარტს დახვრიტეს.

1937 წლის ნოემბერში ოპერა „ლატავრას“ რეპეტიციის შემდეგ აიყვანეს დირიჟორი ევგენი მიქელაძე. საგამომძიებლო საქმეში ეწერა რომ ბრალდებული „მავნებლურ“ მუშაობას ეწეოდა ფალიაშვილის სახელობის თეატრში. მალე ევგენი მიქელაძე დახვრიტეს, მაშინ იგი 34 წლის იყო.

ლავრენტი ბერიასადმი დაუმორჩილებლობამ დაუსვა წერტილი სანდრო ახმეტელის შემოქმედებას და ცხოვრებას. მართალია პირველი სამი თვის განმავლობაში იგი ყველა ბრალდებას უარყოფდა, მაგრამ ველარ გაუძლო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შემდეგ ყველა წაყენებული ბრალდება აღიარა. რეჟიმმა სანდრო ახმეტელი ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობაშიც დაადანაშაულა. ამასთანავე, მას ბრალად ედებოდა ხელოვნების სფეროში მავნებლური საქმიანობა.

ერთ-ერთ ლხინის სუფრაზე პოეტმა ნიკოლო მიწიშვილმა უარი თქვა ლავრენტი ბერიას სადღეგრძელოს შესმაზე და იგი რამდენიმე დღეში დააპატიმრეეს და მალევე დახვრიტეს. გაანადგურეს მისი არქივი, დაუპატიმრეს მეუღლე თამარ ბაგრატიონი და როგორც „ხალხის მტრის“ მეუღლეს გადასახლება მიუსაჯეს.

1930-იანი წლების რეპრესიებს შეეწირენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც საერთოდ არაფერი აკავშირებდათ პოლიტიკურ ცხოვრებასთან, ისინი უბრალოდ ინტრიგნების მსხვეპლნი აღმოჩნდნენ. რეპრესიები არ იყო ერთჯერადი, იგი პერმანენტულად მიმდინარეობდა. იყო შემთხვევები, როცა უდანაშაულოდ დაპატიმრებულებს ძიების დამთავრებამდე უსწორდებოდნენ ფიზიკურად, ხოლო დოკუმენტებში აღნიშნავდნენ რომ პატიმარი გარდაიცვალა.

ბევრმა ქართველმა ციხეებსა და შორეულ გადასახლებაში დალია სული. მართალია, ზოგნი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩნენ, მაგრამ უმძიმესი მორალურ-ფსიქოლოგიური ზეწოლა გამოიარეს. მათ შორის იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია და ბევრი სხვა. სამწუხაროდ ასეთი იყო ადამიანის ბედი ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით გაუგებარია რატომ უნდა მისტიროდეს ადამიანი საბჭოთა კავშირის, ანდა რატომ უნდა ჰქონდეს მასზე ნოსტალგია.

თსუ სტუდენტები:

**ქეთი ბარბაქაძე**

**ნინო მელუა**

*(სტატიის ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ- რედ.)*

ხელოვნება

# მეხსიერების თვალი

დღევანდელ რეალობაში ფოტოები ჩვენი განუყოფელი ნაწილია, დღე არ გავა რომ ახალ ფოტოს არ გადავაწყდეთ, ან თავად ჩვენ არ გადავიღოთ. თუმცა სულ რაღაც სამი საუკუნის წინ ამას ვერავინ წარმოიდგენდა, იყო დრო როცა სურათი მხოლოდ მხატვრების დახმარებით შეიძლებოდა გვქონოდა. დღევანდელ სტატიაში გვსურს მოკლედ გადმოგცეთ ფოტოგრაფიის ისტორია, მათ შორის შევეხებით ქართული ფოტოგრაფიის საკმაოდ მრავალფეროვან წარსულსაც.

თავად სიტყვა ფოტოგრაფია ბერძნული სიტყვაა და „სინათლით ხაზვას“ (ხატვას) ნიშნავს, ფოტოგრაფია თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ XIX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს გამოგონებად, რადგან მისი შექმნით კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ნაბიჯი გადაიდგა. დღევანდელი ფოტოგრაფიისაკენ მიმავალი გზა საკმაოდ რთული აღმოჩნდა; დროდადრო შეისწავლებოდა შუქმგრძნობიარე ნივთიერებაზე სინათლის ზემოქმედება, ამუშავებდნენ მათი საშუალებით გამოსახულების მიღების სხვადასხვა მეთოდს, მიმდინარეობდა ფოტოაპარატის წინამორბედის კამერა-ობსკურის სრულყოფა, გამოსახულების მიღების გარდა უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენდა უკვე მიღებული გამოსახულების ფიქსაცია ანუ შენახვა. ფოტოაპარატის წინამორბედი კამერა-ობსკურა (ბნელი ოთახი) წარმოადგენს დახურულ ყუთს, რომლის ერთ მხარეს პატარა ნახვრეტია. ოპტიკის კანონის შესაბამისად ნახვრეტის საპირისპირო კედელზე იმ განათებული ობიექტის გამოსახულება ჩნდება, რომელიც იმყოფება გარეთ, ნახვრეტის წინ. მოგვიანებით ნახვრეტის მაგივრად გამოიყენეს ოპტიკური ხელსაწყო ლინზა, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა გამოსახულების ხარისხი.

პირველად ამ ფენომენზე საუბარი ძვ.წ. V საუკუნეში ძველ ჩინეთში დაიწყეს, კამერა-ობსკურის მუშაობის პრინციპი დეტალურად აქვს აღწერილი ცნობილ იტალიელ ლეონარდო და ვინჩს (1452-1519), ის იყო მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი: არქიტექტორი, მათემატიკოსი, გამომგონებელი, ინჟინერი, მოქანდაკე, მწერალი, კარტოგრაფი და რა თქმა უნდა მხატვარი.

საწყის ეტაპზე ფოტოგრაფიის მიზანი იყო პორტრეტული ან ნატურალური გამოსახულების მიღება დროის მოკლე პერიოდში, ეს უნდა ყოფილიყო იმაზე ნაკლები დრო ვიდრე სჭირდებოდა მხატვარს ამავე მიზნისათვის. დროთა განმავლობაში თავისი განვითარების პროცესში ფოტოგრაფია იქცა ხელოვნების დამოუკიდებელ დარგად - ფოტოხელოვნებად.

ფოტოგრაფია, როგორც დარგი 1839 წელს პარიზში



დაფუძნდა, ეს დაკავშირებული იყო არა გამოსახულების მიღებასთან, არამედ გამოსახულების შენახვასთან, იგივე ფიქსაციასთან. დიდი წვილი შეიტანეს ფრანგმა ჟოზეფ ნიეფსიმ, ასევე მხატვარმა, ქიმიკოსმა და გამომგონებელმა ლუი ჟაკ მანდე დაგერმა, რომელმაც პირველმა შეძლო გამოსახულების მიღება ვერცხლით დაფარულ ფირფიტაზე.

მსოფლიო ისტორიაში გადაღებული პირველი ფოტო



ეკუთვნის ფრანგ გამომგონებელ ჟოზეფ ნისეფორ ნიეფსის, ეს მოხდა 1826 ან 1827 წლის ზაფხულში ე.წ. „ხედი კაბინეტის ფანჯრიდან“. ფრანგი გამომგონებლის ამ ფოტოებზე მხოლოდ ორი ფერი იყო, შავი და თეთრი.

მსოფლიოში პირველი ფერადი ფოტო დაკავშირებუ-



ლია ცნობილ შოტლანდიელ ფიზიკოსთან ჯეიმ კლერკ მაქსველთან, 1861 წელს მან მოახერხა შავ ფონზე სამი ფერის ნაზავი წარმოედგინა წითელი, მწვანე და ლურჯი.

რაც შეეხება ქართული ფოტოგრაფიის ისტორიას, სხვადასხვა პერიოდში საქართველოში ფოტოებს იღებდნენ რუსი ფოტოგრაფები, მათ შორისაა: ვლადიმერ ბარკანოვი, ალექსანდრე ენგელი, დიმიტრი ერმაკოვი, კონსტანტინე ზანისი და სხვ.

პირველი ქართველი პროფესიონალი ფოტოგრაფი იყო ალექსანდრე როინაშვილი, ის 1846 წელს დუშეთში დაიბადა, საკმაოდ მძიმე ბავშვობა გადაიტანა, 1875 წელს თბილისში, სასახლის ქუჩაზე საკუთარი ფოტოსახელოსნო „რემბრანდტი“ გახსნა. ხოლო საუკუნის მიწურულს თბილისში მას უკვე სამი ფოტოსტუდია ჰქონდა: „რემბრანდტი“, „სასურათხატო“, „ამხანაგობა“. გარდა იმისა, რომ იგი ფოტოებს იღებდა, იყო ასევე კარგი მასწავლებელიც. მის ატელიეში არა ერთი



შემდგომში ცნობილი ქართველი ფოტოგრაფი აღიზარდა.

მას არ გამორჩენია თითქმის არც ერთი მისი თანამედროვე საზოგადო მოღვაწე, რომელთათვის ფოტოსურათი არ გადაეღოს. მათ შორის არიან: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვ. მომავალ თაობას მან უამრავი ფასეული ფოტოსურათი დაუტოვა, ფოტოებს უღებდა ხუროთმოძღვრულ, ისტორიულ ძეგლებს, მას ჰქონდა ერთგვარი მოძრავი მუზეუმი, რომელიც შედგებოდა ნუმიზმატიკური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული განყოფილებებისაგან. თავისი სურათების გამოფენას ხშირად აწყობდა რუსეთის იმპერიის სახვადასხვა დიდ ქალაქში.

1898 წლის 11 მაისს ალექსანდრე როინაშვილი გარდაიცვალა. მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. მის საფლავის ქვაზე ვხვდებით წარწერას: „სამაგალითო ქველმოქმედს და თავის ქვეყნისათვის სიყვარულით სავსეს, ალექსანდრე როინაშვილს, 1846-1898, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

ის რომ ალექსანდრე როინაშვილი დიდი პიროვნება იყო, ჩანს მის დასაფლავებაზე სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელის ივანე რატიშვილის გამოსათხოვარ სიტყვაში. მან პირველი ქართველი ფოტოგრაფის სახელოსნო მოიხსენია, როგორც ქართული საზოგადოების კულტურული ცხოვრების ცენტრი: „იქ იწვრთნებოდა მთელი დასი ახალგაზრდებისა. შენ თვი-



თონ იყავ მათი მწვრთნელი, შენა ზრუნავდი გულითა მხურვალითა, რომ მოგემზადებინა ისინი ღირსეულად ცხოვრების სასარგებლო სარბიელისათვის და დაგეყენებინა ისინი პატიოსანი გამრჯელობის გზაზედ. ეხლა იგი ახალგაზრდობა მწარედ დასტირის შენს კუბოს და აღარ იცის, როგორ განაგრძოს, შენგან დაწყებული, მაგრამ არ-გათავებული დიდად ღირსეული საქმე“, ვკითხულობთ გაზეთ ივერიის 1898 წლის 16 მაისის ნომერში.

ანდერძის თანახმად პირველმა ქართველმა პროფესიონალმა ფოტოგრაფმა ყველაფერი, რაც კი ებადა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა. მთელი ქონება: ფოტოგრაფიული სახელოსნოები, აპარატები, სურათები, არქეოლოგიური, ანტიკვარული ნივთები.

ფოტო, როგორც პროპაგანდის საშუალება, საკმაოდ აქტიურად გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში, მათთვის არასასურველ პიროვნებებს ხშირად უბრალოდ აქრობდნენ ფოტოდან. წარმოგიდგენთ ერთ უბრალო მაგალითს ნიკოლაი ეჟოვის, რომელიც იყო სტალინის მარჯვენა ხელი და მასობრივი რეპრესიების უშუალო ხელმძღვანელი, 1936-38 წლებში სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. სტალინთან ურთიერთობა აერია, თანაც იმდენად რომ, ჯერ 1939 წელს დააპატიმრეს, ხოლო 1940 წელს დახვრიტეს. შესაბამისად, ეჟოვის სახე მალე ფოტოებიდანაც გააქრეს.

საბჭოთა კავშირში, 1980 წლამდე როგორც ბევრი სხვა რამ, ჟურნალ-გაზეთების ფოტოებიც მკაცრად კონტროლდებოდა. სპეციალური კომისია ამუშავებდა ფოტოებს და შემდეგ ბეჭდავდნენ საჭიროებისამებრ.

ქართული ფოტოგრაფია უამრავ მნიშვნელოვან ფოტოსურათს ინახავს, რომლებსაც უდიდესი როლი აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის. ფოტოები მოიცავს როგორც 1918-21 წლების პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე შემდგომ საბჭოთა კავშირის პერიოდს.

ეს გახლავთ ბატონი ზვიად გამსახურდიას ფოტო, როდესაც ის აცხადებს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენას, დამოუკიდებლობის აქტი მიღებული 1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე, თბილისში, მთავრობის სასახლეში.

თსუ სტუდენტები:

**ალექსანდრე მაჭავარიანი**
**დავით გოგბერაშვილი**

(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)

ბიბლიოგრაფია

ანტისა (მაია) დეისაძე- ფოტოგრაფიის სახელმძღვანელო.

TIME მე-20 საუკუნის ისტორია (რუსეთის რევოლუცია და სსრკ)

რადგანაც არსებული თემა მოიცავს ფოტოებს, ამიტომ ინფორმაციის გარკვეული ნაწილი მოვიძიეთ ინტერნეტ სივრცეში.

http://nateba.websail.net/biographies/270-roinishvili

https://www.pinterest.com/skylarluna/baby-selfies/?fbclid=IwAR2knaCXGUkc2TSFLSANbPK9EqPBVgWfccMzxbw7GtF278siL-EBOKaLac8

http://www.zimbio.com/pictures/UV5JbULRsyp/FILE+Five+Years+Since+Russia+Went+War+Georgia/KN37r0t1gW0/Lech+Kaczynski?fbclid=IwAR2knaCXGUkc2TSFLSANbPK9EqPBVgWfccMzxbw7GtF278siL-EBOKaLac8

https://www.nasa.gov/centers/glenn/about/bios/neilabio.html

Intermedia.ge

https://burusi.wordpress.com/2010/04/19/alexander-roinashvili-2/

# პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია

2018 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა, საყოველთაო სახალხო კენჭისყრით გათვალისწინებული, უკანასკნელი მეშვიდე საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში (2013 წლის საკონსტიტუციო ცვლილებით, ამიერიდან, პრეზიდენტს აირჩევს საქართველოს პარლამენტი). 28 ოქტომბრის არჩევნებში, ორი ძირითადი საპრეზიდენტო კანდიდატიდან, სავალდებულო 50%-იანი ბარიერი, ვერც „ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა და ვერც ოპოზიციურმა




„ნაციონალების“ კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ გადალახა. „ოცნების“ მთავრობა იძულებული გახდა დაენიშნა მეორე ტური, თუმცა ბიძინა ივანიშვილი, პირველივე ტურში წინასწარმეტყველებდა მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის გამარჯვებას. ცესკ-ომ, არჩევნების მეორე ტურის თარიღად 28 ნოემბერი გამოაცხადა. 28 ნოემბრის არჩევნები მნიშვნელოვანი გაყალბებით ჩატარდა, რათა ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი კანდიდატი, როგორმე გასულიყო. ბათილად ცნობილ იქნა ასიათასზე მეტი ბიულეტენი და მათი უმეტესობა, ორივე კანდიდატგადახაზული იყო, რაც ფაქტიურად საარჩევნო სახელისუფლო კრიზისის მაჩვენებელია.

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების მიერ, რეალურად დანიშნული პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ინაგურაცია კი, თავად ზურაბიშვილის გადაწყვეტილებით, თელავში, ერეკლე მეორის სასახლესთან ჩატარდა (ზურაბიშვილმა პირწმინდად წააგო თელავში და მისი გადაწყვეტილება, უთუოდ, დიპლომატიური ჟესტი გახლდათ).

სალომე ზურაბიშვილმა, ივანიშვილს, კანდიდატობაშივე აღუთქვა, რომ აღუსრულებდა წადილს - ავლაბრის პომპეზურ საპრეზიდენტო რეზიდენციის დატევებისა და სამოღვაწეოდ იკმარებდა ათონელის ქუჩის ორბელიანების სასახლეს.

ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენცია, ყოფილი შსს ავტოინსპექციის შენობის ადგილას აიგო არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის პროექტის მიხედვით, რომელიც მან, გასული მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, კულტურული დანიშნულების სასახლედ დააპროექტა. პროექტი მიხეილ სააკაშვილს თავის საპრეზიდენტო რეზიდენციად მოეწონა და იგი 2009 წელს გახსნა.

ივანიშვილი, ალბათ ვერასდროს აპატიებს, მის მიერ შერჩეულ ყოფილ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, საყოველთაო იმედების გაცრუებასა თუ გაწბილებას ავლაბრის რეზიდენციის ნაწილშიც, რომელზეც, სააკაშვილის გადარჩევის შემდგომ, კომერციული მზერა ჰქონდა დასობილი ივანიშვილს, მაგრამ მასზე ვერაფრით ათქმევინა უარი მარგველაშვილს. ამ დრომდე გადაუწყვეტელია რეზიდენციის ახალი დანიშნულების საკითხი; გიგა ბათიაშვილის დიდი სურვილია, შენობას თავიდანვე განსაზღვრული კულტურული დანიშნულების ფუნქცია დაუბრუნონ.

თელავში, „ნაციონალების“ მძლავრი და ენერგიული პროტესტის ფონზე, 16 დეკემბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო ინაგურაციაზე, „პროტოკოლით“ გათვალისწინებულ, ომახიან სამხედრო მისალმებაზე: "სმენა!" შემკრთალმა პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა სალომე ზურაბიშვილმა, ისე შეარყია თავი, რომ საყურეც კი გაძვრა და მობუზულმა განაგრძო სვლა.

18 დეკემბერს, ახალარჩეულმა პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა კი მონაწილეობა არ მიიღო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან ყოველწლიური შეხვედრის - „ელჩების კონფერენციაში“, რის მიზეზადაც, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკანიანმა, ზურაბიშვილის საპრეზიდენტო აპარატის შერჩევის საქმეებით დაკავება დაასახელა. ეს უკვე გახლავთ პირველი სიგნალი სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო მოღვაწეობის უპირატესი არჩევანისა ...

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, სოციალურ ქსელში, ორი დღით ადრე - 26 ნოემბერს გავრცელებული ჩემი პოლიტიკური განცხადების ტექსტი კი ასეთი გახლდათ:

### საჯარო განცხადება

**ძვირფასო ამომრჩევლებო, თანამემამულენო, ორ დღეში ტარდება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური. პირველ ტურში, ქართველმა ელექტორატმა ნათლად აჩვენა ზურგი ივანიშვილის ქოცატყუილა, მომხვეჭელ, ხარბ ხელისუფლებას, რომლებმაც არაფერი გაიმეტეს ხალხისთვის და ვერც ქვეყნის წინსვლას შესძინეს რამე. სახელმწიფო საქართველო, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად და სოციალურადაც იმყოფება სრულ სტაგნაციასა და კოლაპსში, კატასტროფულად გაიზარდა კრიმინალი, საქართველო იქცა უპერსპექტივო ქვეყნად ყველა მიმართულებით. პარლამენტარები და მთავრობის წევრები მხოლოდ საკუთარ სრა-სასახლეებს იშენებენ, ხალხის მასა კი წლიდან წლამდე იძირება სიღატაკის შმორიან უფსკრულში;**

**უპერსპექტივობიდან, უიმედობიდან და სასოწარკვეთიდან ხსნის ერთადერთ გზას თვითმკვლელობაში ჰპოვებენ ახალგაზრდებიც. დეგრადირებულ, დემორალიზებულ ახალგაზრდებს, ადრეული ასაკიდან, ყველა ქუჩაზე გახსნილ კაზინოებში, საროსკიპოებსა და კრიმინალისკენ უბიძგებენ; ღამის, ჯერ კიდევ ადრეულ საათებში, მოქალაქეთათვის არ არის უსაფრთხო ქუჩებში სიარული, პოლიცია კი ან არსად ჩანს ან სულაც არ რეაგირებს ხულიგანთა მიერ მოქალაქეებზე თავდასხმასა და შეურაცხყოფებზე. 10-12 წლის გოგო-ბიჭუნები უკვე მორფზე დამოკიდებულებები არიან. ისედაც მძიმე დემოგრაფიული მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში. ჩვენს თვალწინ, მმართველი ხელისუფლების პოლიტიკით, მიზანმიმართულად ნადგურდება ჩვენი ეროვნული გენოფონდი. სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოები, ივანიშვილის მმართველობის პერიოდში იქცა კრიმინალების მფარველ და მოკავშირე სტრუქტურებად და სრულიად დაუცველი გახდა ხალხი. საზოგადოება ვერ გრძნობს სახელმწიფოში მთავრობისა თუ ხელისუფლების არსებობას, არ იგრძნობა ხალხზე ხელისუფლების მზრუნველი ხელი და პასუხისმგებლობა. ე. წ. პატრიოტთა ალიანსისა და ოცნების გუნდისაგან შემდგარი ივანიშვილის ხელისუფლება, კვლავ მონურად და უღირსებოდ ელაქუცება იმპერიალისტურ, ოკუპანტ რუსეთს თავისი ემისრების („პატრიოტთა ალიანსის„) რუსეთში ვიზიტებით, რაც აჩერებს საქართველოს ევრო-ინტეგრაციისაკენ წინსვლას. გუშინ, 25 მოემბერს, ივანიშვილის ხელისუფლებამ, დედაქალაქის საკრებულოს წინ მობილიზება გაუკეთა მრავალათასიან მიტინგს რაიონებიდან ჩამოყვანილი ხალხით, რომელიც ირმა ინაშვილის ლიდერობით წარმართა. აშკარაა, რომ ე.წ. პატრიოტთა ალიანსის ლიდერს, ივანიშვილი პოლიტიკურ ფლაგმანად ამზადებს. ივანიშვილის დიქტატორული რეჟიმი ებრძვის თავისუფალ მედიას და სიმართლეს საგამომცემლო ლიტერატურაშიც და ამ სეგმენტში პოლიტიზირებულია სამედიცინო ინსტიტუტებიც.**

**ერთადერთი ხისტი გზა, არსებული ფსევდო, არაკომპენტენტური, ფეოდალური ხელისუფლების მშვიდობიანად მოცილებისა, გახლავთ 28 ოქტომბრის არჩევნებზე ერთობლივი მისვლა და ორივე საპრეზიდენტო კანდიდატის გადახაზვა. ხოლო, გადახაზული საარჩევნო ბიულეტენის, მობილურით გადაღება(იგივეს მოვუწოდებ ქართველ ემიგრანტებსაც). ამ უფლებრივი არჩევანით, გარდა იმისა, რომ მკვეთრ უარს ვეტყვით ორივე სახელისუფლო ძალას, ჩვენ შევქმნით სახელისუფლო (საარჩევნო) კრიზისსაც, რაც წინაპირობა გახდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის ლეგიტიმური მოთხოვნის. სხვა გზა, ამ 26-წლიანი პოლიტიკური სახელისუფლო ძალების მოცილების, არჩევნების გზით, უბრალოდ არ არსებობს! რჩება მეორე - რევოლუციური გზა, რომელიც სისხლიანი გზაა. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები,**




**ძირეულად შეცვლის, აქამდე არსებული ხელისუფლების შემადგენლობას, ასპარეზზე გამოვლენ სრულიად ახალი ძალები...**

**მე მჯერა, ჩემი ერის ღირსეული, პრინციპული პოზიციის და გონივრული პროტესტის გამოხატულების, რითაც ჩვენ მსოფლიოს პროგრესულ პოლიტიკურ ელიტას ერთხმად ვეტყვით, რომ სახელმწიფო საქართველოს ხელისუფლებას, ვირჩევთ თავად, ქართველი ერი და არ ვიღებთ შემოთავაზებულ მარიონეტებს. მხოლოდ ამგვარი ლეგიტიმური და მშვიდობიანი პროტესტის გამოხატულებით მიიღწევა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა! მშვიდობა, ჩვენს უძვირფასეს სამშობლო საქართველოს, ღმერთი არს ჩვენთან!**

ლეილა ცომაია

*(„განმათავისუფლებელი„),*
*2018 წლის 26 ნოემბერი.*

# პოეზიის კუთხე - ეროვნული საღვთო კულტურის, ანუ „საქართველოს სულიერი მისიის" იდეური გამარჯვებისათვის ბრძოლაში

**„სანამ ჭეშმარიტი რელიგია არ აღდგება ჩვენში, ჩვენს ერს გადარჩენა არ უწერია."**

*[ზვიად გამსახურდია]*

ორასწლოვანი და განსაკუთრებით კი, კომუნისტური-ანტირელიგიური იმპერიული ცხოვრების გავლენით, ქართულმა საღვთო კულტურის ისტორიულმა მემკვიდრეობებმა განიცადა კატასტროფული ზიანი. უდაოდ, საკაცობრიო საწყისების ჩვენი ეროვნული რელიგიური მემკვიდრეობები ისე ამოშანთეს ხალხის ყოფიდან, რომ მისი ეროვნულ მეხსიერებაში დაბრუნება დღემდე რთულია. ბუნებრივია ასეთმა გარემოებებმა ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმას, რომ „საქართველოს სულიერი მისიის" მსოფლმხედველობრივი იდეოლოგია, ვერ იქცა და ვერ განვითარდა ქართველი ერის უმთავრეს საბრძოლო ამოცანად, რითაც კაცობრიობამაც ვერ ჰპოვა იმის მადლი, ზიარებოდა თავისი ისტორიული საწყისების იმ საღვთო კულტურას, რომელიც ჩვენმა ეროვნულმა წიაღმა დღემდე შემოუნახა მას. აქ უნებლიედ იბადება გონებაში, გამოჩენილი შვეიცარიელი მოღვაწის, ედგარ მილის შემდეგი სიტყვები: -„კაცობრიობა ვერ გათავისუფლდება, თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი." მის ამ სიტყვებს საფუძვლად უდევს ღრმად გააზრებული ჩვენი საკაცობრიო დანიშნულების საღვთო კულტურა, რომელიც „საქართველოს სულიერი მისიის" ჩირაღდნის შუქია და რომლისგანაც დღეს გვფარავს ხელოვნურად დეგრადირებული საღვთო გაუნათლებლობის ფარდა. სწორედ ამას გვასწავლიდა წმინდა მამა თეოფანე დაყუდებული: „ვინც თავს სიბნელეში და უმეცრებაში ამყოფებს, ორმაგად საცოდავია." იმპერიულ ინერციულ მემკვიდრეობათა წყალობით, ვერც პოეზიამ და კულტურამ იტვირთა „საქართველოს სულიერ მისიაზე" გადაფარებული ამ წყვდიადის ფარდის გადაწევა. ჩემი პოეზიის ნიმუშები, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, ძირითად აშუქებს ედენას ეროვნული საღვთო კულტურის იმ მემკვიდრეობებს, რომელიც ხელოვნური სიყალბით იყო შენიღბული.

---

### ვუმღერ სამოთხეს

უშგულ-თეთნულდის მოჰქროლა სიომ,
უხვად მოზიდა ფრთებით საგზალი!
უნდა გაანდოს მთლად კავკასიონს,
რომ ღვთის სამოთხე სწორედ აქ არის!
ელვარებს მზეზე რწმენის ფარ-ხმალი, -
უკან დაიხევს მტერთა თვალთვალი!
ვართ იბერია, განძის აკვანი,
და...სალოცავად მიხმობს საკრალი!
ჩვენსკენ უჭირავს ღვთისმშობელს კალთა,
და...რაა მავანთ მიეთ-მოეთი?!
დგას ნათლის სვეტი სიონის კართან,
ანგელოსთ დასით, უსათნოესით!
ეს საქართველო მზე-მზის სადარი,
ღვთის სატახტო და ბაღი-ედენა!
წყარო სიცოცხლის სწორედ აქ არის, -
თქვენთვის არია,მაშ არ მემღერა?!
ყოფის სადავე ხელთ გვაქვს, აქ არის!
-ღვთის არსით ხარობს იაც, ენძელაც!
მხარე იბერთა, ბაღი-ბაღნარი,
არის ქვეყანა სადმე ჩვენხელა?!
მრავალჟამიერ, შენ, საქართველოვ! -
ზეცის დაფაზე ასე ეწერა!
მაშ, დიდ წინაპართ კვალით სულ გვევლოს,
მამათა ლოცვა წამოგვეწევა!

### ღები

ღები - ედენას პატრონი,
მყინვართა ძირში ლაღობსა,
სწორედ, აქ არის ადგილი,
სადაც ადამი სახლობდა!
ადამეურის სამყოფით,
მთანი გვიხმობენ ახლოსა!
აქ ვლანდავთ ედენ-სამოთხეს,
ადამის პირველ სამყოფსა!
ღებ-გიორგობას ვლოცულობთ,
წმინდა გიორგის სახითა!
დედაღვთისასაც ვადიდებთ,
დურანქის კოშკის მადლითა!
გველის მოწვდილი ვაშლითა,
გვაცლევინებენ ედემსა!
მაგრამ მოწვდილი საცდური,
ჩვენში ვერ ჰპოვებს გველფერსა!

### სხუვავა

სხუვავა -„ სხვა ჰავას" არ ნიშნავს,
თავი დავიხსნათ ბანგიდან!
სხუვავა - ედენას კარიბჭე,
ლომ კვარაციხის ბანიდან!
წმინდა კედრების მცველობა,
ედენას ტევრში რგებია!
მელამებს სტყორცნის გილგამეშს,
წმინდა ედენას მცველია!
ფუსტის და კვარას ღვთიურ არსს,
ვუვლიდეთ უფლის მადლითა!
წმინდა ანასტა გვახსენებს,
გვევლოს წინაპართ კვალითა!

### ბარი

სოფელ ბარისს გულით ვლოცავ,
უზენაეს საყდარს კოლხთა!
მრავალძალის გვირგვინით რომ,
სიბარისის ხევი მოსჩანს!
„ოქროს საწმისს" სად ვეგულვით?

### თუ არ ბარის ხევის თავსა!

მზის საყდარის ბრწყინვალება,
თავზე ადგას ხიხა მთასა!
არ მოუშვებს, არ მოუშვებს,
ქართველებთან ძალებს ავსა!
იაზონის მოლაშქრეებს,
გვახსენებენ წელთა სვლანი!
ღვთივკურთხეულ ფუსტელთ გენებს,
დე, ვემსგავსოთ რწმენით რვალის!
ხიხა მთაზე მზის ტაძარი,
ჩვენს წინაპრებს აუგიათ!
მადლი დიდი მრავალძალის,
აჩუქურთმებს ბარისს მზიანს!
პირმა დაგლოცოთ ღვთისამან,
ნაწილმა ბარძიმისამან!
მრავალძლის წმინდა გიორგიმ,
ლუსკუმამ ბარისისამა!

### უწერა

უწერა - სალოცავს ნიშნავს, -
მუშუან ტყუპის სახელსა!
შოდა მუშუან რუზოძალს,
სალოცავად აქვს უწერა!
მზე ორჯერ იშვა ლოღორას, -
ჭიორას სჭრეტავს ორგზისა!
ჭის მზის თაყვანის საცემად, -
ღორს სწირავს ძველი ჭიორა!
ჭიდორთას ურუმის ციხე,
ხურუმ მთას ჰკეტავს ურდურა!
გილგამეშ ნეტარ ჟამისას,-
ლოცვას აღავლენს უწერა!

### ერეხელი ვარ

(ჩემეული ვარიანტით)

დაფარული ერი დღემდე - კუმ, კუმ, კუმ!
ხალდეველიც ვარ და ფუტიელიც ვარ!
ერეხელიც ვარ და ურელიც ვარ!
მიქელოიც ვარ და მელქისედეკიც!
ძველი ერიც ვარ და ახალი ერიც!
იმ ქვეყნისაც ვარ და ამ ქვეყნისაც ვარ!
ხორციელშიც ვარ და სულიერშიც ვარ!
ჩემი ერის სახსოვარი - კუმ, კუმ, კუმ!
ოჰო, ჰოი, მიქელოი,
გაბრწყინდება ჩვენი გონი!
„გაბრწყინდება იბერია",
სულ არ არის ის დრო შორი!
ო, ჰო, ჰოი, მიქელოი,
ხსოვნას ილდგენს ჩვენი გონი!
„გაბრწყინდება იბერია",
ღმერთთან ვიყოთ პირველყოვლის!

**გიული შალიკაშვილი**

ამბროლაურის რაიონში სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა მუზეუმის ფოლკლორისტი; პოეტი, ხატმწერი.

ისტორია

# 100 წელი პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან...

11 ნოემბერს 100 წელი გავიდა პირველ მსოფლიო ომის დასრულებიდან, ომისა რომლის მსგავსი მანამდე არ ახსოვდა კაცობრიობას, როგორც შედეგებით, ასევე მსხვერპლის რაოდენობით. დანერგეს ახალი ტექნოლოგიები და გამოიყენეს ახალი იარაღები, რომლებმაც არსებითად შეცვალეს ბრძოლის მიმართულება და მიმდინარეობა. ჩვენი მიზანი არ არის ცალკეული ბრძოლებისა თუ ოპერაციების დეტალური განხილვა, ჩვენ გვსურს ამ ომის ზოგადი სურათი წარმოვადგინოთ.

ყველაფერი დაიწყო ერთი საბედისწერო გასროლით, 1914 წლის 28 ივნისს ორგანიზაცია „შავი ხელის“ ორგანიზებით სარაევოში სტუდენტმა გავრილო პრინციპმა ტერორისტული აქტის შედეგად დახოცა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი (ფრანც ფერდინანდ კარლ ლუდვიგ იოზეფ მარი) და მისი მეუღლე სოფია. სარაევოს გასროლა გახდა ოფიციალური საბაბი პირველი მსოფლიო ომის დაწყების, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ რეალურად დიდი სახელმწიფოები მანამდე უკვე ემზადებოდნენ შესაძლო დაპირისპირებისათვის, გერმანიაში არსებობდა ომამდე ბევრად ადრე შემუშავებული ე.წ. „შლიფენის გეგმა“ (ალფრედ ფონ შლიფენი გერმანელი სამხედრო, გერმანიის იმპერიის გენშტაბის შეფი 1891-1906), რომელიც ითვალისწინებდა ორ ფრონტზე ომს, ამ გეგმით მოკლე დროში უნდა განეხორციელებინათ საფრანგეთის კაპიტულაცია, რის შემდეგაც მთელ ძალებს აღმოსავლეთის მხარეს მიმართავდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ევროპაში უკვე დიდი ხანია არსებობდა დენთის კასრი, საჭირო იყო ცეცხლი და სწორედ ეს ცეცხლი გაჩნდა სარაევოში. გვსურს შემოგთავაზოთ პატარა წერილი ამ მოვლენასთან დაკავშირებით და გავიხსენოთ და მოკლედ გადავავლოთ თვალი იმდროინდელ მოვლენებს.

## საინტერესოა ომის გამოცხადების ქრონიკა:

მსოფლიო ისტორიაში პირველად ომის გამოცხადება განხორციელდა ტელეგრამით. 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს, რუსეთმა დაიწყო სამხედრო მობილიზაცია და არად ჩააგდო გერმანიის მოთხოვნა მობილიზაციის შეწყვეტაზე, რის გამოც 1 აგვისტოს ამ უკანასკნელმა რუსეთს ომი გამოუცხადა, გერმანია ასევე იქცევა საფრანგეთთან მიმართებით და 3 აგვისტოს უცხადებს ომს. ინგლისი ჯერ კიდევ თავს იკავებდა, მაგრამ მას შემდეგ რაც 4 აგვისტოს გერმანია დაარღვევს ბელგიის ნეიტრალიტეტს ინგლისი ომს უცხადებს მას. გერმანელებმა კარგად იცოდნენ რომ აუცილებელი იყო რუსეთისთვის მეორე ფრონტი გაეხსნათ, ამიტომაც დაიწყეს მოლაპარაკებები ოსმალებთან, მათ მოახერხეს და ისინი ომში ჩართეს, 1914 წლის 2 ნოემბერს რუსეთი ომს უცხადებს ოსმალეთს. რაც შეეხება მოწინააღმდეგეთა სხვა მოკავშირეებს 1915 წლიდან ცენტრალური სახელმწიფოების მხარეს ჩაერთვება ბულგარეთი, მაგრამ იმავე წელს მათ რიგებს ტოვებს იტალია, რომელიც ანტანტას მიემხრობა, ანტანტის მხარეს გამოდის იაპონია 1914 წლიდან, ხოლო 1917 წლის აპრილში მათ რიგებს შეუერთდება ამერიკის შეერთებული შტატები თავისი უზარმაზარი რესურსებით.

მხარეები ფიქრობდნენ რომ საომარი მდგომარეობა დიდხანს არ გასტანდა და მალევე მოგვარდებოდა კონფლიქტი, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა, ომი 4 წელი, 3 თვე და 2 კვირა გაგრძელდა. ომი მიმდინარეობდა ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის: ე.წ.„ცენტრალური სახელმწიფოები“ და „ანტანტა“.

ერთი მხარე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ფორმირდებოდა, 1879 წლის 7 ოქტომბერს გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიას შორის გაფორმდა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, მათ 1882 წელს შეუერთდა იტალია, როდესაც 20 მაისს ამ სამს შორის გაფორმდა ხელშეკრულება და ასე შეიქმნა ე.წ. „სამთა კავშირი“.

რაც შეეხება ანტანტას, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში გაფორმდა რუსეთისა და საფრანგეთის სამხედრო კონვენცია, საერთო ენა გამონახეს ძველმა მტრებმა ინგლისმა და საფრანგეთმა და 1904 წლის 8 აპრილს გააფორმეს ხელშეკრულება „გულითადი შეთანხმება“ (ფრანგული სახელწოდება Entente Cordiale), ხოლო 1907 წლის აგვისტოში მსგავსი ხელშეკრულება გაფორმდა ინლისსა და რუსეთს შორის.

ომის დაწყებამდე სხვადასხვა პრობლემები არსებობდა დიდ სახელმწიფოებში, 1904-1905 წლებში წარმოებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელშიც რუსეთი დამარცხდა აჩვენა რომ სახელმწიფო კრიზისში იყო, ასევე მძიმე ვითარება იყო რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 2 მარტს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე გადადგა, ტახტი ძმას მიხეილს დაუთმო, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მასზე. რუსეთში შეიქმნა დროებითი მთავრობა, მაგრამ ის არ აღმოჩნდა დღეგრძელი, 25 ოქტომბრს (ახალი სტილით 7 ნოემბერი) განხორციელდა გადატრიალება ბოლშევიკების მეთაურობით. 1917 წლის 15 დეკემბერს რუსეთი დაუზავდა გერმანიას, ხოლო 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საბოლოოდ გამოეთიშა პირველ მსოფლიო ომს. მაგრამ მოკავშირეები შეიძლება ითქვას გადაარჩინა ომში ამერიკის



შეერთებული შტატების ჩართვამ (1917 წლის 6 აპრილი).

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ამ ომის რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება:

ა) მებრძოლების მობილიცაზია. მანამდე მსგავსი რაოდენობის ჯარისკაცთა მობილიზაცია ისტორიას არ ახსოვს, გერმანია და მისი მოკავშირეების 25 მილიონზე მეტი ჯარისკაცი დაუპირისპირდა ანტანტისა და მისი მოკავშირეების 43 მილიონამდე ჯარისკაცს.

ბ) ქიმიური იარაღის პირველი გამოყენება, 1915 წლის 22 აპრილს მდინარე იპრთან (ბელგიაში) გერმანელებმა მსოფლიო ისტორიაში პირველად გამოიყენეს ქიმიური იარაღი (იპრიტი ქლორის გაზი), რამაც უამრავი ჯარისკაცის სიცოცლხე შეიწირა.

გ) ისტორიაში პირველად გამოიყენეს ტანკები, ეს იყო 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომთან ბრძოლაში, აღსანიშნავია ინგლისური „Mark I“, (თავად სიტყვა ტანკი „ავზს“ ნიშნავს, მსგავსი წარწერით აფორმებდნენ ინგლისელები თავის მძიმე ტექნიკას, შემდეგ კი ეს სახელი დარჩა მათ), დიდი ფსიქოლოგიური ეფექტი იქონია ტანკების გამოჩენამ, რიგ ადგილებში გერმანელები უბრალოდ უბრძოლველად ჩაბარდნენ ტყვედ.

დ) საბრძოლო ისტორიაში პირველად საომარ ოპერაციებში მონაწილეობა მიიღეს წყალქვეშა ნავებმა.

ე) აქტიურად გამოჩნდა თვითმფრინავები, თუმცა იმის გამო, რომ მათ შედარებით სუსტი ძრავა გააჩნდათ ძირითადად საჰაერო ბრძოლებისთვის ან დაზვერვისთვის იყენებდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისური „Bristol F.2 Fighter“ და ფრანგული „Nieuport“.

ვ) დიდი დატვირთვა შეიძინა სამხედრო სანგრებმა, რომლებსაც ბეტონის ფილებისგან ამზადებნენ და გაცილებით უფრო უსაფრთხო იყო.

ზ) მასიური სახე მიიღო რკინიგზის გამოყენებამ არმის სწრაფი გადაადგილებისათვის.

აქვე ვახსენოთ რამდენიმე საომარი ოპერაცია:

პირველი დიდი კრახი გერმანელებმა განიცადეს მარნის ბრძოლაში 1914 წლის 5-12 სექტემბერს.

გალიპოლის ოპერაცია 1915 წლის 7 თებერვალი - 1916 წლის 9 იანვარი, რომელიც ანტანტისათვის უშედეგოდ დასრულდა.

იუტლანდიის საზღვაო ბრძოლა, სკაგერაკის სრუტეში 1916 წლის 31 მაისი - 1 ივნისი, მართალია საბოლოოდ გერმანელებმა უკან დაიხიეს, მაგრამ დანაკარგი ინგლისელებს გაცილებით მეტი ჰქონდათ, საზღვაო ოპერაციებში აღსანიშნავია მძიმე ჯავშნოსანი გემების „დრედნოუტების“ მონაწილეობა.

ვერდენის ბრძოლა 1916 წლის 21 თებერვალი - 18 დეკემბერი, ყველაზე სისხლისმღვრელი ამ ომში, გერმანალებმა დაკარგეს 330 ათასი მეომარი, ხოლო ფრანგებმა 350 ათასი.

ის თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიებს ნათლად მოწმობს პირველი მსოფლიო ომი. დაიწყო ეპოქა როცა ომში მეცნიერება მთავარი აღმოჩნდა, ამ ყველაფერმა კი სამუდამოდ შეცვალა ომის არსი.

პირველ მსოფლიო ომში საკმაოდ განვითარებული იყო გერმანული არტილერია. აღსანიშანვია FK-16 (Feldkanone 16), ის წუთში 5 ჭურვს ისროდა, თანაც გასროლის მანძილი 10 კილომეტრს აღწევდა. ეს მეტად ართულებდა მოკავშირეთა მდგომარეობას. მართალია გამოიყენებოდა თვითმფრინავებით დაზვერვა მაგრამ ის არ ეპარებოდა მოწინააღმდეგეთა არტილერიას, ასევე გამოიყენებოდა დურბინდით დაზვერვა, მაგრამ ხშირი იყო უამინდობა, რაც ართულებდა მტრის დანახვას.

მოკავშირეთა ბანაკში გადაწყვიტეს ჭურვის ხმის მეშვეობით გამოეანგარიშებინათ მოწინააღმდეგის არტილერიის ადგილმდებარეობა, მაგრამ იმის გამო, რომ ბრძოლის ველი საკმოდ ხმაურიანი იყო, ეს მეტად ართულებდა საქმეს; მათ სრულიად ახალი ტექნოლოგია სჭირდებოდათ, სწორედ ამიტომ ბრიტანელები დაუკავშირდნენ 25 წლის უილიამ ლოურენს ბრეგს (აღსანიშნავია რომ ის დღესაც ყველაზე ახალგაზრდა ნობელის პრემიის ლაურეატია ფიზიკის დარგში, 1915 წელს 25 წლისამ აიღო პრემია მამასთან უილიამ ჰენრისთან ერთად),

ბრეგი დაუკავშირდა კაპრალ უილიამ ტაკერს, მათ გადაწყვიტეს აფეთქების ტალღის დეტექტორი აეწყოთ. მაგრამ არავინ არ იცოდა გაამრთლებდა თუ არა მათი ახალი ხელსაწყო უშუალოდ ომისას, ამ კითხვას პასუხი 1918 წლის 8 აგვისტოს ამიენთან ბრძოლისას გაეცა; საშინელი ნისლის ჩამოწვა და გერმანელთა არტილერიის დანახვა შეუძლებელი იყო, მაგრამ ნისლი მოკავშირეთათვის სასიკეთო აღმოჩნდა, რადგან ვერც გერმანელები ხედავდნენ რისთვის ემზადებოდნენ მოწინააღმდეგეები, ანდა რომც დაენახათ ალბათ მაინც გაიკვირვებდნენ თუ რისთვის ჭიმავდა რამდენიმე ჯარისკაცი მავთულებს. მალე გერმანელებმა ყუმბარებით ცეცხლი გახსნეს. სწორედ ამ დროს აამუშავეს ახალი დეტექტორი, იმპულსები მავთულის გავლით აღწევდა ჩამწერ ხელსაწყომდე, ის კი ჰაერის ნაკადის მოსვლის ზუსტ დროს აფიქსირებდა, ბრეგმა თავად შექმნა ურთულესი ფორმულა და მისმა დამხმარეებმა უკვე იცოდნენ რა ინტერვალით მოდიოდა ჰაერის ტალღები და ამით მათ გერმანელთა არტილერიის ზუსტი ადგილმდებარეობა გამოთვალეს, ყველა გაოცებული დარჩა, გამოგონებამ გაამართლა. ამიენის ბრძოლა შეიძლება ითქვას რომ დასასრულის დასაწყისი გახდა გერმანელებთათვის. გაანადგურო მოწინააღმდეგე, რომელსაც ვერც კი ხედავ, ნამდვილად უდიდესი ნახტომია სამხედრო ისტორიაში.

1918 წლის აგვისტოდან გერმანელების მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა, გერმანიის მოკავშირეებმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს კაპიტულაციის გამოცხადება: 29 სექტემბერს სალოკინკში ბულგარეთმა, 30 ოქტომბერს მუდროსში - ოსმალეთმა, 3 ნოემბერს - ავსტრიამ და უნგრეთმა უკვე, როგორც ცალკე სახელმწიფოებმა. დარჩა მხოლოდ გერმანია. 9 ნოემბერს ქვეყანაში რევოლუციის შედეგად კაიზერი ვილჰელმ II (ფრიდრიხ ვილჰელმ ალბერტ ვიქტორ ფონ ჰოჰენცოლერნი) ჰოლანდიაში გაიქცა, ამან დააჩქარა ზავის გაფორმება.

11 ნოემბერს, გამთენიისას, 5 საათზე, კომპიენის ტყეში, მარშალ ფოშის (ფერდინანდ ფოში ფრანგი სამხედრო, საფრანგეთის მარშალი პირველ მსოფლიო ომში) ვაგონში ხელი მოეწერა გერმანიის კაპიტულაციას. მომდევნო 6 საათის განმავლობაში ყველგან უნდა შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები და 11 საათზე ოფიციალურად უნდა დასრულებულიყო ომი, დასრულება აღნიშნეს საარტილერიო სალუტით, 101 ზალპით. ამით დასრულდა პირველი მსოფლიო ომი, ომი რომელშიც 38 სახელმწიფო იყო ჩართული, ომი, რომელმაც 10 მილიონამდე ჯარისკაცისა და 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა.

საინტერესოა, რომ თავად ტერმინი „პირველი მსოფლიო ომი“, პირველად გამოიყენა გერმანელმა პროფესორმა, ბიოლოგმა, ნატურალისტმა, ფილოსოფოსმა ერნსტ ჰაინრიხ ფილიპ აუგუსტ ჰეკელმა ომის პირველსავე წელს (1914 წლის სექტემბერში).

რა მოიტანა ამ ომმა? მსოფლიომ დაინახა რომ მხოლოდ დიდი ადამიანური რესურსი ომში გამარჯვებისათვის გადამწყვეტი აღარ იყო, ტექნიკური ჩამორჩენილობა და ცუდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა აისახებოდა ბრძოლების შედეგებზე. ომმა მოითხოვა უდიდესი ეკონომიკური სახსრები, დაიწყეს ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით ნავთობპროდუქტების სისტემური გამოყენება, დაიღუპა და დასახიჩრდა უამრავი ადამიანი, დაიშალა ისეთი დიდი იმპერიები როგორებიც იყვნენ: რუსეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფოები, შექმნილი ვითარებით ვისარგებლეთ ქართველებმაც და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ის დამოუკიდებლობა რომელიც სრულიად სამართლიანად გვეკუთვნოდა. თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა.

უკვე საუკუნე გავიდა პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან, ადამიანებმა ვიცით რაოდენ საშიშია, მითუმეტეს დღევანდელ ტექნოლოგიურად განვითარებულ ეპოქაში, ომის დაწყება, მაგრამ დღესაც გვიწევს და იძულებულნი ვართ დავიცვათ თავი აგრესორისაგან.

ვიტალი მაჭავარიანი
ალექსანდრე მაჭავარიანი

(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)

ჯანმრთელობის გვერდი

## ჩინგის ხანის რეცეპტი

როდესაც ახალი (ქართული და არა ჩინური ან თურქული) ნიორი შემოვა (აგვისტო-სექტემბერში) ყოველ საღამოს დაჭერით წვრილად ერთი საშუალო თავი, ისე, რომ წვენი არ გამოადინოთ (არ დაჭყლიტოთ), გაშალეთ რამე ჭურჭელზე და გააჩერეთ 15-20 წუთი. შემდეგ გადაიტანეთ ჭიქაში, დაასხით მაწონი, მოურიეთ და დალიეთ. დაღეჭვა არაა საჭირო, უნდა მოსვათ ნელნელა და პირდაპირ გადაყლაპეთ რომ დაუღეჭავი მოხვდეს კუჭში. (ამ პროცედურას იმეორებთ 1 კვირა ძილის წინ).

როდესაც დაჭრილი ნიორი 15-20 წუთი ჰაერზეა გაჩერებული, ამ შემთხვევაში ეს საოცრად სასარგებლო პროდუქტი გადაიქცევა ჯადოსნურ პროდუქტად. ჰაერთან შეხებისას ნიორი იცვლის თვისებებს, მისი ძალა იზრდება და ათმაგდება.

ასეთი წესით მიღებული ნიორი ებრძვის ორგანიზმში ცუდ უჯრედებს და იქვე სპობს მათ, საოცრად ასუფთავებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, უხდება სისხლძარღვებს, ამაგრებს, ასუფთავებს და ელასტიურს ხდის, უხდება თავის ტვინს, ტვინის სისხლძარღვებს და შესაბამისად, მეხსიერებასაც. წმენდს ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს, აძლიერებს იმუნურ სისტემას, ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალებს.

შეიცავს გოგირდის დიდ რაოდენობას და ამის გამო ხელს უწყობს კოლაგენის სინთეზს ჩვენს ორგანიზმში. კოლაგენი ჩვენი სახსრების ხრტილებისა და კანის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, ამიტომ უხდება სახსრებს და აახალგაზრდავებს კანს. კლავს სხეულში პარაზიტებს...

## ყელის ხიხინი და ხველა

სუსტ ხველას და გამიზეზებულ ყელს ასეთი ჩემი მოფიქრებული, მარტივი - სახალისო რამ წაადგება ცოტათი . სპაზმს მაინც მოხსნის ხველის!

შეიძინეთ ცალკე ევკალიპტის და მენთოლის საღეჭი რეზინი. თითო- თითო ბალიში ღეჭეთ ერთად ეს 2 სახეობა. არის უშაქროც და შაქრის შემცველიც. რაც შეეხება ყელის ტკივილისთვის განკუთვნილ სააფთიაქო საწუწნ აბებს, ვისაც ძმრიანი წყლის გამოვლება არ შეუძლია დღეში 4--6 ჯერ, რაც საუკეთესო შედეგით გამოირჩევა, საწუწნი აბები / ტაბლეტები შეიძინეთ სალბის და ქაცვის (რუსულად შალფეი და აპლიპიხა) .

ბრონხებს--ხიხინებს ევკალიპტის ფოთლების ნაყენის დალევა შველის ყველაზე მეტად. საუზმიდან 2 საათის შემდეგ. ძირტკბილას ფესვის ნაყენი კი სადილიდან 2 საათის შემდეგ. გვირილის ან სალბის ნაყენი კი ვახშმამდე 30 წუთით ადრე.

ეს 3--4 მცენარე, რომლებსაც თითქმის ყველა აფთიაქში შეიძენთ -- მწვანე აფთიაქის გარდა და რომლის შესყიდვაც ყველასი ერთად 4-7 ლარზე მეტი არ დაგიჯდებათ, უდრის 25--35 ლარის ბრონხოსან - ნიმესილ -ასპირინ .............

მუკალტინი - იყიდება, თბილისში, ვაგზალზე, თამარ მეფის 17--19--ასე შემდეგ აფთიაქებში. მუკალტინი საუკეთესოა, თუ გამწვავებული არაა მდგომარეობა და ფილტვებში არაა ჩასული გაციება / ანთება ბრონხებიდან.

**წყარო: ქართული საქმე - დავითი**

**ვაცხადებ როგორც ექიმი: აღმოჩენილია ჰიპერტონიის მთავარი მტერი! ის ჩვეულებრივი საზამთროს მარცვალი აღმოჩნდა**

როცა საზამთროს ვჭამთ, მისი მარცვლები ნერვებს გვიშლის: მათ ჩანგლით ვაშორებთ ან ვაფურთხებთ, შემდეგ კი ნაგვის ურნაში ვყრით. როგორც ჩანს, ეს დიდი შეცდომაა!

აღმოჩნდა, რომ საზამთროს მარცვლები არამხოლოდ იჭმება, არამედ სასარგებლოც კია! კვების ექსპერტები ტყუილად არ თვლიდნენ მას 2018 წლის ერთ-ერთი ყველაზე ტრენდულ პროდუქტად.

გამომშრალი და მოხალული მარცვლები ორგანიზმს ამდიდრებს ამინომჟავებით, ცხიმებითა და ვიტამინებით. მისგან მომზადებული სასმელები, რომელთა რეცეპტსაც დღეს Rchevebi.com-ის რედაქცია წარმოგიდგენთ, დაგეხმარებათ უამრავ დაავადებასთან გამკლავებაში.

## საზამთროს თესლი

საზამთროს მარცვლებს მაღალი საკვები ღირებულება ცხიმის შემცველობის გამო აქვს. ეს მარცვლები მდიდარია მონოგაუჯერებელი და პოლიგაუჯერებელი



ცხიმოვანი მჟავებით, მათ შორის, ძვირფასი ომეგა-6ით, რომლებიც ამცირებს სისხლის მაღალ წნევასა და მავნე ქოლესტერინის დონეს.

საზამთროს მარცვლების წყალობით, არტერიის ობსტრუქციისა და გამაგრების რისკი მცირდება, რაც მოგაშორებთ სისხლის ცირკულაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ხელს შეუშლის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას.

გამომშრალი მარცვლის 35%-ს ცილა შეადგენს. ეს მასში საკმარისი ოდენობით ამინომჟავებსაც გულისხმობს, რათა კუნთოვანი მასის შეანრჩუნებაში დაგეხმაროთ და აღიდგინოთ დახარჯული ენერგია.

საზამთროს თესლში ოთხი სახის ამინომჟავაა: ტრიპტოფანი, გლუტამინის მჟავა, ლიზინი და არგინინი. უკანასკნელი ეხმარება



გულის კუნთს, არეგულირებს არტერიულ წნევას და ამცირებს ინფარქტის რისკს.

მარცვლები, ასევე, დიდი რაოდენობით მაგნიუმს შეიცავს(ერთ ფინჯან თესლში იგი მეტია, ვიდრე ზრდასრულ ადამიანს ყოველდღიურად სჭირდება). ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის(აშშ) კვლევების მიხედვით, ეს მინერალი არეგულირებს სისხლის წნევას, მონაწილეობს ნახშირყლების მეტაბოლიზმში და დადებითად მოქმედებს სისხლში შაქრის დონეზე.

ჩინელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ საზამთროს თესლში შემავალი ლიკოპინი, არგინინი, თუთია და მარგანეცი დადებითად



მოქმედებს მამაკაცის პოტენციაზე და აძლიერებს სექსუალურ ლტოლვას. მეცნიერები გვირჩევენ ამ მარცვლების გამოყენებას უნაყოფობის სამკურნალოდ, ვინაიდან ისინი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეფექტურია.

სხვათაშორის, ჩინეთში საზამთროს მოხალული მარცვლები ყველგან იყიდება. ჩინელები ხალავენ მათ, ურევენ სხვადასხვა სანელებელს და მიირთმევენ ისევე, როგორც მზესუმზირის მარცვლებს.

## საზამთროს თესლის ნახარში

მარცვლების სასარგებლო თვისებები ანტიკური დროიდანაა ცნობილი. აღმოსავლეთის ცნობილი მკურნალი, მაჰმუდ იბნ-ილიასი, რომელიც XIII საუკუნეში ცხოვრობდა, წერდა, რომ ისინი, ცხელიც და უმიც, წმენდს თირკმლებსა და შარდის ბუშტს.

ისევე, როგორც რბილობი, საზამთროს მარცვლებიც შესანიშნავი დიურეტიკია. მისგან მომზადებული სასმელი წმენდს ადამიანს იმ ნივთიერებებისგან, რომლებიც ქმნის კენჭებს, გვეხმარება წყლისა და მარილის ბალანასის შენარჩუნებაში, არეგულირებს თირკმლების მუშაობას, ხსნის საშარდე გზების ანთებას.

აღნიშნულია, რომ ნახარში ეფექტურია მაღალი წნევის დროს, არეგულირებს არტერიულ დიასტოლურ წნევას, გვეხმარება შინაგანი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებაში, მათ შორის, თირკმლების. ასევე, ეს სასმელი მიიღებს პროსტატიტის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.

**ინგრედიენტები:**
40 გ თესლი
1 ლ წყალი
150 გ საზამთროს რბილობი(სურვილისამებრ)
მომზადება და გამოყენება



ჩაასხით ქვაბში ლიტრი წყალი და დადგით საშუალო ცეცხლზე.

აადუღეთ, ჩაყარეთ გატარებული ან დანაყული საზამთროს მარცვლები.

ადუღეთ სითხე ნელ ცეცხლზე 30 წუთის მანძილზე.

აიღეთ ქვაბი ცეცხლიდან და გააჩერეთ ნახარში კიდევ ერთი საათით.

გაწურეთ ნახარში და გადაასხით შესაბამის ჭურჭელში.

იმისათვის, რომ სასმელი გემრიელი იყოს, ათქვიფეთ ბლენდერში საზამთროს რბილობთან ერთად.

დალიეთ სასმლის პირველი ფინ-



ჯანი უზმოზე, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მიიღეთ თითო ჭიქა დღეში სამჯერ.

## საზამთროს თესლი რძით

**ინგრედიენტები:**
50 გ საზამთროს თესლი
500 მლ რძე
მომზადება და გამოყენება

გააშრეთ საზამთროს მარცვლები ღუმელში და დაფქვით.

შეურიეთ ფხვნილი უცხიმო რძეს.

დალიეთ 2 ჭიქა სითხე უზმოზე. მკურნალობის კურსი სამდღიანია, პროფილაქტიკისთვის საკმარისია ერთჯერადი კურსი.

უნდა აღინიშნოს, რომ საზამთროს თესლის ნაყენი და ნახარში იწვევს ლენტოვანი და მრგვალი ჭიების პარალიზებას უფრო ძლიერ, ვიდრე გოგრის თესლი. ეს დამტკიცებულია მეოცე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევით.

***წყარო: https://rchevebi.com/index.php?newsid=22376***

# ივანიშვილის რეჟიმის ბრძოლის ქრონიკა წიგნის წინააღმდეგ "პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა"

დასაწყისი გვ, 12



პატრული და სამედიცინო სასწრაფო დახმარებაც მოგონილი მიზეზით, რომ თითქოს იგი დაეცა „შემთხვევით" გადმოყრილ წიგნებზე და მიიღო დაზიანებები, რაც ექიმის თქმით, გარეგნულად



არ ეტყობოდა. მომხდარ ფაქტზე მოვიდა პატრულ-გამომძიებლების რამდენიმე ეკიპაჟი: დავით ხუბეჯიშვილი, გიორგი მახარაშვილი, დავით თავაძე, რევაზ ჟღენტი, ბესარიონ სიხარულიძე, ნიკოლოზ ნარიმანიძე, დავით სალაძე, ირაკლი ჯაფარიძე, დიმიტრი ჩალაძე, ვასილ აბაშიძე . მათ არ ეკეთათ ვინაობის იდენტიფიცირებელი ფირფიტები და არ არის გამორიცხული, მოგონილი გვარები დაესახელებინათ. ამიტომ ვაქვეყნებ მათ ფოტოებს, რის გადაღებაშიც აგრესიულად მიშლიდნენ ხელს.

ივანიშვილის რეჟიმის მსახური პატრულ-პოლიციელები, მთელი დღის განმავლობაში ახდენდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ჩემზე, მაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფებს და დამცინოდნენ, რამაც უარყოფითად იმოქმედა ჩემს ჯანმრთელობაზე და დამჭირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება...

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმები კი პოლიტიზირებული აღმოჩნდნენ; ჩემი ელექტრონული საზომით წნევა 200 მქონდა 97-ზე, მათი საზომით დაწერეს 120 - 80-ზე, მე კი უჩვეულო მდგომარეობაში ვიყავი. გამოვიძახე მეორე სასწრაფო, რომელიც იგივე ნორმალური წნევის ჩაწერას აპირებდა და მოვთხოვე სწორად ჩაეწერა. ჩემი აპარატით იქვე მეზობელსაც გავაზომინე წნევა, თვითონ ექთანსაც გავაზომინე საკუთარ თავზე და მერე ინებეს და ეს მიახლოებული მაჩვენებელი ჩაწერეს: 190-90-ზე... „ნუუუ, იგევეა„ო... სასწრაფოს ბრიგადა აშკარად დაინსტრუქტაჟებული იყო. პოლიციელები ცდილობდნენ მათ დარწმუნებას, რომ ვსაჭიროებდი ფსიქიატრიულში გადაყვანას. ერთ-ერთმა პატრულმა გამიტყუა ოთახიდან, თვითონ კი შემობრუნდა ექიმებთან. დერეფანში მოჯარულმა პოლიციელება, თითქმის ნაახევარსსაათიანი მაპროვოცირებელი ფსიქოლოგიური ტერორი მომიწყვეს, რათა გამოვეყვანე წონასწორობიდან და ჩემი ფსიქიური აშილილობის ფაქტის წინაშე დაეყენებინათ სასწრაფოს ბრიგადა. როგორც იქნა თავი დავიხსენი ამ ბოროტგანზრახული პატრულის ჯგუფიდან, მაგრამ ჩემს ოთახში შესვლის უფლებას არ მაძლევდნენ, რადგან, მედპერსონალთან განმარტოებული პატრული, მათ „დამუშავებას" ახდენდა.

პატრულის ეკიპაჟი, მათი საჭიროებისამებრ თიშავდა და რთავდა სამხრეზე დამაგრებულ კამერებს.

მედპერსონალის წასვლის შემდგომ აღმოვაჩინე, რომ სასწრაფოს პირველი გამოძახების ფურცელში (წნევა 120-80-ზე) გაკეთებული იყო ჩანაწერი: „აღგზნებული მდგომარეობა", რამაც იმოქმედა ჩემს ღირსებაზე და დავხიე ფურცელი. მე გამიჩნდა გონივრული ეჭვი, რომ ოთახიდან ჩემი გატყუების დროს, პატრული ცდილობდა, მეორე გამოძახების მედპერსონალის დამუშავებას, რათა მათაც ანალოგიური ჩანაწერი გაკეთებინათ, რაზეც ესენი არ დათანხმდნენ...

შსს მინისტრ გიორგი გახარიას სამინისტროში არ იღებენ მოქალაქეთა საჩივრებსა თუ განცხადებებს და იქ მხოლოდ ბუტაფორული თანამშრომელი ჰყავთ, ვისაც უხდიან ხელფასს, მაგრამ



აკრძალული აქვს შესული განცხადების რეგისტრირება (დანაშაულის სტატისტიკის დაწევის მიზნით??).

სამინისტროში მისულს, ამგვარი რეჟიმის პირობებში, დიდი ბრძოლა დამჭირდა, რომ წიგნის დარბევის ფაქტზე



მიტანილი განცხადება მიელოთ.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მივაღებინე, მაგრამ განცხადება არ დამირეგისტრირეს...

ივანიშვილის დიქტატორული რეჟიმი, საბჭოური მეთოდებით, ებრძვის ინტელიგენციას.

**ლეილა ცომაია**

# ჩვენი ეროვნული საღვთო კულტურა - „საქართველოს სულიერი მისიაა“, რომლის ზოგადსაკაცობრიო დანიშნულება ზვიად გამსახურდიამ აღმოაჩინა

**„არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და იდუმალი, რომელიც არ შეიცნობა.**

***(ლუკა 12-2)***

გაზეთ „გამანთავისუფლებლი„-ს პირველი ნომრის სატიტულე გვერდზე, ფერადად დაიბეჭდა სვანეთის, მესტიის ფუსტის (სამების) ტაძრის სურათი, რამაც მიმანიშნა წერილი მიმეძღვნა, ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობრივ იმ მეცნიერულ ხედვაზე, რასაც ეროვნული მართლმადიდებლური საღვთო კულტურის ისტორიული მემკვიდრეობანი უდევს საფუძვლად. ორასწლოვანმა და განსაკუთრებით კი, სამოცდაათ წლიანმა კომუნისტურ-ათეისტურმა გავლენამ, ქართველ ერში ძირფესვიანად ამოძირკვა ეროვნული საღვთო კულტურის ისტორიულ მემკვიდრეობათა ცნობიერება. რითაც ქართველმა ერმა დაკარგა საკაცობრიო საწყისების იმ საღვთო კულტურის მემკვიდრეობის ცნობიერი აღქმა, რაც მის წიაღშია. მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა კვლევებით დადგენილია, რომ ბიბლიის დაწერისას, ძველმა ებრაელებმა გამოიყენეს ქალდეურ-შუმერული სამყაროს საღვთო კულტურა: მკვდრეთით აღდგომა, მოსეს ამბავი, ნოეს ამბავი, სამუელის ამბავი, ბაბილონის გოდოლი, ედემი და სხვა. მათ ბიბლიაში გადაიტანეს შუმერულ-ქალდეური რელიგიური მემკვიდრეობანი მცირედი შესწორებებით. მეცნიერებმა ისიც დადგინეს, რომ ბიბლიაში შეტანილი ედემი გადატანილია შუმერული ედენა-დან. შუმერული წყაროებით, ედენა არის მთა, საიდანაც სათავეს იღებს ოთხი მდინარე. რომლის წიაღშიც, შემოქმედმა ღმერთმა, ენქიმ (ხაი, აია) მიწისაგან გამოძერწა პირველი ადამიანი და დაასახლა ედენაში. უცხოელ მეცნიერთა ინტერესი ედენას გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დადგენისა დიდი იყო. ხანგრძლივი ძიების მიუხედავად, მათ ასეთ გეოგრაფიულ ადგილს დედამიწაზე ვერ მიაკვლიეს და მხოლოდ ივარაუდეს მისი მდებარეობა, არარატის (ურარტუ) მთიანეთში. სადაც სათავეს იღებს ევფრატი, ტიგროსი, მტკვარი და არაქსი. მაგრამ მეცნიერთა ამ ვარაუდმა კრახი განიცადა შემდეგ გარემოებათა გამო: ჯერ ერთი, ეს მდინარეები ერთი მთიდან კი არა, ერთმანეთისაგან ძალიან დიდი დაშორებით იღებენ სათავეს. მეორე, ამ მთიანეთიდან სათავეს იღებს, ამ ოთხის გარდა, კიდევ ორი მდინარე: ღალისი და ჭოროხიც. რაც უარყოფს ამ მეცნიერული ვერსიის ჭეშმარიტებას. ამას გარდა, შუმერულ წყაროებში აღწერილი არცერთი მონაცემი, არ პოულობს ამ რეგიონის სინამდვილესთან თანხვედრას. 1970-იან წლებში, ცნობილმა მეცნიერმა, იაკობსონმა მოაწყო ექსპედიცია არარატის რეგიონში. იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად სწორი იყო მეცნიერთა ეს ვარაუდი ედენას აქ მდებარეობისა. რითაც თვითონვე მივიდა სასოწარკვეთილ დასკვნამდე, რომ „აქ ჩვენ ვერ ვპოულობთ შუმერულ წყაროებში აღწერილ ედენასთან თანხვედრის ვერცერთ ფაქტს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, უფრო დამაჯერებელ და რეალურ ადგილმდებარეობასაც ვერსად ვხედავთ სხვაგანაცო.“ მისი ეს ანგარიში გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ ერთერთ ნომერში რუსულ ენაზე. 2011 წლიდან, ჩვენი, ამბროლაურის რაიონის სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის მიერ ქვეყნდება საერთაშორისო პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალ „INTELEGTI“ -ში [GEORGIAN FOUNDATION FOR DEVELOPMENT OF SCIENCESAND SOCIETY] პუბლიკაციები ედენას კავკასიონზე არსებობის მამტკიცებელი ფაქტებით. გამოცემული გვაქვს წიგნებიც და პუბლიკაციები შიდა პერიოდულ ჟურნალებში. გვაქვს საპატენტო მოწმობაც N^6870.

მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა ამ შეცდომის გამო, არარატში ედენას (ედემი) მდებარეობამ ვერ ჰპოვა შემდგომი მეცნიერული განვითარება. რადგან ფაქტები არ ემთხვეოდა შუმერულ წყარობში აღწერილს. რამაც საბოლოოდ განაპირობა ამ მეცნიერული ვერსიის ჩიხში მოხვედრა და ის, რომ მსოფლიო საცნობარო ლიტერატურაში და მათ შორის ჩვენთანაც, ედენას (ედემი) არსებობა, მიჩნეული იქნა მითიურად და ლეგენდად. ამის დასტურად მოგიყვანთ ამონაწერს დიდი ქართული ენციკლოპედიიდან:

„ედემი- ძვ. ებრაული, წარმოდგება შუმერული ედენა-საგან, ბიბლიური ტრადიციით ადამიანის პირველსამყოფელი - სამოთხე. აქ იღებდა სათავეს ოთხი მდინარე. რეალურად ედენას, როგორც გეოგრაფიული პუნქტის, ლოკალიზაცია შეუძლებელია. ძველ ქართულ წყაროებში არ გვხვდება. ეს სიტყვა ზოგადად ნიშნავს ულამაზესს, მშვენიერს ადგილს დედამიწაზე.„[ქართული დიდი საბჭ. ენციკლოპედია ტ. IV. გვ.27]

სინამდვილეში, ედენა მწვერვალი სიმაღლით 3951 მეტრი და ედენა მყინვარი, ფართით 5,6კვ.კმ მდებარეობს ცენტრალური, რაჭის კავკასიონის, ფასისმთის მასივზე. რასაც ამ ენციკლოპედიის იგივე გვერდზევე ნახავთ. ედენას მთის ამ მასივიდან, მართლაც სათავეს იღებს ოთხი მდინარე: რიონი, ცხენისწყალი, ბალყარეთის ჩერეკი და ურუხი. რომელთა ბიბლიური სახელებია: ფიშონი, ხიდიკელი, გიხონი და ფერეთი. საინტერესო ის არის, რომ შუმერული წყაროები, ედენას მთას მიიჩნევენ „ქვეყნიერების შუაგულად“. მართლაც, ეს მთა, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე ბოლოდან თანაბრად 600 კილომეტრითაა დაშორებული და ზუსტად შუა წერტილია კავკასიონის ქედისა. ამას გარდა, ბევრია სხვა ისეთი ფაქტებიც, რომელიც ზუსტ თანხვედრაშია შუმერულ წყაროებში აღწერილთან. რაც მტკიცებულებათა საფუძველებია იმისა, რომ მსოფლიო წამყვან მეცნიერთა მიერ ბოლომდე მიუკვლეველი ედენა (ედემი) აქ, ჩვენთანაა და სხვაგან არსად დედამიწის ზურგზე. ამ წინასიტყვაობის გაკეთების მიზანი იყო ის, რომ საკაცობრიო საღვთო კულტურის ისტორიულ მემკვიდრეობათა საწყისი, სწორედ აქ, ჩვენთან საქართველოშია და არა სხვაგან, დედამიწის ზურგზე. ზვიად გამსახურდიას ფენომენი მდგომარეობს იმაში, რომ მან როგორც მეცნიერმა და მკვლევარმა, სწორად განსჭვრიტა ეს მემკვიდრეობა, როგორც კაცობრიობის საღვთო კულტურის ისტორიის საწყისი ათვლის წერტილი და ამასთან, მან ასევე გენიალურად მიაგნო კაცობრიობის შემდგომი სულიერ-ღვთაებრივი მომავალი არსებობისათვის აუცილებელ ამ საღვთო კულტურის ეროვნულ მემკვიდრეობას, იმ ბრძნული ფორმულით რომელიც ლეიბნიცმა მისცა კაცობრიობას შემდეგი, დროში გაუხუნებელი ფორმულით: „აწმყო შობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავალისა.“ ამრიგად, ზვიად გამსახურდიას ეს აღმოჩენა, ეროვნულ ინტერესებს სცილდება და იგი ზოგადსაკაცობრიო სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებისაა. რასაც ზუსტად პასუხობს კიდევაც მისი ნაშრომი: - „საქართველოს სულიერი მისია.“ აქ ჩვენი სახელმწიფოებრივი დღევანდელი ინტერესებიდან გასაანალიზებელია ის, რაც მისი განდევნის შემდეგ განვითარდა ეროვნულ წიაღში. ხუნტის და სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ახლად მოვლენილი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე, გამოვიდა რა, გაეროს ტრიბუნით. მან „ცრუ მესიანიზმის“ ბრალი დასდო ზვიად გამსახურდიას. რითაც მან, მსოფლიო საერთაშორისო ტრიბუნიდან გააჟღერა არამარტო აბსოლიტური უმეცრება საკაცობრიო საწყისების ქართული საღვთო კულტურის ისტორიული მემკვიდრეობებისა, მან ამითვე არანაკლებ ამხილა მისი ნათლიისა და სულიერი მამის, ქართული ეკლესიური ცნობიერების დეგრადირებულობა და არცოდნა იმ ეროვნული საღვთო კულტურისა, რომელიც საკაცობრიო ფასდაუდებელი დანიშნულებისაა და ჩვენს ეროვნულ წიაღშია. ეს მაშინ როცა, ამ მეცნიერული აღმოჩენით, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია დარჩა ისტორიაში საღვთო ინტელექტუალური აზროვნების ბუმბრაზ და სწორუპოვარ მსოფლიო ფიგურად. ამის შემდგომ საქართველოში არაფერი არ შეცვლილა, ეროვნულ რელიგიურ მეცნიერება-განათლების აზროვნებაში. ადგილზე გაიყინა ეროვნულ გამანთავისუფლებელი მართლმადიდებლური ზვიად-მერაბისეული მსოფლმხედველობა. არადა, დიალექტიკურად ყოველ ჯანსაღ იდეას აცოცხლებს და ასაზრდოებს ის ისტორიული მემკვიდრეობები, რომელიც ერის მრავალსაუკუნოვანი არსებობის წიაღში იქმნება და ყალიბდება. და რომელიც, მაშინ ხდება ერის არსებობის მასაზრდოებელ ფესვი, თუ მას ვინმე ნიჭიერი მოღვაწე გარდასახავს ერის სასიცოცხლოდ აუცილებელ საღვთო სწავლებად. ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ქრისტიანული ინტელექტი ამით გვიმტკიცებს, თუ რა სირღმისეულად ფლობდა ეროვნული საღვთო კულტურის ისტორიული მემკვიდრეობების მეცნიერულ ცოდნას, რასაც ფეხი ვერ აუწყო და ვერც აუწყობდა ორასწლოვან იმპერიულ „ერთმორწმუნულ“ ჯოჯოხეთურ ქურაში გამოვლილი ის ეკლესია, რომელიც სრულიად შემოძარცვული და გაუნებელყოფებული იყო ეროვნული თეოსოფიური მემკვიდრეობებისაგან, ჯერ ცარისტული და შემდეგ კი, ანქართული რენესანსის ეპოქის პერიოდში, ქრისტიანული კანონიკით ნაგები ფუსტის (ფუსდი) ტაძრები. რომელიც, ისიც კი არ იცის ჩვენმა ორასწლოვანი ზემოქმედებით დეგრადირებულმა სამღვდელოებამ, რომ ის სვანურ სინამდვილეში სამება-სულიწმინდისმოფენის არსის მატარებელია. იმ ცოდნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ბიბლიის ძველი აღთქმით ებრაელი ლევიანები, როგორ და რატომ იღებენ თავიანთ უფლის სიწმინდეთა მცველობა-პატრონობის საღვთო მადლღირსებას იმ ქალდეველი ფუტიელებისაგან, რომელთაგანაც ჩვენმა ეროვნულმა სინამდვილემ დღემდე მოიტანა ეფუთის და ფუსტის მემკვიდრეობანი. ჩვენი ეკლესიური აზროვნების ორასწლოვანი დეგრადაციის კულმინაცია იყო ის, როცა ისტორიული ედენას ეპიცენტრის, ანუ ნიკორწმინდის ეპისკოპოსი,- ელისე ჯოხაძე, რომელსაც ამავე დროს ევალა საპატრიარქოში „სიწმინდეთა მოძიება და დაცვა“ ამბიონიდან გადმომდგარი, ფუსტს - „პუსტა-პუსტად“ მოიხსენიებდა (ანქიაქებდა). რის შემდგომ ის საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა, მიტროპოლიტის ხარისხში აამაღლა. რაც უპრეცენდენტოა მსოფლიო ეკლესიების ისტორიაში. სულიწმინდის საჯაროდ მგმობელი ეპისკოპოსის ამაღლება მიტროპოლიტის ხარისხში, მთელს ეკლესიას და მის მიმყოლ მრევლსაც თანაზიარს ჰყოფს ამ მიუტევებელ ცოდვაში. ამ ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ, ეპარქიას ევლინება ახალი ეპისკოპოსი ვახტანგ ლიპარტელიანი. რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის, ანუ ისტორიულ ედენას მხარეში, უკვე წლებია აკრძალულია ჩემს მიერ აღდგენილი ფუსტობის ჩატარების ტრადიცია. (მე ნიკორწმინდაში მღვდლად ვიყავი 1996-2003 წლებში) და ფუსტობის ნაცვლად ინერგება, ეკლესიის ლოცვაკურთხევით, კომუნისტური, ცეკ-ას დირექტივით „წარსულის მავნე რელიგიური გადმონაშთების“ საწინაღმდეგოდ შექმნილი „ფუძეობა“. იქამდისაც კი მიდის საქმე, რომ „ ნიკორწმინდის ტაძრის 1000 წლოვან იუბილეს“ კომუნისტური, ცეკ-ას ამ ანტირელიგური ღონისძიებით აღნიშნავენ, მსოფლიოში სწორუპოვარი საღვთო კულტურის ისტორიული მემკვიდრეობის იმ რეგიონში, რომელსაც ედენა, ანუ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი წარმოადგენს ? აღნიშნულ ფაქტთა აქ წარმოდგენილით, ქართველი ხალხისათვის ნათელი უნდა გახდეს ჯერ ერთი ის, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მსოფლმხედველობრივი მთავარი მახასიათებელია, ჯანსაღი ეროვნული საღვთო კულტურის ისტორიულ ფუნდამენტზე მდგარი ეკლესია და არა „ერთმორწმუნულ“ წუმპის ფსკერზე მოყურყუმალავე მართლმადიდებლობა. რომლიც მიცვალებულივით შეუგრძნობადია საკუთარი, იმ ეროვნული მართლმადიდებლური საღვთო კულტურისა, რომელიც ყველა მისი პარამეტრებით საკაცობრიო ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა და დღეს კი, განწირულია დასაღუპავად. ისევე, როგორც დღემდე ეკლესისაგან მოკვეთილ-გაუცხოვებულ მიტოვებული ეს ფუსტის (სამების) ტაძრები, ისტორიულ ედენას საღვთო კულტურის მსოფლიო ფასეულობის ოაზისში.

ზვიად გამსახურდიას - ქრისტიანული ეროვნული ცხოვრების უმთავრესი მოწოდება შემთხვევით არ იყო: -„სანამ ჭეშმარიტი რელიგია არ აღდგება ჩვენში, ჩვენს ერს გადარჩენა არ უწერია.“ ეს საბრძოლო დროშა, რომელიც მან აღმართა და რომელიც მასთან ერთად დაეცა ბრძოლის ველზე, კვლავ უნდა აღმართონ საქართველოს ჭეშმარიტად კეთილმოსურნე თანამედროვე ერის წინამძღოლმა პოლიტიკოსმა ლიდერებმა და წინ უნდა გაუძღვნენ იმ ქართველ ერს, რომელიც პატრონია მსოფლიოში სწორუპოვარი საკაცობრიო საწყისების ეროვნული საღვთო კულტურის ისტორიული მემკვიდრეობებისა და რომელიც მას ავალდებულებს, „საქართველოს სულიერი მისიის“, ანუ „იბერიის გაბრწყინების“ აღსრულებას თანამედროვე აპოკალიფსურ მსოფლიოში. ვიმეორებ, რომლის იდეურ-პოლიტიკური საუფძველია ის „საქართველოს სულიერი მისია,“ რომელსაც ფესვები აქვს იმ ეროვნულ მემკვიდრეობაში, რომელიც საკაცობრიო საღვთო კულტურის საწყისია და რომელსაც ჩვენს ეროვნულ წიაღში არსებული ედენას მემკვიდრეობა წარმოადგენს.

**მამა ავთანდილ გიორგობიანი**

***ამბროლაურის რაიონში, სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი.***

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
*საიდენტიფიკაციო ნომერი*: 404511658

**მთ. რედაქტორი ლეილა ცომაია**

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli. webs. com***
ელ. ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo. com***